ოდ

ლიტერატურული ჟურნალი

№ 2 (61)

2023

ოლე

მწერალთა ასოციაცია
„ლიტერატურული კახეთის“ გამოცემა

The Literary Magazine OLE

ჟურნალი გამოდის 2004 წლის ივნისიდან
ISSN 1512-3995

№2,(61), 2023

ი ვ ნ ი ს ი

გამოდის სამ თვეში ერთხელ

„ოლე“ ლიტერატურული ჟურნალი

ოლე – ბრყენა, გინა მოგრძე ტყე ველთა შუა
სულხან საბა

ოლე – ახოში საჩრდილობლად დატოვებული ხე
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

ოლე – გიორგი ლეონიძის პოეტური შედევრი

მთავარი რედაქტორი
აკაკი დაუშვილი

რედაქტორები
ფარნა რაინა
ნუნუ ძამუკაშვილი

მხატვრული რედაქტორი
სოფიო ჭელიძე

მისამართი: 2200 თელავი
ერეკლე II-ის გამზირი №6
III სართული
მობ: 555 46 44 29
მწერალთა ასოციაცია
„ლიტერატურული კახეთი“
მობ: 558 48 24 80

მასალების გამოგზავნა შეგიძლიათ
ელექტრონული ფოსტით
E-mail: akakidau@mail.ru

ჟურნალ „ოლეს“ წინა ნომრების წაკითხვა შეგიძლიათ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საიტზე www. nplg. gov. ge — ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელის“ ვებგვერდზე.

„ოლეს“ რედაქციაში შემოსული მასალა
არ რეცენზირდება და ავტორს არ უბრუნდება

ჟურნალი „ოლე“ გამოიცემა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის (მერი ბატონი **ლევან ანდრიაშვილი),** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (თავმჯდომარე ბატონი **თენგიზ მთვარელიშვილი**) მხარდაჭერით.

დაიბეჭდა გამომცემლობა „მერიდიანში“

გარეკანის პირველი გვერდის მხატვარი
გიორგი სონღულაშვილი

შინაარსი

„ოლე“-ს კიდევ ერთი აღიარება

2. ჟურნალმა „ოლე“-მ კულტურის სამინისტროს კონკურსში გაიმარჯვა

შეხვედრები ღვაწლმოსილ პოეტთან

3. თინათინ თელაველი. პოეზიის ევერესტის დასაპყრობად

12. ნუნუ ძამუკაშვილი. შეხვედრა სახელოვან პოეტთან

სამშობლოსავით საყვარელი ადამიანები

15. მაყვალა მიქელაძე. უფლის მსახური

მხატვრული ლიტერატურა

21. ლანა მანველი. სად არის ბედნიერება. რომანი

27. ნუნუ ძამუკაშვილი. ალექსანდრე ყაზბეგს. ლექსი

28. გიორგი გიგაური. ლექსები

31. გიორგი ბერძნიშვილი. ჯადოსნური ფუნჯის ჯადოქარი. მოთხრობა

34. მიხეილ ჯავახიშვილი. ლექსები

მოგზაურის ჩანაწერები

35. გიორგი შარვაშიძე. იბერიიდან იბერიამდე

თარგმანი

40. აქბარ გოშალი. ლექსები. თარგმნა ნელი მამედოვამ

კრიტიკა-პუბლიცისტიკა

42. მაია გვიჩია. სიკეთეზე თხრობა არ უნდა დასრულდეს, ვინაიდან „არსება მისი გრძელია“

44. გიორგი გაგუა. ალუდას რჩეულობის შესახებ

ლიტერატურული ცხოვრების ქრონიკა

46. წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე ფოთის №3 საჯარო სკოლაში

ქრისტიანული პოეზიის XIII ფესტივალი „წმინდა ნინოს ჯვარი“

47. საფესტივალო ლექსები

ჟურნალმა „ოლე“-მ კულტურის სამინისტროს კონკურსში გაიმარჯვა

ჟურნალმა „ოლემ“ უკვე მესამედ გაიმარჯვა კულტურის სამინისტროსა და „შემოქმედებითი საქართველოს“ კონკურსში. ასე რომ წელს, თელავის გამგეობის დაფინანსებულ 4 ნომერთან ერთად, დამატებით გამოვა ჟურნალ „ოლეს“ კიდევ ორი – ივლისისა და ოქტომბრის ნომრები.

მადლობა კულტურის სამინისტროს და „შემოქმედებით საქართველოს“ რეგიონებში გამომავალი სალიტერატურო ჟურნალების ხელშეწყობისთვის.

პოეზიის ევერესტის დასაპყრობად

(შემოქმედებითი საღამო თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში)

2023 წელი, 15 მაისი, 13 საათი...

მეტად შთამბეჭდავად გამოიყურებოდა – თვალციმციმა თაიგულებითა და ბდღვრიალა სინათლით აელვარებული: იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხდომათა დარბაზი, სადაც, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა, – საოცრად ამაღლებული, გულში ჩამწვდომი სითბოთი და სიყვარულით აღსავსე შეხვედრა მოუწყვეს მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ თავმჯდომარეს, გამოჩენილ ქართველ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს – ფარნა რაინას (ფარნაოზ რაინაულს).

შეხვედრის მიზანს უფრო ნათელი, რომ მოეფინოს უწინარეს, გთავაზობთ ამაგდარ შემოქმედზე, სხვადასხვა დროს, გამოქვეყნებულ მოსაზრებებს...

,,თანამედროვე ქართული პოეზიის ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელი, – საქართველოს გულანთებული ტრუბადური და ჭეშმარიტი მეციხოვნე“, (საქართველოს მწერალთა კავშირი), „სამშობლოს ერთგული მსახური და ილიას გზის გამგრძელებელი“, (რევაზ მიშველაძე), „დიდი ქართული ლიტერატურის მეგზური, სულის ჩამდგმელი და მაცოცხლებელი ძალა, მრავალმხრივი შემოქმედი“, (თეიმურაზ ლანჩავა, – ქუთაისი), „მაგალითი მომავალი თაობებისათვის – საამაყო შემოქმედი“, (დავით თედორაძე – აჭარა), „დღეს, ქართულ პოეზიაში, ბატონ ფარნას დარი პოეტები იშვიათად არიან. ვინც კი იცნობს მის პოეზიას, ყველა დამეთანხმება, რომ, იგი, ეროვნული, ქართული სულით გაჟღენთილი, ყველაზე ორიგინალური, ღრმა, ფილოსოფიური აზროვნების პოეტია. სწორედ, ამიტომ, ლიტერატურის კრიტიკოსები სამართლიანად აღიარებენ მისი პოეზიის სიდიადეს: განსაკუთრებით, გენიალურს უწოდებენ პოეტის ტრილოგიის განუმეორებელ კატრენებს“. (ავთანდილ ბერიძე – მესხეთი), „ბრძნული, გენიალური კატრენების შემოქმედი“, (მაყვალა მიქელაძე – თელავი).

დარბაზში თბილად იღვრებოდა კომპოზიტორ ვასილ კევლიშვილის მიერ ფარნა რაინას ლექსზე აჟღერებული „ვაზისა და ღვინის“ მელოდიური ჰანგები.

86 წლის პოეტს მიესალმა უნივერსიტეტის რექტორი, – შალვა ჭკადუა. მან – ფარნა რაინას, ქართულ პოეზიაში შეტანილი დიდი წვლილისათვის გულითადი მადლობა გადაუხადა.

საინტერესო სიტყვებით გამოვიდნენ: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი როინ ჭიკა-

ძე, ფილოლოგიის დოქტორი ნანა რჩეულიშვილი, ფილოლოგიის III კურსის სტუდენტი – გიორგი ზუბიტაშვილი, ფილოლოგიის III კურსის სტუდენტი ნინო ჭარაქაშვილი, ფილოლოგიის II კურსის სტუდენტი ნინო მილორავა, ფილოლოგიის II კურსის სტუდენტი ელენე ოქრუაშვილი, ფილოლოგიის I კურსის სტუდენტი სალომე აზიკური.

უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, ასოცირებულმა პროფესორმა – ნინო გიორგაძემ აღნიშნა: მიუხედავად, იმისა, რომ გლობალიზაციამ გამოიწვია თაობათა აზრთა სხვაობა, გაგება და დამოკიდებულება ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებისადმი; – ფარნა რაინას ნაკალმარის განხილვამ ცხადყო, რომ სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები, მაინც, ერთნაირად აღიქვამენ პოეტის მაღალ თვალსაწიერს, ერთნაირად იაზრებენ, იმ, სენტენცია-შეგონებებს, რაც, ასე, უხვადაა დავანებული ფარნა რაინას შემოქმედებაში. ეს, უკვე, პოეტის გამარჯვებაა და მისი შემოქმედების აღიარებაზე მიგვანიშნებს. მან დიდი კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ სტუდენტები, ესოდენ, გულისხმიერებით მოეკიდნენ პოეტური მოძღვარის ინოვაციური შემოქმედების განხილვას და უფლის წყალობა უსურვა ღვანლმოსილ მგოსანს ნობელის პრემიისაკენ მიმავალ გზაზე. სახელოვან პოეტს საკუთარი ლექსი უძღვნა თანამოკალმემ, – ნუნუ ძამუკაშვილმა.

ერთხელ, კიდევ, ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ფარნა რაინას შემოქმედებით აღფრთოვანებული შეხვედრის მონაწილეები დიდი სიყვარულით დაემშვიდობნენ ხელხვავიან პოეტს და უბადლო წარმატებები უსურვეს პოეზიის ევერესტის დასაპყრობად.

დაუვიწყარი შეხვედრა ჩატარდა უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელის, ასოცირებული პროფესორის – ნინო გიორგაძისა და უნივერსიტეტის კულტურის კოორდინატორის – მანანა შიოშვილის ორგანიზებით.

თინათინ თელაველი (მრელაშვილი)
მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ თავმჯდომარის მოადგილე

გთავაზობთ შეხვედრაზე გამომსვლელთა სიტყვებს

ფარნაოზ რაინაულის ლიტერატურულ – საზოგადოებრივი ღვაწლი და პოეტური სიტყვიერების საუნჯე

ჩვენს წინაშეა შესანიშნავი ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე, დღეს უკვე სიჭარმაგეში შესული ფარნაოზ რაინაული. იგი თავის მშობლიურ უნივერსიტეტს – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეწვია მისთვის ჩვეული შემოქმედებითი ხელხვავიანობით. საყოველთაოდაა ცნობილი მისი პოეტური კატრენები; იგი ჭაბუკური შემართებით ამაყად დგას ქართული ლექსისა და ქართული სიტყვის სადარაჯოზე; ამასთანავე, წარმატებით უძღვება მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურულ კახეთს“, სადაც ფუნქციონირებს მშვენიერი საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი „ოლე“ შესანიშნავი სარედაქციო ჯგუფით: აკაკი დაუშვილი – მთავარი რედაქტორი; ფარნა რაინა და ნუნუ ძამუკაშვილი – რედაქტორები; თინათინ მრელაშვილი – ასოციაციის თავმჯდომარის მოადგილე, ლიტერატურული მუშაკი; სოფიო ჭელიძე – მხატვრული რედაქტორი.

ჟურნალის გამოცემას უზრუნველყოფენ თელავის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო.

ჟურნალი „ოლე» ყრმობის ასაკში შევიდა. „ათხუთმეტის წლითგან ვიდრე ოცამდე ვაჟსა ეწოდების ყრმა“ – განმარტავს სულხან-საბა ორბელიანი. ამ ჟურნალს სახელწოდება „ოლე“ დაანათლეს მისმა დამფუძნებლებმა, რისთვისაც მოიშველიეს „სიტყვის პაპა“ სულხან-საბა და „მუხლადი, ბედაური, მაძღარი“ სიტყვით გაჯერებული პოეტური შედევრი გიორგი ლეონიძისა – „ოლე“. და მართლაც, ჩვენო მშვენიერო ჟურნალო, „სხვა რომელი დაგიძახებს მცირე სახელს – „ოლე“! თავად მეც, როგორც მისი ერთგული მკითხველი, მივესალბუნები „ოლეს“ და პერიფრაზულად მივმართავ: თუ რამე გაგიჭირდა, „მე აგიყვან ხელში როგორც ნაპოვნ ბატკანს მწყემსი... რომ თქვა, გული თუ მტკიოდა, ახლა აღარ მტკივა“, ვინაიდან გვერდით გიდგას ქართული მწერლობა და მადლიერი მკითხველი.

ჟურნალ „ოლეს“ და მის რედაქციას ყოველთვის არ ჰქონია დალხინებული ყოფა: მცირე სენაკი – ზამთარ ცივი, ზაფხულ ცხელი; მასში შეყუჟული სამიოდე თანამშრომელი, მცირე ხელფასი, ფინანსური შეჭირვება... ამჯერედ კი ადგილობრივი ხელისუფლების თანადგომით შედარებით გაუმჯობესდა სამუშაო პირობები, რამაც კეთილისმყოფელი გავლენა იქონია რედაქციის საქმიანობაზე. შედეგმაც არ დააყოვნა და ჟურნალის რედაქციამ ადგილობრივ შემოქმედთან ერთად შემოიკრიბა მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ფართო სპექტრი.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ჟურნალ „ოლეს“ სარედაქციო ჯგუფის ხელდასხმით დაფრთიანდა არაერთი ახალბედა შემოქმედი. ამიტომაცაა, რომ მის ფურცლებზე ნიადაგ მჩქეფარებს „ქართული სისხლი, ქართული სული, ქართული სიტყვა, ქართული გული.“ (მუხრან მაჭავარიანი).

სწორედ ქართული სიტყვის ძალმოსილებით არის გაჯერებული ფარნა რაინას პოეტური მუზა. მძივივით აკინძული მისი კატრენების უმთავრესი კრედო და საუნჯეთა საუნჯეა თავისი სათაყვანებელი დედულ-მამული და მშობლიური ენა ქართული, რომელსაც უძღვნა ბრწყინვალე ლექსი „ქართული ენის სადიდებელი.“ შემთხვევითი არ არის, რომ ბატონმა ფარნამ ეს ლექსი გააწყო 33 დაშიფრული სტროფით, რითაც ღვთაებრივი ქართული ანბანი ქრისტეს ასაკს მიუსადაგა. ამით ერთხელ კიდევ მიგვანიშნა დედაენის უკვდავებაზე და აღავლინა დედაენის ქებათა ქება: ათას ცეცხლში გამოვლილი და ჯვარცმული; მარადი და უკვდავი; აკვნიდანვე ჩვენთან მყოფი; მზის სადარი; მისი ღვიძლი შვილებია სვანური და მეგრული; მუხის ჯიშისა და ჯილაგისა; ჩვენი ბასრი იარაღი; ჩვენი არსის ავგაროზი და თილისმა; უფლის ჩონგური; მოჯირითე მერანი და მისი მხედარი; „მრავალჟამიერი“, „ლილე“ და ჩაკრულო“; გამძლეობით პიტალო; საინგილოს სუნთქვა; ფერეიდნის ცხელი ცრემლი; იობის მოთმინებისა და ჩვენი გენის მალამო; ჩვენი პურისყანა, ბაღნარი და ვენახი; სიტყვის საუნჯეთა საუნჯე; ღმერთების ენა; სიბრძნის ენა; ჩვენი ძირი და ფესვი; მზით გაბრწყინებული სამოთხე; ჩვენი გორგასალი, დავითი და თამარი; რწმენისათვის წამებული შუშანიკი და ქეთევანი; ერეკლეს ხმალი; სიცოცხლის აზრი; დასაბამიდან გუთნისდედა; ჩვენი სულის ხატი; ნამდვილი წიქარა, ნაღდი განა ზღაპრული; ორფეოსის ენა; დედაენითა და ქართული სიტყვით დღე სინათლით ივსება; მტერთათვის მეხთატეხა; დედაენა სანამ ბრწყინავს, დავღამდებით აროდეს; ცაზე სანამ მზე ანათებს, უკვდავია დედა ენა და სიტყვა ქართული!

სწორედაც ქართული სიტყვის ძალმოსილებით არის გაჯერებული ფარნა რაინას პოეტური მუზა; ქართული სიტყვის მრავალ საგალობელთაგან ამჯერად შემოგთვაზებთ მის მიერვე გამორჩეულ ლექსს – „სიტყვა ქართული!“, რომელიც წაუმძღვარა თავისივე საიუბილეოდ გამოცემულ ჟურნალ „ოლეს“: „ამ მიწას ყორნის გუნდად ეხვია მტერი ასპიტი, ხმალშემართული, - ჩეხდნენ ვაზიანს, ჭრიდნენ ვერხვიანს, მაგრამ... ვერ მოჭრეს სიტყვა ქართული!.. ივსებდნენ ჩვენი სისხლით მათარას, იდგა გვამების ასი სართული, თოკზე ჰკიდებდნენ დიდს და პატარას, ვერ ჩამოახრჩეს სიტყვა ქართული!.. ჰკითხეთ ვარძიას, ახსოვს ტაოსაც ომი ქაჯებთან, - ქაჯურ ჩართული, - ცეცხლში ისროდნენ „ვეფხისტყაოსანს“, მაგრამ ვერ დაწვეს სიტყვა ქართული!.. ღამე მოსდევდა დღეებს ჩრდილიანს, ჩვენი წამებით იყვნენ გართული, შანთეს მეფენი, მოკლეს ილიაც, მაგრამ ვერ მოკლეს სიტყვა ქართული!.. არ გვეხსნებოდნენ რისხვით ჯანჯლები, გვაწვიმდნენ ისარს ელვის ფათურით, ამაოდ დაფშვნეს ხმლებიც, ხანჯლებიც, ცას მზედ ეკიდა სიტყვა ქართული!“

ფარნა რაინაული ქართულ სიტყვაში ყელამდე ჩაფლული პოეტია. მიუხედავად ამისა, იგი არ ჩაკეტილა ოდენ ეროვნულ ჩარჩოში; უაღრესად ფართოა მისი სააზროვნო თვალსაწიერი, რომელსაც ასულდგმულებს მსოფლიოს ისეთ კორიფეთა, ფილოსოფოსთა შეგონებანი და სიბრძნისმეტყველებანი, როგორებიც იყვნენ: არისტოტელე, ჟან დელა ბრიურერი, ნიკოლა ბუალო, ტომაზო კაპანელა, ჰორაციუსი, რილკე... რუსთაველი, ილია, აკაკი, ბარათაშვილი...

ფარნა რაინაული ეზიარა ანტიკურ პოეზიას, უძველეს სასულიერო ჰიმნებს... მან თავის თვალთახედვის არეალში მოაქცია ჩინური, ინდური, იაპონური, იტალიური, ამერიკული... პოეზია და გაითავისა უდიდეს მოაზროვნეთა ცოდნის საგანძური; და რაც მთავარია, დაიმკვიდრა საკუთარი შემოქმედებითი სტილი და ხელწერა, რომლის ჭეშმარიტი შემფასებელი და დამფასებელი მისი მკითხველია. შემოქმედისათვის ხომ ყველაზე დიდი მონაპოვარი ხალხის სიყვარულია, რითაც ფარნა რაინაული ესოდენ საყოველთაოდაა გარემოსილი.

ბატონო ფარნაოზ, გულწრფელად გილოცავ შემოქმედებით გამარჯვებებს

და გიორგი ლეონიძის პოეტური შედევრის – „ოლეს“ სტრიქონებით შემოგძახებ, იქნებ ახლა მაინც გაგვიმხილო: „ვის გასცქერი, ვის მოელი,

გული ვისთვის გტკივა? ვის მიაღწევს შენი ხმები, ვის კერამდე მივა?“

თუმცა კი გვჯერა, რომ შენი ხმა, შენი სიტყვა, შენი ლექსი ყველა ჭეშმარიტი ქართველის კერამდე მივა და ამიტომაც უკვე სიჭარმაგეში შესულ შემოქმედს გისურვებ, „რომ სთქვა: გული თუ მტკიოდა, ახლა აღარ მტკივა!“.

და ბოლოს, ბატონო ფარნა რაინაულო! პოეტო ფარნა რაინა! გჯეროდეს, უშურველად მემეტება კიდევ მრავალი შესამკობელი, რომელსაც 100 წლის საიუბილეო საღამოზე გეტყვი!

როინ ჭიკაძე

ფარნა რაინას კატრენები

მარადიული მღვიძარების მქადაგებელი პოეტ ფარნა რაინაულის სტუმრობა თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში ორი კეთილი ამბის მაცნეა. პირველი ისაა, რომ წლების წინ დაწყებული მეგობრობა და სულიერი ერთობა უნივერსიტეტსა და ჟურნალ „ოლეს“ შორის, ახალ, მეტად საინტერესო შინაარსს იძენს. მეორე კი, ის, რომ ჩვენი პატივცემული პოეტისა და მოღვაწის, ფარნა რაინას პოეტური ნიმუშები – „კატრენები“, მეტად საცნაური ხდება ფართო აუდიტორიისათვის, სტუდენტი ახალგაზრდობისათვის, რაც ასე საჭირო და საშურველია სადღეისოდ.

თავისი განვითარების მრავალსაუკუნოვან გზაზე ქართულმა პოეზიამ შესაბამისი ეტაპობრივი ცვლილებები განიცადა. იცვლებოდა მისი პრობლემატიკა და თემატიკა, რიტმული თუ რითმული აღნაგობა, მუსიკალური ჟღერადობა და გამოსახვის პოეტური ხერხები. უცვლელი და მარადიული რჩებოდა მხოლოდ მისი ამქვეყნიური მისია, – დანიშნულება, რომელიც ერის სულიერ და ზნეობრივ წრთობაში, მის გამთლიანებასა და გამყარებაში გამოიხატებოდა. საგულისხმო მოსაზრებანი გამოთქვეს ამის შესახებ მე-19 საუკუნის კლასიკოსებმა. ილია ჭავჭავაძემ პოეზიას „უცნაური მადლი“ უწოდა, ხოლო პოეტს – „ამ მადლით მოსილი კაცი“. დიდბუნებოვანმა პიროვნებამ პოეზიას უდიდესი მისია დააკისრა ერის სულიერ ცხოვრებაში. აი, რას სწერდა იგი ახალგაზრდა, დამწყებ პოეტებს: „ეგ (პოეზია) ისეთი აზიზი, მზეთუნახავი ყვავილია, რომ მალე ჭკნება, თავის სურნელებას ჰკარგავს, თუ მეცნიერების შუქი არ ადგია, თუ მეცნიერება თავის უკვდავების წყაროს არ ასხურებს და სიბრძნის ხელი კიდევ დღე-მუდამ არ ჰფურჩქნის“ (ილია ჭავჭავაძე, თხზულებები, 1985). ამიტომაც ურჩევდა მათ, ჯერ ესწავლათ, დაეგროვებინათ სიბრძნის მარაგი და შემდეგ, პოეტურ სახეებად ჩამოყალიბებული სიბრძნე, ანთებული ნაპერწკლებივით მიმოეფანტათ ხალხში.

ანთებულ ნაპერწკლებს შევადარე მე პოეტ ფარნა რაინას კატრენები, რადგან დიდ ცხოვრებისეულ სიბრძნეს ვხედავ მათში. ხალხის სულიერ ცხოვრებაში სიფხიზლისა და მარად მღვიძარების ქადაგება ჭეშმარიტ პოეზიას შეუძლია მხოლოდ. ის მსოფლგანცდა კი, რაც ამ კატრენების ღრმად დაფარული დედააზრია, საყოველთაო მშვიდობას, ხალხთა შორის მეგობრობას და თანადგომას გულისხმობს. ამისათვის – კი, მთავარი პირობა მარადიული სიყვარულია, როგორც პოეტი მიუთითებს:

სიყვარულისთვის:
დრო —
მე,
არ მყოფნის...
და...
როცა ვფიქრობ, —
სიტყვაც... გულიც თრთის...
რა,
დიდი დროა —
მზის ქვეშ,
არყოფნის?!..
ხოლო,
რა, ცოტა —
სიყვარულისთვის?!..

კითხვაზე – რა არის ჭეშმარიტი ბედნიერება? — პოეტმა ფარნა რაინამ ასეთი პასუხი გასცა: „ჭეშმარიტი ბედნიერება არის უფლის რწმენა, სიყვარული, სიკეთე, მაღალი მორალი, მაღალი ზნეობა და ამ ყველაფრით გამორჩეული ღირსება, რომელიც ადამიანს აახლოვებს ღმერთთან“. საგულისხმოა, რომ ამ გამორჩეულ ღირსებათა ნაკლოვანებას, პირველ რიგში, საკუთარ თავს არ პატიობს პოეტი.

მე მინდა —
ამ გულს
ცეცხლი შევუნთო,
სიკეთით —
თუკი,
ვინმემ გამასწრო,
სხვას მივუტევებ
და... სხვას —
შევუნდობ,
მაგრამ...
საკუთარ თავს კი —
არასდროს ...

ამ პატარა ლექსებში ისმის დიდი ტკივილი სამყაროში არსებული ძალმომრეობის გამო, რომელიც ღუპავს კაცობრიობას. დასაბამიდან ეძებს ადამიანი თავის პიროვნულ ხვედრს, თავის ადგილს ცხოვრების ასპარეზზე, მაგრამ შეუძლია თუ არა შეუცდომლად განსაზღვროს ის? რატომ სჭირდება მუდამ სანატრელ დემოკრატიას ათასგვარი შირმა და ნიღაბი? დღეს, ხალხსაც და ქვეყანასაც, რატომ სჭირს განუკურნავი იარა? აი, კითხვები, რომლებიც ლაიტმოტივად გასდევს ფარნა რაინას კატრენებს და მათ სულაც არ ვთვლით რიტორიკულ კითხვებად. უპირველესად, თვით ავტორი გრძნობს მორალურ

პასუხისმგებლობას, პასუხი გასცეს ამ მტკივნეულ კითხვებს.

პოეტი წუხს, რომ ჩვენში ბევრმა დაივიწყა ერის გმირული წარსული, გაფერმკრთალდა ისტორიის ფურცლები და მხოლოდ პირადი სარგებლობის მოხვეჭა იქცა ზოგიერთი ქართველის ცხოვრების მთავარ მიზნად. გატაცება უცხო ქვეყნებში სიარულითა და მის ჩრდილქვეშ, საკუთარი განძის უპატრონოდ მიტოვების ტენდენცია სულიერად უფრო აღატაკებს ერის გარკვეულ ნაწილს. ამიტომ ნაღვლობს პოეტი ლამაზად გარითმულ სტრიქონებში:

ვართ —
უსასრულო,
ცხოვრების
ომში, —
ისედაც,
დაშლილ ქვეყანას,
რომ შლის...
ვინ — პარიზშია,
ვინ — სინგაპურში,
ვინ — მადრიდში და
ვინ, კიდევ —
რომში...
ველარ დაანთეს
სანთლები:
ჯვარში,
სიონში,
გრემში,
გელათში,
წრომში...

სამშობლოს განცდა უპირველესი იდეალია ფარნა რაინას კატრენებში, ხოლო, უძვირფასესი – იმ წინაპართა სახელები, რომელთაც შემოგვინახეს ერის საუნჯენი: ენა, მამული და სარწმუნოება. პოეტი ხშირად ახსენებს ფარნავაზის, ვახტანგის, დავითის, თამარის სახელებს, სჯერა, რომ „მათი სულის ნათებამ, დღემდე მზისებრ იარა“ და დღეს, შთამომავლობისათვის, მხოლოდ ხორცით კი არა, არამედ სულით ცოცხლობაა მთავარი.

ფარნა რაინას კატრენებიდან უსასრულო ენერგია მოდის მკითხველის გულამდე. ეს ენერგია განუწყვეტლივ ხმაურობს, ცოცხლობს, მღვიძარებს... ეს ენერგია ჩაკირულა შესანიშნავ რითმულსა და რიტმულ წყობაში, რომელიც ნამდვილქართული, ზოგადეროვნული და საოცრად ინტერნაციონალურია თავისი შინაარსით, პრობლემატიკითა და პატრიოტული სულით. ამიტომ ივლის ის წინაპართა ნათელით გასხივოსნებულ გზაზე მშვიდობის მარადიულ მაცნედ, კაცთა შორის სიყვარულისა და თანადგომის მეწინავე მედროშედ.

მადლობა ლიტერატურულ ჟურნალ „ოლეს“, დღევანდელი დღის მთავარ შემოქმედს. ხოლო, მის თავკაცს, ბატონ ფარნას, ვუსურვებთ დღეგრძელობას, მზეგრძელობას და მამულის საკეთილდღეოდ პოეტური მადლის სიუხვეს.

ნანა რჩეულიშვილი
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ბატონი ფარნა რაინას შემოქმედების შესახებ

ბატონი ფარნა ათეული წლებია ღირსეულად და კეთილსინდისიერად ემსახურება ქართულ მწერლობას, – კერძოდ კი – ქართული ლექსის განვითარებას. თანამედროვე პოეზიაში ბატონი ფარნა რაინას (რაინაულის) ლექსები გამოირჩევა კეთილხმოვანებით, სისადავით, სიბრძნის ღაღადით, რითმისა და რიტმის სიმშვენიერითა და მრავალფეროვნებით. ბატონ ფარნას ლექსებში გამოსჭვივის ახალგაზრდული ენერგია, გააზრება თანამედროვე ყოფიერებისა, ამასთან, იგრძნობა პოეტის მშობლიური კუთხის – თუშეთისა და თუშური პოეზიის მადლი, რაც განსაკუთრებულ ხიბლს ანიჭებს ავტორის შემოქმედებას.

მე, როგორც ახალბედა კალმოსანი, ახლახან გავეცანი ბატონი ფარნას შემოქმედებას და აღვფრთოვანდი იმით, თუ, რა ძვირფასი მარგალიტებით გაუმდიდრებია ავტორს ქართული პოეზიის ისედაც, მშვენიერი და ძვირფასი სალარო.

ბატონი ფარნას პოეზიის გაცნობამ და ავტორის სამყაროში ჩახედვამ გამაკადნიერა და დამაწერინა ლექსი...

ბატონი ფარნა რაინას პოეზიის გაცნობის შემდეგ...

ახლა, თქვენს ლექსთან დავდექ შეგირდად...
მასწავლის იგი საწუთროს გზა-კვალს.
ამბობს: ვინ გვიმტრო, ვინ შეგვეხიდა,
ვინ მოყვასს ჰგავდა, ვინ კიდევ – მზაკვარს!
საქართველოზე, რაც უნდა ვკითხო:
მიამბობს ამბავს ფასდაუდებელს...
თუშურ სიმღერას ვისმენდე, თითქოს,
საუკუნეთგან დაუოკებელს!..
მანახებს სანახს, – მთათა და ტყეთა,
ციხის ქონგურზე გაშლილ ყვავილებს...
ავაჰ, ზეზვაის გაფრენილ ცხენთან,
მხედრად მისვლას, რომ გაგვიადვილებს!
და, აი, თქვენს ლექსს ვუხდი სახოტბოს,
აწ, ფრთაშესხმული და... გამართული,
რომ ქადაგება, კვლავ, გაგვაგონოს:
ადათით, წესით, ფესვით – ქართული!

გიორგი ზუბიტაშვილი
ფილოლოგიის III კურსის სტუდენტი

ზიარება პოეზიასთან...

ბატონო ფარნა, როგორც ღირსეულ ადამიანებს სჩვევიათ, ერთ-ერთ ინტერვიუში ახსენებთ, რომ საკუთარ თავზე საუბარი არ გიყვართ. ვეცდებით ეს უხერხულობა მოგიხსნათ და, ზოგი რამ, ჩვენ ვთქვათ თქვენი ცხოვრების შესახებ, – თქვენს ერთ-ერთ მოგონებაში რომ საუბრობთ...

– ხელოვნებასთან პირველი ნათლობა და ზიარება ხატვით დავიწყე თუშეთში, – ვხატავდი: მთებს, ჭიუხებს, ცის სილაჟვარდეში მონავარდე არწივს, კლდეებზე რძესავით ჩამოქაფულ ჩანჩქერებს, ცხვრის ფარებით გადათოვლილ მთების კალთებს. შინაური შემფასებელნი დიდ მომავალსაც მიწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ... ნათქვამია: „კვიცი გვარზე ხტისო“ და იქნებ, მართალია ეს ხალხური სენტენცია... მამაჩემი იროდიონ რაინაული, მთელ თუშეთში განთქმული მოლექსე იყო, მისი ლექსები სიმღერებად იღვრებოდა ქორწილებსა თუ დღეობებში. მას ეკუთვნის ხალხურად გახმაურებული სიმღერაც: „შირაქის ველზე მივდივარ, უკან მაბრუნებს ქარიო“... უამრავი ლექსი დარჩა და ერთი პოემაც: „გოდება შოთა რუსთაველისა და „ვეფხისტყაოსნის“ და მირთმევა თამარ მეფისადმი“. ჩემი უფროსი ძმა გოგალეც წერდა. ორივენი სამამულო ომში დაიღუპნენ.

მე როდის დავიბადე, როგორც პოეტი, – როცა 6-7 წლის ასაკში, ზეპირად ვთხზავდი, თუ, უშუალოდ, 8 წლისამ, წერა რომ დავიწყე, ან – როცა IX კლასის მოსწავლემ პირველი ლექსი დავბეჭდე რუსთავის (სადაც საშუალო სკოლაში ვსწავლობდი) საქალაქო გაზეთ „მეტალურგში“, შემდეგ კი „სოციალისტურ რუსთავში“. მანამდე, თუშეთში, ომალოს რვაწლიან სკოლაში სწავლისას, დაწერილი მქონდა ასზე მეტი ლექსი და ორი პოემა: „თუში მხედარი“ და „დაღესტანის ტყვე“.

ფარნა რაინას პოეზიის მთავარი ღერძი სიყვარულია, სიყვარულის საგალობლებს დაუვანებია მის მთელ შემოქმედებაში.

წამიც არ მწამს -
სიძულვილის:
მტრობა,
ვნება, –
გზა – უსულო,
გზა – უგულო,
გზა – უმარჯნო,
გაუმარჯოს:
სიყვარულის –
ღვთიურ
ნებას,
სიყვარულის –
უკვდავებას
გაუმარჯოს!!!!...

ნინო ჭარაქაშვილი
ფილოლოგიის III კურსის სტუდენტი

ფარნა რაინაულს!

პოეზიას უაღრესად საინტერესო და დაზუსტებული განმარტებები აქვს. თუმცა, ამის მიუხედავად, ყველა მკითხველს აქვს ინდივიდუალური ხედვა შემოქმედისა და თვით ნაწარმოებების მიმართ.

ჩემთვის პოეზია ხელოვნების ის სასიამოვნო დარგია, რომელიც ჭეშმარიტად განგაცდევინებს ადამიანურ, სულიერ მდგომარეობას, სამყაროს მოძრაობას სიტყვიერ ხელოვნებით, მიმზიდველი რიტმულობით და მხატვრული შინაგანი მელოდიით.

პოეზიას სწორედ იმიტომ აქვს განსაკუთრებული დატვირთვა ხელოვნებაში, რომ ესთეტიკურ ღირებულებებთან ერთად, იქმნება და გადმოიცემა ადამიანის სულის შინაარსი. გამომჟღავნებულია გააზრებული მდგომარეობა არსებობის. რეზო ინანიშვილი წერდა: „სამყაროს პოეტური აღქმა მშვენიერებისა და სიფაქიზის წყაროა“.

ნამდვილ შემოქმედს შესწევს უნარი, მოძებნოს შესატყვისი მხატვრული ფორმა შინაარსის გამოხატვის, რაც უფრო საინტერესოს და სენსიტიურს ხდის, როგორც შინაგან, ასევე გარეგან ცხოვრება-კულტურას.

ძველი თუ ახალი ეპოქის ქართულ პოეზიას მუდამ ჰყავდა და ჰყავს თვალსაჩინო პოეტები, რომელთა მარგალიტები ჩვენს ცხოვრებას ავსებს, საზრისს, მიმართულებას აძლევს, ლაიტმოტივად გასდევს თან და სწორედ ეს არის პოეტური მემკვიდრეობის უწყვეტობა, რომლის ქვეტექსტებისა და ემოციების გამომხატველი სახე-სიმბოლო ღირებულებებს და უკვდავებას ანიჭებს მას.

განსაკუთრებით საინტერესო და მრავალფეროვანია ქართული პოეზია დღესაც, რომელსაც უდიდესი მისია აკისრია თანამედროვე ყოფაში – ემსახუროს სიმართლეს და პოეტური სიტყვით ხალხის გულები აანთოს და გააღვივოს ის ამაღლებული გრძნობები, რისთვისაც ცხოვრობს ადამიანი დედამიწაზე. ამიტომ, უნდა ვეძიებდეთ, ვეცნობოდეთ და ვაფასებდეთ მას, როგორც წყაროს გამომშრალი სულის შესავსებად!

პოეტი ხომ ერთგვარი შუამავალია ადამიანსა და უფალს შორის, რადგან ის ღვთის სიტყვა მიაქვს ხალხის გულამდე, რაც ასე სჭირდება საზოგადოებას, რათა შვებით ისუნთქოს.

ჩვენ ვცხოვრობთ სამყაროში, სადაც სიტყვას

დიდი ძალა აქვს და სწორედ ამიტომ აქვს კურნების უდიდესი ენერგია ჭეშმარიტი შემოქმედის სიტყვას.

რა ცოტამ იცის –
სიდიადე,
რამდენმა –
ბუნდად,
ასევე – ცოტამ.
თურმე,
ცოტამ,
იცოდა გუშინ...
არსად არ არის –
იგი, –
სხვაგან...
და... ცოდნა
უნდა, –
სიდიადეა –
ღვთაებრივი:
სულშიც და...
გულშიც...

ღვთის სიყვარულია პოეტის გზა და ხიდი მკითხველის გულისაკენ მისასვლელი. ნაკლის მხილება, სიმართლის მსახურება, ბოროტის დევნა დაჩაგრულის შემწეობა, დავრდომილის აღდგენა, მტირალის ნუგეშისცემა. ეს, მხოლოდ, დიდი რწმენით ანთებული პოეტის სიტყვას ძალუძს.

პოეტის ხვედრი უზენაესის მსახურებაა, რადგანაც პოეზიას შეუძლია გვაგრძნბინოს, დაგვაჯეროს, დაგვარწმუნოს, რომ არსებობს გზა სიკეთისა.

ყოველთვის, ყველა ეპოქაში, პოეტის ფუნქცია, თითქმის, მოციქულის დანიშნულებას უტოლდებოდა. ასეთი ღირებული შემოქმედება არა მარტო საასიამოვნო მოსასმენია, არამედ სიმართლის მსახური და გზის მანათობელი.

ჭეშმარიტებად
ვინც –
არ ინათლებს,
გაჰყვება –
წელთა
მზაკვართა
ქართა...
ხამს:
მხოლოდ,
მხოლოდ,
მხოლოდ –
სიმართლე...
და... არაფერი –
სიმარლის
გარდა...

აღნიშნულ მონაკვეთში მთავარი საკვანძო სიტყვაა სიბრძნე, რომელიც, რასაკვირველია, აქ, უპირველესად, „ღვთაებრივ სიბრძნეს“ გულისხმობს, სიბრძნეს, რომელსაც სიმართლემდე მივყავართ და რომელიც ღვთის ბუნების შეცნობაში გვეხმარება.

ღვთის ბუნების შეცნობა კი იმქვეყიური ცხოვრების საგზალია... და კიდევ უფრო ვრწმუნდები რუსთველური მოძღვრების ჭეშმარიტებაში, რომ პოეზია „სიბრძნის დარგია...“

გვიანღა არის –
თითების კვნეტა,
დრო თუ დაუდგა
თავში საცემი...
რაც მაღლა არის,
მით, უფრო,
მეტად,
მართებს სიფრთხილე, –
დაბლა დაცემის...

ეს სტრიქონები ნიმუშია პოეზიის იმ მიმართულების, რომელიც მოდერნისტულ პოეზიად მოიაზრება. მოდერნისტული მოდელით სამყაროს აღქმა კი მწვავე მორალურ და მსოფლმხედველობით კრიზისებს ასახავს. ეს საკითხი ეხება ტრადიციულ და მოდერნისტული ძიებების ჰარმონიულ შერწყმას პოეზიაში... ლექსი კი სწორედ ამ კრიზისების მიმართ დამოძღვრაა ბუნებრივად, ძალდაუტანებლად, შთამბეჭდავად... ადამიანური სულის უღრმესი შრეების სუნთქვის გარეთ გამოტანაა, იმ, დაფარული მოძრაობების, რაც ადამიანთა ცოდვილ ბუნებას თან ახლავს.

...განსაკუთრებით საინტერესო და მრავალფეროვნებით გამორჩეული კიდევ ერთი მეტაფორაა, რომელიც პოეტური ენერგიის მუდმივობის კანონს ამტკიცებს და ობიექტური სამყაროს ნაცვლად ჩნდება სუბიექტური ასოციაციები და ქვეცნობიერი იმპულსები, რომელიც მე სულის მდგომარეობა მგონია, რომელსაც ასეთი სიტყვიერი გამოხატულება აქვს:

მოხვეჭის ხიბლმა
რამდენი
შერყვნა?!...
რამდენი ელის –
სირცხვილის
სარჩელს...
რაც უნდა იყოს –
ცხოვრება, –
ქვეყნად,
ადამიანად –
ხომ, უნდა
დარჩე?!...

ადამიანებს სჩვევიათ მოვლენების დამახსოვრება. მგრძნობიარე ადამიანებს განსაკუთრებით პოეზიის ენით გადმოცემული ამახსოვრდებათ – და ის სამყაროს მხატვრული აღქმა, რომელსაც პოეტი საზოგადოებას უზიარებს.

სამყარო, რომელიც ძალიან ნათელი და მშვიდია, ცოტა სევდიანიც და ეს „მშვენიერი სევდა“ შემოქმედებას კიდევ უფრო გულწრფელს ხდის.

სირცხვილი და ადამიანად ყოფნა, ერთმანეთს ისე თანდათანობით, უმტკივნეულოდ უპირისპირდება, როგორც შეღამებისას სინათლე გადადის სიბნელეში, რბილად და თბილი ტონალობით და ბოლოს მზე აკაშკაშებს სამყაროს, როგორც ადამიანს

– სიმართლე!

„მოხვეჭის ხიბლიდან“ – „ადამიანურ ღირსებამდე“ – ეს უმტკივნეულო გადასვლა ღვთაებრივ სამყაროსთან ზიარებაა, იმ ერთთან მიახლოებაა, რომელიც ნათელია, მართალია და საკუთარ თავში ინახავს ფერადოვნების უდიდეს პოტენციას... ისე ბუნებრივად ჩნდება გადაძახილი „ადამიანად ხომ უნდა დარჩე“.

ეს არის პოეზია, რომელმაც დამანახა, თუ როგორი კარგია ცხოვრობდე შენთვის უბრალოდ, სამართლიანად, უბოროტოდ და იყო კარგი ადამიანი!

მართლაც და, რა კარგია ადამიანად ყოფნა!

პოეტისთვის დიდ საფიქრალად არის ქცეული ბოროტების დათრგუნვა და ადამიანში ღვთაებრივი ძალის გაღვივება.

პოეზიის ღირებულება სწორედ ეს არის, როცა პოეტს აქვს უნარი მისი უფაქიზესი ემოციური სენსორების მეშვეობით, გავლენა მოახდინოს მკითხველზე, როგორ შეიძლება ამ უთვალავფერიან სამყაროში ადამიანი სიკეთის გრძნობებით და განცდებით, ბოროტებას დაუპირისპირდეს....

პოეზია, როგორც მთლიანი და რთული წარმონაქმნი არის უდიდესი კონტაქტი მკითხველსა და პოეტს შორის – რაც უფრო ბევრჯერ წაიკითხავ, მით უფრო მეტს აღმოაჩენ!

ასეთი უდიდესი ძალა აქვს ბატონ ფარნას პოეზიას, რაც უფრო ახლოს მიდიხარ, უფრო შენეული ხდება და მეტად გეძვირფასება.

ნინო მილორავა

ფილოლოგიის II კურსის სტუდენტი

მაღალი პათოსით

ბატონო ფარნა, თქვენი ღვაწლის შემფასებლად ჟურნალი „ოლეც“ იკმარებდა. აქ დავანებულია თქვენი საუნჯე, აქ მოუყრია თავი: მწერლების, საზოგადო მოღვაწეების, გულითადად გაღებულ სითბოს, სიყვარულს.

თქვენი 85 წლის იუბილე უხმაუროდ არც საქართველოს მწერალთა კავშირს ჩაუტარებია. ჩვენც ვუერთდებით მისალოცი სიტყვის პათოსს.

თქვენი პოეზიის ლირიკული გმირი სტორის – თუშეთის ულამაზესი მდინარის პირას დგას და იქიდან ულამაზეს ფარდაგად გადაშლილ საქართველოს ლოცავს. ეს ლოცვა რაღაც მაგიური ძალით დიდგორამდეც აღწევს, შამქორამდეც, ბასიანამდეც, ასპინძამდეც და კრწანისის სისხლისფერ სანახებამდეც. სტორი კი – ეს დამფრთხალი ულაყი ჭიხვინით გარბის ხევ-ხევ.

თქვენმა საუკეთესო ლექსებმა უპირველესად ერთ სიფრიფანა კრებულში დაიდო ბინა, „თუშური მოზაიკა“ რომ ჰქვია სახელად. ამ კრებულს ძალუმად ამჩნევია ნიჭიერების კვალიც და ერთგულებასთან შეზრდილი დიდი სიყვარულის ათინათიც. ნაღდი, ჭეშმარიტი პოეტი ხართ და მკითხველს ხიბლავთ საოცარი, მხოლოდ თქვენეული ხილვებით და ელვარებით, როგორ შეგიძლიათ იმის დანახვა, თუ რა გავეშებით ხრავენ ლაგამს ყალყზე შემდგარი ჩანჩქერები, რა სასწაულებრივად ძალგიძთ ცის გუმბათზე მოკიაფე მინანქრების გარჩევა! მუხლმოდრეკილი ავედრებთ უფალს ცოტნეს მოგიზგიზე გულს, თევდორე მღვდლის ნავალ, ნარეკლიან იწროებს, პატარა კახის სიდიადესთან წილნაყარ უკვდავებას, წმინდა ქეთევანის დაშანთულ მკერდს...

თქვენი სახით, კახეთს – საქართველოს ამ უმშვენიერეს ლიბოს ერთი, – გულანთებული ტრუბადური ჰყავს, ჭეშმარიტი მეციხოვნის დარად რომ იღწვის, რათა, ქართული სულიერება არ ჩაკვდეს ერეკლე მეფისა და ბიძინა ჩოლოყაშვილის ნაფუძვარზე. რამდენი გიშრომიათ, რამდენი გილვაწიათ: რედაქტორობდით გაზეთ „კოლმეურნის ხმას,“ „განახლებულ თუშეთს,“ „ბახტრიონს“; იყავით ალმანახ „ალაზნის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე... 2004 წლიდან კი ხელმძღვანელობთ მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურულ კახეთს“...

თქვენს მრავალრიცხოვან ჯილდოებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია: დავით აღმაშენებლის ლიტერატურულ პრემიასა და ოქროს მედალს, ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, გიორგი ლეონიძის, ტერენტი გრანელისა და ჟურნალ „ოლეს“ პრემიებს. დაჯილდოვებული ხართ ქართული კულტურის ამაგდარის მედლით, მონიჭებული გაქვთ ნაყოფიერი, შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის ღვაწლმოსილის დიპლომი, ქართული კულტურის დესპანის საპატიო დიპლომა, არჩეული ხართ თელავის საპატიო მოქალაქედ...

2018 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მარო მაყაშვილის სახელობის დარბაზში გაიმართა ლიტერატურული კონკურსის „შოთაობის“ გამარჯვებულთა დაჯილდოვება. ბატონი ფარნა ამ კონკურსის გამარჯვებული გახლდათ. მინდა შემოგთავაზოთ გამარჯვებულის ერთ-ერთი ლექსი.

საქართველოს, – ანუ და...

უკვდავებაკ შენა ხარ!...

ესაა –
უფლის წყალობა, –
სამოთხე ჩვენთვის ენახა,
ჯერ იყავ
ვაზის მტევანი,
მერე...
გაქციეთ ვენახად...
შემოგვრჩი ზღაპრად,

ლეგენდად,
სანთლით ვლოცავდით
ყველა ხარს,
გვეხნა, გვეთესა, გველეწა,
მიწა მსუბუქად გველახა!
ვინა ხარ?
სიბრძნე დავითის,
შოთას გრძნეული ენა ხარ,
„მხოლოდ გმირს ჰქვია ქართველი“ –
ჩამოგვძახოდა ზენა ხმა...
ეჰე! –
ბევრს სურდა ეგ ხატი
ფეხქვეშ გართხმული ენახა,
ეჯიჯგნა, ეჭრა, ეკუნწა,
ეწამა, ეწვა, ელახვრა...
მახვილით, სულის, ლაჟვარდი,
მაინც, ვერავინ შელახა...
შენა ხარ:
ჩემი ცრემლები
და უკვდავებაც შენა ხარ!...

ელენე ოქრუაშვილი
ფილოლოგიის II კურსის სტუდენტი

ჭეშმარიტი ქართული კულტურის მარგალიტი

ფარნა რაინა (ფარნაოზ რაინაული), გამოჩენილი ქართველი მოღვაწე და პოეტია. მის ლექსებში იგრძნობა პატრიოტული სულისკვეთება, რომელიც, არა მხოლოდ კონკრეტულ კუთხეს, არამედ, მთლიან საქართველოს მოიცავს. ბატონი ფარნას ლექსებში ვხვდებით იმ ისტორიულ ფიგურებს, ვინაც წარსული დიდება მოუტანა საქართველოს. პოეტი წერს: სიყვარულზე, მეგობრობაზე, მსოფლიო მშვიდობაზე, თუმცა, წუხს, თითქოს, ახალმა თაობამ მიივიწყა ის პატრიოტიზმი, რომელიც ქართველ ხალხს ასაზრდოვებდა. ადამიანები მიმოფანტულები არიან მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში და არ უნდა მიივიწყონ ქართული კულტურა, რომელიც წინაპრებმა სისხლის ფასად შემოგვინახეს. სადაც წავლენ, იქაური ქუდი არ უნდა დაიხურონ. ამ მოტივზეა აგებული მისი ერთ-ერთი ლექსი „რა დრო დაგვიდგა“. „რა დრო დაგვიდგა, ვეღარ სცნობს: ძმას – ძმა?! რა დრო დაგვიდგა ვეღარ სცნობს დას –და?!“

ჩემს ხასიათთან ახლოს მოვიდა მისი ლექსი: „სურათი“, სადაც გადმოცემულია კავკასიონის მთების აღწერა: „ისე მოადგა მზე კავკასიონს, როგორც ბახტრიონს გაფრინდაული“. მართლაც, თუშეთის მთებში გაზრდილ ადამიანს შეუძლია გაითავისოს ის ფასდაუდებელი გრძნობა, რასაც სიყვარული ჰქვია. დღეს, აუცილებელია ვიკითხოთ მსგავსი შინაარსის პოეზია, ახალგაზრდებში უფრო რომ ამაღლდეს ეროვნული სულისკვეთება, რადგან მსოფლიო თავისებურმა ქაოსმა მოიცვა. მე მწამს, მხოლოდ, ჭეშმარიტი ლიტერატურა და პოეზია გადაგვარჩენს. „წიგნები იარაღის ნაცვლად, კულტურა ძალადობის ნაცვლად“ (გ. ადლერი „მეოცნებენი“). პოეზია კულტურის ის, ძლევამოსილი ნაწილია, რომელიც ძნელბედობისა და უიმედობის დროს, სინათლესავით ეფინება ქვეყანას. ვისურვებდი, ახალგაზრდებმა წაიკითხონ და ეზიარონ ბატონ ფარნას შემოქმედებას, რომელიც ჭეშმარიტი კულტურის მარგალიტია.

სალომე აზიკური
ფილოლოგიის I კურსის სტუდენტი

გამარჯვებული ჰიმნი

2006 წელს მეღვინე დავით თამარაშვილის ინიციატივით დაიწყო მზადება „ვაზისა და ღვინის“ ჰიმნის შექმნაზე.

დათომ მე მომმართა თხოვნით, რომ აღნიშნული ჰიმნი შექმნილიყო.

თელავის ნიკო სულხანიშვილის სახელობის სამუსიკო კოლეჯის სახელით, რომლის დირექტორი იმ წლებში მე გახლდით, გამოცხადდა კონკურსი ჯერ ტექსტზე და შემდეგ სიმღერაზე.

კონკურსის შესახებ ინფორმაცია გადაიცა რადიო „ჰერეთით“. ჟიურის თავმჯდომარე იყო ვახტანგ კოტეტიშვილი და წევრი დავით მაღრაძე. ჟიურის გადაწყვეტილებით, ჰიმნის ტექსტის გამარჯვებულად გამოცხადდა ბატონი ფარნაოზ რაინაულის ლექსი.

ამის შემდეგ, მუსიკაზე გამოცხადდა კონკურსი, რადგან მინდოდა ყველაფერი ობიექტური ყოფილიყო. მუსიკალური კონკურსის ჟიური გახლდათ: ბიძინა კვერნაძე, ნოდარ მამისაშვილი, გოგა შავერზაშვილი და ზურა ნადარეიშვილი. ამჯერად გაიმარჯვა ჩემმა დაწერილმა ჰიმნმა, რომელიც 2006 წლის 7 ნოემბერს გაჟღერდა თელავის თეატრში, სამუსიკო კოლეჯთან არსებული ვაჟთა გუნდის „თელავის“ და ქალთა კაპელას მიერ, პავლე დემურიშვილის დირიჟორობით.

ვფიქრობ, ჰიმნი საინტერესო გამოვიდა და, უპირველეს ყოვლისა, დიდ მადლობას ვუხდი ბატონ ფარნას, რომლის შესანიშნავმა ლექსმა დაამშვენა „ვაზისა და ღვინის“ ჰიმნი.

ვასილ კევლიშვილი
კომპოზიტორი

შეხვედრა სახელოვან პოეტთან

ყოველთვის საინტერესოა გამორჩეულ, ღირსშესანიშნავ ადამიანებთან შეხვედრა და დიალოგი.

თელავის მერაბ კოსტავას სახელობის IV საჯარო სკოლის (დირექტორი ეკატერინე გიგიტელაშვილი) VIბ კლასის ხელმძღვანელმა ნანა კევლიშვილ-ღარიბაშვილმა ითავა ეს ფრიად დასამახსოვრებელი შეხვედრა, ბატონ ფარნა რაინასთან.

ეს გახლდათ პროექტი სტუდია-დიალოგი – „ვინ ვინ არის?“ რომლის მიზანი არის გამორჩეულ ადამიანებთან შეხვედრა. შეხვედრა გახსნა დამსახურებულმა, სამაგალითო პედაგოგმა ნანა კევლიშვილ-ღარიბაშვილმა.

მე-4 სკოლამ დიდი ეროვნული საქმე ითავა, შეხვედრა მოუწყო გამორჩეულ, გამოჩენილ, სახელოვან პოეტს, თელავის საპატიო მოქალაქეს. მისი ლექსები, აღიარებული შედევრებია, ხოლო კატრენები – გენიალური. ღონისძიებას ესწრებოდნენ: პედაგოგები, სკოლის ხელმძღვანელები, მე-6 კლასის მოსწავლეები და მათი მშობლები, მწერალთა ასოციაციიდან: მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ თავმჯდომარის მოადგილე თინათინ მრელაშვილი, ჟურნალ „ოლეს“ ერთ-ერთი რედაქტორი, ახალგაზრდა მწერალთა სექციის ხელმძღვანელი, – ნუნუ ძამუკაშვილი, კომპოზიტორი ჯუმბერ სახეიშვილი.

„საქართველოო ლამაზო“ პოეტის საყვარელი სიმღერით გაიხსნა ეს გულთბილი შეხვედრა, რომელიც კითხვა-პასუხის ფორმით წარიმართა.

მონიტორზე გამოჩნდა მწერლის სამი ფოტო: ბავშვობის, ყრმობისა და დღევანდელობის.

მწერალმა ისაუბრა ამ ფოტოების მიხედვით, თუ რა საინტერესო ბავშვობა ჰქონდა, თუშეთის ულამაზეს ბუნებაში ფეხადგმულს.

ამ ბუნების ფონზე, მისი რამდენი ლექსი შეიქმნა, როგორ ისმენდა და გულში ინახავდა ლეგენდებსა თუ ხალხურ ლექსებს, რომელიც შემოქმედებით სტიმულად იქცა. პოეტმა რამდენიმე ლექსი წაიკითხა თავისი შემოქმედებიდან. გაიხსენა სტუდენტობა, თელავში მწერალთა სტუმრობები.

ბავშვები საინტერესო კითხვებს სვავდნენ და პოეტიც ხალისიანად პასუხობდა.

კომპოზიტორმა ჯუმბერ სახეიშვილმა სახელოვანი პოეტის ლექსებზე დაწერილი სიმღერები ააჟღერა.

ეს დღე, იმითაც იყო გამორჩეული, რომ დედაენის დღეს დაემთხვა პროექტის პრეზენტაცია. მოსწავლეები ცალკეულ სტროფებად, ძალიან ლამაზად კითხულობდნენ პოეტის გენიალური ლექსის „ქართული ენის სადიდებლის“ 33-ივე სტროფს... ასევე, წაიკითხეს ფარნა რაინას ლექსები, რომლებითაც პოეტი უმღერის: მამულს, თუშეთს, თელავს, ახალგაზრდობას. ბავშვებმა ამ ლექსებით ბევრი სულიერი საზრდო მიიღეს, გაითავისეს პოეტის პიროვნული თვისებები,

რაც მართლაც, სანიმუშო, სამაგალითო და მისაბაძია.

შეხვედრა-დიალოგში მონაწილეობდნენ მოსწავლეები: ელენე ალიაშვილი, სანდრო არუთინოვი, საბა ასაბაშვილი, საბა ახალაური, ლევან ბეჟუაშვილი, მარიამ დათუკიშვილი, მარიამ დაღელიშვილი, დავით ვარდოშვილი, გიორგი კოლხიდაშვილი, თედო მაისურაძე, ნიკა ოსეფოვი, გიორგი ოქრუაშვილი, ანასტასია სამხარაძე, ნიკა სულხანიშვილი, მარიამ სუმბაძე, დიმიტრი ფარეშიშვილი, გიორგი შათირიშვილი, ლუკა ძამუკაშვილი, მარიამ ხაზალაშვილი, ნატალი ხმალაძე.

დიდი მადლიერება გამოხატეს სკოლის პედაგოგებმა და მოსწავლეთა მშობლებმა.

შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდა თინათინ მრელაშვილი, ხოლო ნუნუ ძამუკაშვილმა პოეტს ლექსი მიუძღვნა.

გამშვენებდეს ნობელი

შედევრები როგორ გშვენის?!
ია-ვარდის კონები;
თავს იწონებს, ამ ცა-მზის ქვეშ,
გულში ჩასაკონები...
სუნთქვასავით საარსებო,
საზრდო არის გონების...
სიბრძნის წიგნს რომ გადავფურცლავთ,
რა გვაქვს დასაღონები?!
სულ, წალკოტად გადიქცევა:
წინ რომ დაგვხვდეს ლოდებიც,
სიყვარულის სხივებს მოვკრეფთ,
ყველამ გიძღვნათ – ოდები.
ვეფერებით მზესტრიქონებს, –
ოქროს წყაროდ მოდენილს,
გვინდა მგოსანს, – ღირსეულად
გამშვენებდეს – ნობელი!...

სიბრძნე და სიქველე, რწმენა და სიმართლე, შრომისმოყვარეობა და სიყვარული ჩვენი სათაყვანებელი ქართველი ხალხისადმი, მეგობრებისადმი, მაღალი ზნეობა და ყოველივე დიდაქტიკური, აი, ის ლეიტმოტივი, რომელიც პოეტ ფარნა რაინას შედევრებში ბრწყინავს და ანათებს, სწორედ ასეთი მადლი გასდევს ლამაზ გვირისტად მის შემოქმედებას.

პოეტის განუმეორებელი კატრენები ცხოვრების ბრძენი მასწავლებელი, ხელიხელსაგოგმანებელი აფორიზმებია. ძნელია მათი გამორჩევა. ამჯერად ერთ, ჩვეულებრივ კატრენზე გავამახვილებ ყურადღებას.

ილიას გზით, – აი, ჩვენი წინსვლის, ჩვენი წარმატებების, ჩვენი მომავლისათვის, სწორი გზა.

მხოლოდ და...
მხოლოდ!!!..
ჩვენი – სიცოცხლე,
ჩვენი – რწმენა,
ჩვენი სიკეთე:
მამულისათვის, –
ხალხისათვის
ვფიქრობთ და...
ვიბრძვით!!
თუ, გვსურს –
გადავრჩეთ,
თუ, მამულის
ნათელს ვიკეთებთ,
მხოლოდ და...
მხოლოდ:
ილიას –
გზით!!!
ილიას
სიბრძნით!!!

ნანა მასწავლებელმა, მართლაც, მეტად საშვილიშვილო საქმე ითავა, რომ შეხვედრა მოუწყო: გამოჩენილ, საქვეყნოდ აღიარებულ, გამორჩეულ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს და მისი განვლილი გზა მათთვის სამაგალითოა.

ეს შეხვედრა ხაზგასმულია იმითაც, რომ მწერლობა არ არის დაკარგული, როგორც ზოგს ჰგონია რომ... იგი ისევ, ერისა და ქვეყნის ჯავშანი და ბურჯია.

დასასრულს, სკოლის სასაწავლო ნაწილის გამგემ, მანანა ცერცვაძემ შეაჯამა შეხვედრის მნიშვნელობა, მადლობა გადაუხადა კლასსა და მის ხელმძღვანელს.

ბატონი ფარნა არჩეულ იქნა მე-4 საჯარო სკოლის საპატიო წევრად.

დირექტორის მოადგილემ გვანცა მოლაშვილმა კი იგი საპატიო სიგელით დააჯილდოვა.

მოსწავლე თედო მაისურაძემ კლასის სახელით პოეტს გადასცა ყვავილები და ჟურნალ „ოლეს“ საკუთარი ხელით შესრულებული ლამაზი ნახატი.

ბატონმა ფარნა რაინამ დიდი მადლიერება გამოხატა მისი შემოქმედების მაღალი დაფასებისათვის.

ბოლოს, ნანა მასწავლებელმა უდიდესი მადლობა გადაუხადა მოწვეულ სტუმრებს და აღნიშნა, რომ პროექტში მოწვეულმა სტუმარმა თავისი განვლილი ცხოვრებით უდიდესი მაგალითი მისცა მოსწავლეებს და შემდეგშიც ასე გარძელდება ეს პროექტი.

მეტად მნიშვნელოვანი იყო ბავშვების საჩუქარი ბატონი ფარნასადმი – შესანიშნავი ქანდაკება „სამი ვარსკვლავისა“ – პატარა, საშუალო და დიდი, რომელმაც სიმბოლურად, ფარნა რაინას ცხოვრების 3 ეტაპი გაგვახსნა. წერილი მინდა დავასრულო პაწაწინა ლექსით, რომელიც მის განვლილ ცხოვრებას ასახავს.

,,ბატონი ფარნა რაინაული
მაგალითია დღეიდან ჩვენთვის,
გვინდა მოგიძღვნათ სამი ვარსკვლავი
საინტერესო ცხოვრებისათვის".

ნუნუ ძამუკაშვილი

**მაყვალა
მიქელაძე**

თელავის საპატიო მოქალაქე

საბედნიეროდ თელაველებს საკმაოდ გვყავ-ნან გვერდით ასეთი, უფლის მადლით ცხებულ-ი ქალებიც და კაცებიც, რომელთა შორისაც მის მიმართ განცდილი დიდი მადლიერებისა და პატ-ივისცემის განცდით მინდა გამოვარჩიო ნიჭ-იერებითა და კეთილშობილებით უხვად შემკ-ული ქალბატონი – ჟურნალისტი მერი ზაალიშ-ვილი.

მ. მიქელაძე

უფლის მსახური

სამშობლოსავით საყვარელი ქალბატონი

(ციკლიდან – თელავის საპატიო მოქალაქეები)

,,ყოველი ადამიანი მოთხრობა მგონია,
მე მხოლოდ სახელს ვუძებნი მას“.
გოდერძი ჩოხელი

ცხოვრების რთულსა და მიმოხვეულ გზა-ბილიკებზე სხვადასხვა დროსა და ადგილას ბევრს უთქვამს უკვე და სიამაყით ახლა მეც ვიმეორებ:

— სამყაროსაც და სიცოცხლესაც ადამიანები ვულამაზებთ-მეთქი ერთმანეთს.

გაფიქრებაც კი ძნელია, რანი ვიქნებოდით, ან საერთოდაც რა იქნებოდა ჩვენი ყოფიერება, ღვთით კურთხეული და მისგანვე თანამოძმეთა მსახურების საგანგებო მისიით მოვლენილი რჩეული ადამიანები რომ არ გვილამაზებდნენ ერთმანეთის გულებისაკენ სავალ გზას.

ეს უფლის მსახურები, რჩეულნი რჩეულთა შორის, წუთითაც არა გვტოვებენ მარტოსა და მიუსაფარს რიგით მოქალაქეებს: განსაკუთრებული ნიჭიერებისა და ზეციერისაგან გულში უხვად ჩანერგილი სიკეთის წყალობით ისინი ჩვენთან არიან ცხოვრების მრავალსახოვან რთულ სიტუაციებში და გვასწავლიან მათი გადალახვის გზებსა და საშუალებებს; ბოლომდე მიაქვთ გულთან ჩვენი წუხილი თუ სიხარული და გვიჩვენებენ შესაძლებლობებს, როგორ მოვერიოთ ერთს და როგორ გავიხანგრძლივოთ მეორე; გვასწავლიან, როგორ ავარიდოთ თავი გამოუცდელობის გამო ჩვენსავე ყოველდღიურობაში მოსალოდნელ შეცდომებს, რათა სიცოცხლის ბოლოს არ გვწვავდეს სირცხვილი უაზროდ და უშინაარსოდ გატარებული დღეებისა თუ წელიწადების გამო.

საბედნიეროდ თელაველებს საკმაოდ გვყავ-ნან გვერდით ასეთი, უფლის მადლით ცხებული ქალებიც და კაცებიც, რომელთა შორისაც მის მიმართ განცდილი დიდი მადლიერებისა და პ-ატივისცემის განცდით მინდა გამოვარჩიო ნიჭ-იერებითა და კეთილშობილებით უხვად შემკ-ული ქალბატონი – ჟურნალისტი მერი ზაალიშ-ვილი. ქალბატონი მერის შესახებ წერას მისი განსაკუთრებული ნიჭიერებისა და ასეთივე განსაკუთრებული საქვეყნო მსახურებისათვის მიღებული ოფიციალური ჯილდოების გრძელი და

მერი ზაალიშვილი

საამაყო ჩამონათვალით დავიწყებ:

— 1954 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა თელავის ქალთა III საშუალო სკოლა და ჩაირიცხა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჟურნალისტიკის განხრით;

— 1959 წელს წითელ დიპლომზე დაამთავრა არჩეული სპეციალობა და კორექტორად დაიწყო მუშაობა თელავის გაზეთის – „კოლმეურნის ხმის“ – რედაქციაში. აქ მან, როგორც მოსალოდნელი იყო, მოკლე ხანში წარმატებით გაიარა ყველა საფეხური კორექტორობიდან გაზეთის რედაქტორობამდე; მისი ინიციატივით იყო, რომ გაზეთს მალევე შეეცვალა სახელი და ,,ალაზნის განთიადი“ ეწოდა;

— საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 11 ივლისის განკარგულებით „ქართული ჟურნალისტიკის განვითარებაში შეტანილი პირადი წვლილისათვის, რეგიონში მიმდინარე აქტუალური ცხოვრებისეული თემების მაღალპროფესიულ დონეზე გაშუქებისათვის და საერთოდ ნაყოფიერი საზოგადოებრივი საქმიანობისათვის“ დაჯილდოებულია „ღირსების ორდენით“;

— 2018 წელს ქართულ ჟურნალისტიკაში ხანგრძლივი წარმატებული მოღვაწეობისათვის საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის გადაწყვეტილებით მიენიჭა „საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის“ საპატიო წოდება;

— სხვადასხვა წლებში ქალბატონი მერი არჩეულია დიდი ეროვნული ტრადიციების მქონე სოფელ იყალთოსა და ვაჟა-ფშაველას ინიციატივით დაარსებული სოფლის – ლაფანყურის – საპატიო მოქალაქედ;

— 2022 წლის 7 ნოემბერს, ერეკლეობის სახალხო დღესასწაულზე, არჩეულია თელავის საპატიო მოქალაქედ.

განსაკუთრებული ნიჭიერებით მონიშნული სკოლისა და სტუდენტობის საამაყო წლების შემდეგ მერი ზაალიშვილის მიერ ხანგრძლივი წარმატებული ჟურნალისტური მოღვაწეობისათვის მიღებული ჯილდოების გრძელი ჩამონათვალი ნათელყოფს მისი საზოგადოებრივი თუ ეროვნული საქმიანობის ფართო მასშტაბებს. მის გვერდით ჩვენი, თელავქალაქელების, ყოველდღიური ცხოვრება ამაღლებული პოეტური ყოფნის სახეს იძენს, ზეიმობენ ნიჭიერება, პიროვნული ღირსება და გამორჩეული კეთილშობილება. გულითადი მადლობა ქალბატონ მერის ყველაფრისათვის!

საქვეყნოდ უკვე აღიარებულია, რომ სხვადასხვა ენაზე გაზრდილი ადამიანები შინაგანი ბუნებით მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რადგან ყოველი ენა მასზე მოლაპარაკეთა სწავლა-აღზრდის შინაგან კანონთა თავისებურ კრებულს წარმოადგენს. ისიც კარგადაა ცნობილი, თუ რა როლს ასრულებს ბუნება ანუ ლანდშაფტი მის გარემოში მცხოვრები ადამიანების სულიერ ფორმირებაში. ცნობილი გერმანელი პოეტი და ფილოსოფოსი ნოვალისი ღრმა რწმენით მოძღვრავს მკითხველს იმის შესახებ, რომ:

— „ყოველი ლანდშაფტი არის იდეალური სხეული

განსაკუთრებული სახეობის სულისათვის“.

სამშობლო ანუ განუმეორებელი დედა-დედულეთი თითოეულ ჩვენგანისა, ასე მკვეთრად რომ განსაზღვრავს ჩვენს სულიერებას, ქვეყნის იმ უბე-კალთებიდან იწყება, სადაც დავიბადეთ და ფეხი ავიდგით, სადაც შევისისხლხორცეთ აკვნის სურნელით გაჯერებული ნექტარივით ტკბილი მუსიკა დედაენისა. ღვთისა და ხალხის მსახური ჟურნალისტის – ქალბატონ მერი ზაალიშვილის – საგვარეულო სამოსახლო კახეთის ულამაზესი სოფლიდან – კისისხევიდან – იწყება და გამორჩეული სიყვარულიც მისი თანა აქვს გამოყოლილი.

სოფელი კისისხევი მსოფლიოს ერთი ყველაზე მისტიკური ადგილია, საინტერესო მითებისა და ლეგენდების სამყარო. სოფლის შიგნით და უფრო მრავლად კი მის გარშემო ველ-მინდვრებსა თუ ტყის კორომებში მიმოფანტულია ადრექრისტიანული ხანის რელიგიური ნაგებობანი, რომელთა რიცხვი 63-ს აღწევს. მათი უმრავლესობა ნანგრევების სახითაა დღემდე შემორჩენილი, რამდენიმე კი, როგორც იტყვიან, ფეხზე დგას ჯერაც. საოცრებას წარმოადგენს აგრეთვე სოფლის ზურგით მდგარი გომბორის ქედის კლდოვან ფერდობზე გამოკვეთილი მტრისგან თავდასაცავი უხსოვარი დროის ძეგლი – ქალაქი!..

ყველაფერთან ერთად, ცხადია, ქალბატონი მერის განწყობას სოფელ კისისხევთან მიმართებით კიდევ უფრო აღრმავებს მასთან გვაროვნული დამოკიდებულების განცდა. საყოველთაოდაა ცნობილი, რომ კახეთის ბოლო მეფის – გიორგი XII-ის შვილებიდან ერთერთს, სწორედ ზაალს, რგებია სამემკვიდროდ და საცხოვრებლად სოფელი კისისხევი. ეს ის ზაალ ბაგრატიონია, ყაზვინში რომ ახლდა რუსებთან მოსალაპარაკებლად ჩასულ მეფეს და იქვე გარდაიცვალა. სწორედ მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად ზაალიშვილებად გადაუკეთებიათ გვარი ქალბატონი მერის წინაპრებს და სიამაყით ატარებენ დღემდე ამ გვარს მომდევნო თაობები.

ნათელია, რომ დედა ენაში ჩაქსოვილი მაღალი ზნეობრიობის უმკაცრეს კანონებთან ერთად ცის ამ ულამაზეს კარიბჭესთან ცხოვრებამ გამოძერწა ამქვეყნიური ამაოებისადმი შეურიგებელი ბუნება ქალბატონი მერი ზაალიშვილისა. მკაცრად არის მასთან მოზომილი ნივთი, საგანი, სიტყვა და საქმე. შორს, თვალსაწიერს მიღმა დარჩენილები, ფუნქციას კარგავენ ფუფუნების საგნები, ზნეობის სასწორზე კი რჩება მხოლოდ პიროვნება თავისი ადამიანური ღირსებით,

საქვეყნო ღვაწლითა და ამაგით.

ამაღლებული ადამიანური ყოფნის ეს მკაცრი შინაგანაწესი ქალბატონ მერის ბოლომდე აქვს მორგებული თავისი ოჯახის წევრებზეც. მეუღლე მისი, აგრეთვე თელავის ღირსეული მოქალაქე – ფანცქალა წიქარაძე, ბოლომდე რომ ამართლებდა მერისთან მიმართებით ღრმააზროვან ქართულ გამოთქმას „ფერი ფერსაო“, სამწუხაროდ, მალე დაიღუპა, მთელი თოთხმეტი წლის წინ. ასე დარჩა ქალბატონი მერი მარტოდ შებმული ორი შვილის დედისა და ოთხი შვილიშვილის ბებიის საპასუხისმგებლო უღელში. საამაყო აღსანიშნავია, რომ აქაც თავი იჩინა მისმა მებრძოლმა ბუნებამ: დროულად მოიკრიბა როგორც სულიერი, ისე ფიზიკური მხნეობა და ღირსეულად იხდის მარტოხელა დედისა და მარტოხელა ბებიის საპასუხისმგებლო მოვალეობას.

დღეს ქალბატონი მერი უკვე დიდი ბებიაა, ისევ მხნე და საქმიანი. ის ისევ აქტიურად განაგრძობს ხალხისა და ქვეყნის მსახურების საკუთარი ნებით არჩეულ გზას: რეგიონში მიმდინარე აქტიური ცხოვრებისეული თემების მაღალპროფესიულ დონეზე გაშუქებით ყოველდღიურად მატულობს მისი პირადი წვლილი ქართული ჟურნალისტიკის განვითარებაში; ცალკე მსჯელობის საგანს წარმოადგენს აგრეთვე მისი ნაყოფიერი საზოგადოებრივი საქმიანობაც.

მშობლიური ქვეყნისა და ხალხის უანგარო მსახურის – ქალბატონ მერი ზაალიშვილის – უფრო ზედმიწევნით წარმოდგენისათვის თვითდახასიათების ჯერხანად ნაკლებად გაშიფრულს, მაგრამ ძალიან საინტერესო მეთოდს დავეყრდნობით. მხედველობაში გვაქვს უნიჭიერესი ქართველი მწერლის – მუხრან მაჭავარიანის — კატეგორიული განაცხადი იმის შესახებ, რომ:

– „ადამიანს შეუძლია მარტო თავისი თავი დაახასიათოს, ისიც მხოლოდ მაშინ, როცა სხვას ახასიათებს“. ყველაფერი დღესავით ნათელია, იმდენად მარტივად იკითხება ამ მოკლე აფორიზმში მწერლის მიერ ჩადებული ბრძნული მოთხოვნა სხვისი ადამიანური ღირსების სავალდებულო დაცვის თაობაზე.

ჩვენი გზა დასახული მიზნისაკენ გახსნილია, რადგან ხელთ გვაქვს სულ რამდენიმე თვის წინ გამოსული მრავალპლანიანი და ფართო მასშტაბიანი წიგნი მერი ზაალიშვილისა:

,,ცის გზით
ანუ
აბრეშუმის დიდი გზა,
თელავი და თელაველები,“ —

სადაც ავტორს დიდი ენთუზიაზმით ჰყავს მკითხველის წინაშე წარმოდგენილი და დახასიათებული მაღალი საზოგადოებრივი მოღვაწეობით გამორჩეული 30-ზე მეტი პიროვნება. წიგნის შინაარსი და განხილულ საკითხთა თანამიმდევრობა ზედმიწევნით მიჰყვება სათაურში წარმოდგენილ მათსავე რიგს, მკითხველის წინ კი საზოგადოებრივ ღირებულებათა შემეცნების ფართო შთამბეჭდავი ველი იშლება, სადაც მხოლოდ ზეადამიანობით გამორჩეულ სულთა ღაღადისი ისმის.

მსჯელობას ავტორი ქართული ენის უსაზღვროდ მდიდარი გამომსახველობითი შესაძლებლობების განხილვით იწყებს, რასაც „გზის“ შემცველი სიტყვათკომპლექსების მაგალითზე აკეთებს და სიამაყით ცალკ-ცალკე განიხილავს მნათი შინაარსობრივი მრავალსახეობის ყველა ვარიანტს. ის „გზის“ ფენომენთან საერთოდ ქართველების, კერძოდ კი მისი თანაქალაქელების საკრალური დამოკიდებულებით ხსნის თელავში ფართოდ გავრცელებულ ლეგენდას „ცის გზის“ შესახებ, წმინდანად შერაცხული წამებული ქეთევან დედოფლის დაშანთული მკერდიდან ამაღლებულმა ჯვარმა რომ გამოიარა კახთ მეფეთა რეზიდენციამდე – თელავამდე.

ქალბატონი მერი უზომოდ არის თელავზე შეყვარებული, ამაყობს მისი აწმყოთი თუ წარსულით და ძალიან ახარებს ის გარემოება, რომ შორეულ წარსულში ჩინეთიდან ევროპაში გამავალი დიდი საქარავნო გზა სწორედ თელავზე გადიოდა; აქ იყო მოწყობილი ქარავნისა თუ თვითონ მექარავნეთა დასასვენებელი და ბარგის სათავსო ადგილები. „აბრეშუმის დიდი გზის“ საკითხი ხდება ამის შემდეგ მთელი მისი შემდგომი მსჯელობის წამყვანი თემა.

— „აბრეშუმის გზის“ თემას ვიწყებ ჩემი თანაქალაქელებით და ჩემი ქალაქით, რომლებიც „დიდი აბრეშუმის გზასაც“ და „ოდესმე დიდ საქართველოსაც“ ისევე წარმოაჩენს და ისევე განასახიერებს, როგორც ერთი წვეთი წყალი მთელ ოკეანეს,“ – ბრძანებს ავტორი.

„დიდი აბრეშუმის გზის“ თემასთან თავისი თუ საერთოდ მისი თანაქალაქელების საკრალურ დამოკიდებულებას მოცემული გზის მაღალი დანიშნულებით ხსნის ქალბატონი მერი: — „მხიბლავს სიტყვათ გასაოცარი შეხამება „აბრეშუმის გზა“, მითუმეტეს „დიდი აბრეშუმის გზა!“ არა ქვა-ღორღით, ათასი ხიფათით და მზაკვრობით ბრძოლის, ხოცვა-ჟლეტის და საშინელ საომარ მოქმედებათა გზა, არამედ ადამიანების, ხალხების, ქვეყნების და სახელმწიფოების ურთიერთ თანამშრომლობის, ერთმანეთისაგან სწავლისა და ცხოვრების განკარგვების, სიცოცხლის სიხარულით ავსების აბრეშუმის გზა, დიდი, დიდი აბრეშუმის გზა, რომელიც ისე გველამუნება, როგორც გნებავთ ჩინური და გნებავთ ქართული აბრეშუმი“.

ასეთი ახსნა-განმარტებითი შესავლის შემდეგ უკვე ცალკ-ცალკე ვეცნობით წიგნის გმირებად წარმოდგენილი ადამიანების მთელ წყებას, „თელავიზმით“ შეპყრობილების სახელით რომ გვაცნობს ავტორი. „თელავიზმი“, „თელავომანი“, „თელავოლოგი“ (თელავის სიყვარული, თელავზე

შეყვარებული, თელავის შემსწავლელი) – ეს საწერ თემასთან დაკავშირებული თვითონ ქალბატონი მერის მიერ შემოტანილი ახალი ტერმინებია, სათქმელის მკითხველამდე მოკლედ და მთელი სიზუსტით მიტანას რომ ემსახურება.

განსაკუთრებული სიამაყით და სიყვარულით გამორჩეული „თელავიზმით შეპყრობილი“ ადამიანებიდან წიგნში პირველს ბატონ ალექსანდრე გვენცაძეს ვეცნობით, თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს, მთელი საქართველოს მასშტაბით ცნობილსა და დაფასებულ პიროვნებას. „მაშინ, გასული საუკუნის 70-იან წლებში, როცა დიდ საბჭოეთში აღარავის ახსოვდა „ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო“, ალექსანდრე გვენცაძე ერის კულტურულ-ისტორიული მეხსიერების სრულიად განსხვავებულ აქცენტებს განასახიერებდა“, – გაცნობიერებული სიამაყით გვიყვება ავტორი.

წლების მანძილზე ბატონ ალექსანდრეს თავის გარშემო დიდი ენთუზიაზმით ჰყავდა შემოკრებილი „თელავიზმით“ შეპყრობილი ახალგაზრდების მოზრდილი ჯგუფი, მათ შორის თვითონ წიგნის ავტორიც და მათთან ერთად ხშირად აწყობდა ფეხით მოსიარულეთა ექსპედიციებს, რათა როგორმე მიეგნოთ ოდესღაც თელავში გამავალი ჩინეთის „დიდი აბრეშუმის გზის“ დღემდე შემორჩენილი ნაკვალევისათვის და მერე სიამაყით საქვეყნოდ გაესაჯაროებინათ. საქმე ეხებოდა საუკუნეების წინ ათასობით კილომეტრებზე გადაჭიმული გზის ოდესღაც საგულდაგულოდ მომზადებულ აგურფენილით მოწყობილ ტრასას, რომელიც დროთა სვლაში სახნავ მამულებში მოექცა და ამ მამულების ინტენსიური დამუშავების მიზეზით დღეს მხოლოდ დამსხვრეული აგურების გროვებადღაა აქა-იქ შემორჩენილი.

ქალბატონი მერი არა ზოგავს დროსა და სტრიქონებს, რათა რაც შეიძლება მეტი სისრულით წარმოუდგინოს მკითხველს „თელავიზმით“ შეპყრობილი ეს ყველასათვის სათაყვანო პიროვნება. დიდია წიგნში მაშინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ბატონ ალექსანდრე გვენცაძის განსაკუთრებული თავდაუზოგავი მოღვაწეობის ჩამონათვალი. ესაა მიზეზი, რომ ავტორსაც და მკითხველსაც შეთანხმებულებივით ერთად გვეძალება ამ საოცარი პიროვნებისადმი განუზომელი სიყვარულისა და პატივისცემის განცდა.

ნიშანდობლივია ძალიან ქალბატონი მერის პიროვნული ღირსების თვალსაზრისით ის რეალობა, რომ თანაქალაქელ საზოგადო მოღვაწესთან – ალექსანდრე გვენცაძესთან – თავისი ამ განსაკუთრებული ზეადამიანური განწყობის გადმოსაცემად ეცოტავება მას დედა ენაში აქამდე ხმარებული ყველა სიტყვა და გამოთქმა, რის გამოც შემოაქვს ახალი, აქამდის არსად გაგონილი და არსად წაკითხული უღრმესი შინაარსის სიტყვათშეხამება:

„სამშობლოსავით საყვარელი“.

დროა საჭირო ამ ახალი უჩვეულო ტერმინის ავტორის დონეზე გასააზრებლად, რის გამოც ჩერდება და პაუზას აკეთებს დაბნეული მკითხველი. ამასაც ითვალისწინებს ქალბატონი მერი და მალევე არეგულირებს სიტუაციას იმავე შინაარსის ისევ ახალი, მაგრამ შედარებით მარტივი წყვილის „გვენცაძის სინდრომის“ შემოტანით.

საკმაოდ ბევრი დაფიქსირდა თელავში „სამშობლოსავით საყვარელი“ ანუ „გვენცაძის სინდრომით“ შეპყრობილი პიროვნება, მაგრამ მათ შორისაც გამონახა წიგნის ავტორმა რჩეული: ასეთი აღმოჩნდა ყველასათვის კარგად ნაცნობი და საპატივცემლო ადამიანი, ძირძველი კახელი – ბატონი გიორგი (გია) არსენიშვილი. გიაზე, როგორც სამშობლოსავით საყვარელ ადამიანზე, საოცარი გამეტებით და სიამაყით იწყებს თხრობას ქალბატონი მერი:

— „ვინც იცნობდა ბატონ გია არსენიშვილს (და ვინ არ იცნობდა მას!), იცის ყველამ, რომ ეს თხემით ტერფამდე თელაველი კაცი იყალთოური წარმომავლობით – თავისი დიდი განათლებულობით (მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი), ქართული თუ მსოფლიო ლიტერატურის, ხალხური პოეზიის და კიდევ რა ვიცი, რის არ მცოდნე, – ეს თბილი, ღიმილიანი მოსიყვარულე ახალგაზრდა კაცი ხალხის მსახურების რა საოცარ ნიმუშებს სთავაზობდა გარშემო თავის თანამედროვეებს, როგორც თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, როგორც კახეთის გუბერნატორი, როგორც საქართველოს სახელმწიფო მინისტრი!“

ბატონი გია არსენიშვილის ასეთი ღრმა სიყვარულით გაჯერებული ზოგადი დახასიათებით არა კმაყოფილდება ქალბატონი მერი და დიდი გატაცებით გვიყვება სახასიათო მონაკვეთს მისი ცხოვრებიდან, თუ როგორ გაიარა მან ფეხით თანაქალაქელ თამაზ აბდულაშვილთან ერთად დიდი აბრეშუმის გზის მონაკვეთი თელავიდან მცხეთამდე:

— „თელავის ეს ორი საპატიო მოქალაქე თურმე თურდოს ხევის გაყოლებაზე გულულა ტყე-ტბის ნამოსახლარების გავლით, სარკინეთის მთის (ახლა ფსიტის ციხეს რომ ეძახიან), ძველი შუამთის, სოფელ ვერონას და ძველი გზის სხვა მონაკვეთების გავლით ფეხით ჩასულან მცხეთაში!“

მრავლისმთქმელია თვითდახასიათების თავისებური მეთოდის თვალსაზრისით ავტორის მიერ დიდი სიამაყით მონაყოლი იმის შესახებაც, რომ გია არსენიშვილი თურმე „თავის მეგობრებთან: თენგიზ ოქროცვარიძესთან, ბიძინა სონღულაშვილთან და ბიძინა ბიძინაშვილთან ერთად ყოველი წლის 7 ნოემბერს, ერეკლე მეფის დაბადების

მაყვალა მიქელაძე

დღეს, ჩადიოდა სვეტიცხოვლის დიდ ტაძარში, სადაც „საქართველოს ცხელი გული ასვენია“ და მამა-პაპურად მუხლს იდრეკდა ხალხის სათაყვანო მეფის, ვალმოხდილი და ამაგდარი წინაპრის საფლავთან“.

ქალბატონი მერი მიიჩნევს, რომ უამრავი ღირსებითა და განსაკუთრებული კეთილი გულით დაჯილდოებული ეს დიდებული ადამიანი კიდევ უფრო მაღალ განზომილებაში წარმოაჩინა იმ გარემოებამ, რომ ხალხმა მისი უცაბედი ნაადრევი გარდაცვალება მაშინდელი მთავრობის სამარცხვინო დადგენილებას დაუკავშირა, რომლის მიხედვითაც რუსეთთან დადებული ზავის ბრალდებით უნდა აეღოთ და გაენადგურებინათ თელავში მეფე ერეკლე II-ის ძეგლი, ამ სამარცხვინო დადგენილების სისრულეში მოყვანა კი გია არსენიშვილს ევალებოდა თურმე.

ღრმა არის ძალიან და მრავლისმთქმელი თვითონ წიგნის ავტორის ნიჭიერებისა და სულიერი სიმაღლის შესახებ ის მოკლე, სულ ერთწინადადებიანი დასკვნა-დახასიათება, გია არსენიშვილის პიროვნების ღვაწლის შესახებ რომ იძლევა ის მსჯელობის დასასრულს:

— გია არსენიშვილის სახით კახეთმა თავისი სიდინჯითა და სიბრძნით, ჩვეული სიდარბაისლითა და გონიერებით შექმნა სამშობლოს ჩუმი, უკვნესელი, უხმაურო მსახურების მაგალითი“.

ქალბატონი მერი ბრწყინვალედ ერკვევა ზოგადი ფსიქოლოგიის პრინციპებში, კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ ადამიანის მთლიანი ბუნება ხშირად მისი ერთი სიტყვით, ან საქციელის ერთი პატარა მონაკვეთით იკითხება. ამის შესანიშნავი მაგალითია მის მიერ თავისი საუკეთესო მეგობრის, სიცოცხლეშივე თელაველების საყვარელ ლეგენდადქცეული, „დედაენაზე დაქორწინებული“ ქალბატონის – ლეილა შალვაშვილის – წარდგენა-დახასიათება მკითხველის წინაშე იმის გახსენებით, რომ ადრე ოცნებაში ისინი 600-ზე მეტი ქართული ჯიშის ვაზისგან თელავის შუაგულში ჩამომდინარე ხევის ორივე სანაპიროზე ერთად აშენებდნენ „დედა ენის ხეივანს“, რომლის შუაგულში „დედა ენის სასახლე“ უნდა მოეწყოთ.

— „ერთად ვკაზმავდით ქართული ანბანით, მართლაც, იგავმიუწვდომელი სილამაზის, ქართველი კაცის ნალოლიავები ასომთავრულით დედა ენის ხეივნის ცენტრში აშენებულ დედა ენის სასახლეს,“ - დიდი ენთუზიაზმით იხსენებს მერი.

მკითხველის წინაშე პიროვნების წარდგენა-დახასიათების კიდევ ერთ თავისებურსა და ძალიან საინტერესო მეთოდს ვეცნობით ქალბატონ მერისთან. მხედველობაში გვაქვს განსაკუთრებული ნიჭიერებითა და კეთილშობილებით გამორჩეული თანაქალაქელის – ბატონ ჯემალ აფციაურის – დასახასიათებლად ყოველგვარი კომენტარისა, შემოკლებისა თუ ცვლილების გარეშე წიგნში შემოტანილი მისი 5 გვერდიანი მისალოცი სიტყვა, რომელიც სახელოვანი ქართველი მოღვაწის – ბატონ ნიკო ჭავჭავაძის – საიუბილეო საღამოზე წარმოუთქვამს თელავში. დამოწმებული საიუბილეო სიტყვა განუზომელი სიყვარულითა და პატივისცემით არის გაჯერებული ადრესატის მიმართ. გარდა ამისა, ის ყურადღებას იქცევს ორატორის საოცარი ნიჭიერებით, დახვეწილი არისტოკრატიზმითა და მაღალი კეთილშობილებით. ნათქვამის განსაკუთრებული შინაარსობრივი ტევადობის საჩვენებლად სიმარტივისათვის მხოლოდ ერთ წინადადებას დავიმოწმებთ ტექსტიდან:

— „ამ არცთუ მხარ-ბეჭად ქცეულ კაცში კელაპტართა ღვთიური შუქით გაჩახჩახებული ალავერდია ჩატეული და ალბათ ამიტომაც სჯერა მისი ახალგაზრდას, როგორც ღრმადმორწმუნეს ქრისტეს ჯვარცმისა და მისი კვალად აღდგომისა“.

მოხიბლული კითხულობ ამ საოცრად დახვეწილი და შთამბეჭდავი მისალოცი სიტყვის ჩანაწერს და გეძალება ფიქრი იმის შესახებ, რომ: სხვისი ამდენი სიკეთე და ღირსება რომ სათანადოდ დაინახო და სიყვარულისა და თაყვანისცემის ასეთ დონეზე გაასაჯაროვო, ასეთივე მაღალი ზნეობრიობის არისტოკრატი უნდა იყო შენ თვითონ, ასეთივე ამაღლებული სულისა და გულის პატრონი, სულ ერთია მწერალი ხარ, ჟურნალისტი თუ ხალხის წინაშე სიტყვით გამოსული ორატორი.

მოჯადოებულივით მიჰყვები წიგნის ავტორის მიერ მკითხველის წინაშე დიდი სიყვარულითა და სიამაყით წარმოდგენილი „გვენცაძის სინდრომით შეპყრობილი“ ადამიანების გრძელ რიგს და უკვე ბოლოში გასული გაკვირვებით აცნობიერებ, რომ თითოეული პერსონაჟის დახასიათება სულ სხვადასხვა, ერთმანეთისაგან განსხვავებული კუთხითა და მეთოდით ხდება, შედეგად კი იქმნება საქვეყნო ღვაწლითა და ამაგით გამორჩეული, „სამშობლოსავით საყვარელი“, ყველასათვის მისაბაძი ზე-ქალისა და ზე-კაცის ერთიანი, იდეალური ხატი.

— დასკვნისთვის კიდევ ერთხელ მივუბრუნდებით დიდი პოეტის — მუხრან მაჭავარიანის – ზემოთ ჩვენს მიერ უკვე დამოწმებულ განაცხადს იმის შესახებ, რომ სხვისი დახასიათებისას ადამიანი გაუცნობიერებლად საკუთარ თავსაც ახასიათებს. ამის მიხედვით უკვე დაბეჯითებით შეიძლე-

ბა ითქვას, რომ ქალბატონმა მერი ზაალიშვილმა ქვეყნის მსახური ამდენი რჩეული ადამიანის ამდენი კუთხითა და ასეთი ამაღლებული განცდით დახასიათებისას უნებლიედ, როგორც მოსალოდნელი იყო, პარალელურად დაწვრილებით წარმოგვიდგინა საკუთარი „მე“, როგორც უფლის მსახური, „გვენცაძის სინდრომით შეპყრობილი“, „სამშობლოსავით საყვარელი“ პიროვნება.

მე, როგორც გამორჩეულად ერთგული მკითხველი ჩვენ მიერ ზემოთ წარმოდგენილი და საკმაოდ დაწვრილებით განხილული წიგნისა, მოხიბლული ვარ მისი ავტორის ნიჭიერებით, საოცარი კეთილშობილებით, საინტერესო თხრობითა და ტექსტის შინაარსთან ძალიან მორგებული სიტყვათშემოქმედებით. მჯერა, რომ ყველა, ვინც გულისყურით წაიკითხავს წიგნს, ჩვენიანიც და უცხოც, აუცილებლად ,,თელავომანი“ გახდება, მერე კი ავტორის მაღალ სულიერ კეთილშობილებაზე შეყვარებული იტყვის, რომ სხვისი ამდენი სიკეთის აღქმა და ათწლეულობით გულში უდანაკარგოდ ტარება მხოლოდ „სიკეთეზე დაქორწინებულ“ ადამიანებს შეუძლიათ. ასე გახდება ჩვენი უფლის მსახური „სამშობლოსავით საყვარელი“ ქალბატონი – მერი ზაალიშვილი – „სიკეთეზე დაქორწინებული“.

— უმრავლოს განგებამ საქართველოს უფლის მსახური „გვენცაძის სინდრომით“ შეპყრობილი, „სამშობლოსავით საყვარელი“, „სიკეთეზე დაქორწინებული“ ადამიანები!..

— ყველა თელავქალაქელის სახელით დიდი სიყვარულით, მთელი სულითა და გულით ვულოცავ ქალბატონ მერის წლების მანძილზე ქვეყნის ღირსეული მსახურებისათვის მიღებულ ყველა სახელმწიფო ჯილდოს!..

— კიდევ დიდხანს ამაყად ეტარებინოს ხალხის განსაკუთრებული სიყვარულითა და პატივისცემით გაჯერებული საამაყო წოდებები საპატიო იყალთოელისა, საპატიო ლაფანყურელისა და თელავის საპატიო მოქალაქისა!..

— სტატიის მკითხველს კი, მე ჩემის მხრივ, გამოვეთხოვები ცნობილი მწერლის – ნოდარ დუმბაძის – მრავლისმთქმელი სიტყვებით იმის შესახებ, რომ: „ქვეყნად ღმერთმა ადამიანის სახით შექმნა ყველაზე დიდი სასწაული და მან ეს არ იცის“.

თელავი.
ელენე ახვლედიანი

ᲮᲘᲝᲮᲐ

ᲚᲐᲜᲐ ᲛᲐᲜᲕᲔᲚᲘ

ᲛᲔᲚᲐᲜᲘᲡ ᲛᲔᲚᲐᲜᲘᲡ ᲛᲔᲚᲐᲜᲘᲡ ᲛᲔᲚᲐᲜᲘᲡ ᲛᲔᲚᲐᲜᲘᲡ

ᲮᲠᲐᲛᲔᲢᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲔᲚᲐᲜᲘᲡ ᲫᲚᲘᲐᲜ ᲒᲐᲣᲯᲘᲠᲓᲐ ᲠᲣᲚᲘᲗᲘ ᲓᲐ ᲯᲘᲣᲯᲘ ᲛᲣᲠᲐᲓᲘᲡ ᲛᲝᲕᲚᲐ–ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲝᲑᲐ. ᲑᲘᲯᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲙᲔᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲯᲔᲚᲘᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲛᲝᲡᲬᲝᲜᲓᲐ. ᲡᲐᲮᲚᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ ᲣᲠᲔᲕᲓᲐ. ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲒᲐᲠᲔᲗ ᲛᲐᲠᲢᲝ, ᲔᲛᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲒᲐᲓᲘᲝᲓᲜᲔᲜ, ᲡᲐᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲝ ᲒᲖᲘᲡᲙᲔᲜ ᲒᲐᲠᲑᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲒᲣᲚᲡ ᲣᲮᲔᲗᲥᲐᲕᲓᲐ.

ᲛᲔᲚᲐᲜᲘ ᲔᲛᲘᲠᲘᲡ ᲡᲗᲮᲝᲕᲓᲐ, ᲛᲣᲠᲐᲓᲘ ᲛᲐᲛᲘᲓᲐᲛᲘᲡᲗᲐᲜ, ᲣᲙᲐᲜ, ᲐᲜᲙᲐᲠᲐᲨᲘ ᲓᲐᲔᲑᲠᲣᲜᲔᲑᲘᲜᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲡ ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲒᲝᲜᲔᲑᲐᲓ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲝᲓᲐ:

– ᲩᲔᲛᲘ ᲫᲛᲐ ᲯᲔᲠ ᲒᲐᲕᲨᲕᲘᲐ, ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡ ᲛᲐᲚᲔ ᲛᲘᲔᲩᲕᲔᲕᲘᲗ! – ᲐᲛᲨᲕᲘᲓᲔᲑᲓᲐ.

Ლ. ᲛᲐᲜᲕᲔᲚᲘ

ᲛᲔᲚᲐᲜᲘᲡ ᲛᲔᲚᲐᲜᲘᲡ ᲛᲔᲚᲐᲜᲘᲡ ᲛᲔᲚᲐᲜᲘᲡ ᲛᲔᲚᲐᲜᲘᲡ

Il est où le bonheur

ᲡᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ

(ᲠᲝᲛᲐᲜᲘ)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ოლე“ №4, 5, 2021 წელი; „ოლე“ №1, 2, 3, 4, 5, 6, 2022 წელი; „ოლე“ №1, 2023 წელი

ᲡᲘᲖᲛᲐᲠᲘ

მელანი და ელიასი, ხისგან აშენებულ სინაგოგაში ერთად შევიდნენ. იქ ორი სამლოცველო დარბაზი დახვდათ. ერთგან, კედლებში დატანებულ თაროებზე, თორას შესანახი, სხვადასხვა ფერის ხავერდის ნაჭრით გაფორმებული, ცილინდრის ფორმის ყუთები ეწყო. მეორე დარბაზში კი, წმინდა წიგნები, აშკენაზური ტრადიციის მიხედვით, ნაჭრისგან დამზადებულ ჩანთებში, სეფერთორის კაბებში შეენახათ და კედლებზე ჩამოეკიდათ.

ელიასმა, თაროებთან შეყოვნებულ მელანის ხელი ხელში ჩაჰკიდა და ისევ სეფარადულ დარბაზში დააბრუნა. ყუთების სათითაოდ გახსნა დაიწყეს, მაგრამ ყველა ყუთი ცარიელი დახვდათ.

მელანი უცბად ნისლში გახვეულ სასაფლაოზე აღმოჩნდა, იქ საფლავის ყველა ქვას, ერთი და იგივე წარწერა ჰქონდა. ყველგან, – ელიას მიზრაჰი...

მაღლა აიხედა. ცა უცნაურად გაწითლებულიყო და გრუხუნებდა. მელანის შეეშინდა. ელიასი აღარსად ჩანდა. ერთგან, მისი სილუეტი სადღაც, საფლავებს შორის დალანდა. ახლოს უნდოდა მისვლა, მაგრამ როგორც კი რომელიმე მათგანს მიუახლოვდებოდა, საფლავები ქრებოდნენ და მათ ადგილას უზარმაზარი სიპი ლოდები ჩნდებოდა.

სასოწარკვეთილებისგან ძირს დაეცა და ატირდა. უეცრად კალთაში სიმძიმე იგრძნო. ცრემლი მოიწმინდა და რკინის ყუთს თავსახურავი ახადა. შიგნით ხავერდის ნაჭერში გახვეული ებრაელების წმინდა წიგნი იდო...

ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘ

მელანიმ გაოფლილ ლოყაზე ემირის კოცნა იგრძნო. ჯერ კიდევ სიზმრის ზეგავლენის ქვეშ მყოფს, გამოფხიზლება გაუჭირდა.

– Melani, ben otogara gidiyorum, Murat ve halamı getireceğim …*

ცუდი სიზმრის მიუხედავად, მაინც არ უნდოდა რეალობაში დაბრუნება. თურქულად ნათქვამმა სიტყვებმა ყური მოსჭრეს. ბოლო დროს, რატომღაც ემირი მას ფრანგულად აღარ ელაპარაკებოდა.

...მელანიმ სახლი სწრაფად მოაწესრიგა. სტუმრებს ოთახი მოუმზადა და მაგიდა გააწყო. თან მალ-მალე ფანჯარაში იხედებოდა. ემირის მანქანის ხმაზე აფორიაქებულმა გააღო კარი.

ემირი დიდი ხნის მონატრებულ ძმას და მამიდას სიხარულით შემოუძღვა სახლში. მათი ჩანთები ოთახში შეიტანა და უკან მობრუნებული, მურადს ფეხსაცმლის გახდაში მიეხმარა.

ჰანდანმა სწრაფად გაიხადა გრძელი შემოსაცმელი, საკიდზე ჩამოკიდა, ფეხსაცმელი კარადაში შეინახა და ისე სასხვათაშორისოდ მოიკითხა მელანი, თითქოს აქამდე სულ იცნობდა. ათი წლის მურადი პირდაპირ სასტუმრო ოთახში შევარდა, ტელევიზორი ჩართო და ხალიჩაზე ფეხმორთხმით მოკალათდა. მამიდამ ხელ-პირი დაიბანა, სალოცავად გასუფთავდა და ქიბლას** მხარე მოიკითხა. ემირმა უჩვენა, სალოცავი ხალიჩაც მანვე გაუშალა.

* „მელანი, მე ავტოსადგურში მივდივარ, მურადს და მამიდას მოვიყვან“. (თარგმანი თურქულიდან).

** ქიბლა (არაბ. – მიმართულება; ორიენტირი. ის, რაც შენს პირდაპირ მდებარეობს) – ისლამში მკაცრად დადგენილი მიმართულება არაბეთში, მექაში, წმინდა ქააბას მიმართულებით, რომლის შესრულება სავალდებულოა დედამიწის ნებისმიერ კუთხეში მცხოვრები მუსლიმისათვის ყოველდღიური 5-ჯერადი ლოცვის და გარკვეული რიტუალების შესრულების დროს. (ავტ. შენიშვნა).

მელანი ნირწამხდარი შეუდგა საუზმის გამზადებას. ემირმაც ილოცა და მურადს გვერდით მიუჯდა. ჰანდანმა სახლის ყველა კუთხე-კუნჭული მოიარა. მისი ყოველი მოქმედება ნიშნის მოგებით და ამპარტავნებით იყო გაჯერებული. ბინის მეპატრონესავით იქცეოდა და მელანის ყოველ წუთს შენიშვნებით ავიწროვებდა. მაგიდას რომ შემოუსხდნენ, მაშინაც არ მიუტოვებია ორაზროვანი რეპლიკები და ვითომ გულითადი დარიგებები. მელანი უღიმოდა, მაგრამ თავს საშინლად უხერხულად გრძნობდა. ემირი მხიარულობდა. მურადმა სუფრაზე ჩაი დაღვარა. მელანიმ მზრუნველად გამოუცვალა ჭიქა, მაგიდაც გაამშრალა. მურადმა მეორედაც დააქცია...

ერთი კვირის შემდეგ, მამიდა ჰანდანი ანკარაში დაბრუნდა, მურადი კი ემირს და მელანის დაუტოვა.

ცხრამეტი წლის მელანის ძალიან გაუჭირდა ცელქი და ჯიუტი მურადის მოვლა-პატრონობა. ბიჭს მისი გაკეთებული საჭმელები არ მოსწონდა. სახლში ყველაფერს ურევდა. როდესაც გარეთ მარტო, ემირის გარეშე გადიოდნენ, საავტომობილო გზისკენ გარბოდა და გულს უხეთქავდა...

მელანი ემირს სთხოვდა, მურადი მამიდამისთან, უკან, ანკარაში დაებრუნებინა, მაგრამ მას ამის გაგონებაც არ უნდოდა:

– ჩემი ძმა ჯერ ბავშვია, ერთმანეთს მალე მიეჩვევით! – ამშვიდებდა.

Château Mouton Rothschild

თუ მდინარე გარონის მარცხენა ნაპირით ბორდოს ჩრდილოეთისკენ აუყვებით, დაინახავთ ოთხ პრესტიჟულ, დიდებულ აპელასიონს:* მარგოს, რომელსაც მოსდევს სენ-ჟიულენი, პოიაკს და ბოლოს, ყველაზე ჩრდილოურ სენტ-ესტეფს.

სწორედ ამ მარშრუტით ჩამოვიდა იმ დღეს ელიასი პოიაკში**, შატო მუტონ-როტშილდის საკულტო ღვინის მამულში. ის აქ პირადად ბარონესა ფილიპინა როტშილდმა მიიწვია. მარტის სუსხიანი დღე იყო, თუმცა ირგვლივ უკვე იგრძნობოდა ადრეული გაზაფხულის სურნელი. ბარონესასთან შეხვედრა მშვიდ და სასიამოვნო გარემოში შედგა. ბარონესა კარგი მოსაუბრე და კეთილი მასპინძელი აღმოჩნდა.

სადილამდე სომელიემ ელიასს სხვადასხვა წლის ღვინოები დააგემოვნებინა, ხოლო ბარონესას თანაშემწემ, – მუსიო როჯერმა სიამაყით უჩვენა დინასტიის დამაარსებლის – მაიერ როტშილდის გამოსახულება და მასთან ერთად, როტშილდების გერბი, თავისი ხუთი ისრით და ლათინურ ენაზე გამოსახული დევიზით: Concordia, integritas, indusria (თანხმობა, პატიოსნება, შრომისმოყვარეობა).

ელიასმა ინტერესით დაათვალიერა ღვინის მუზეუმი. შეიტყო მეურნეობის ისტორია, დაწყებული მე-17 საუკუნიდან, როდესაც მას ჯერ კიდევ „Brane – Mouton"-ი ერქვა. როგორც მუსიო როჯერი ამბობდა, ფილიპინას ოჯახმა, როტშილდების ინგლისურმა შტომ, ციხესიმაგრე 1853 წელს შეიძინა. იმ დროიდან მოყოლებული, 85 ჰექტარზე გადაჭიმული ვენახები თითქმის არ შეცვლილა. თანაშემწემ სასხვათაშორისოდ გაუმხილა ის ფაქტიც, რომ მიუხედავად იმისა, რომ დღეს ის ასეთი წარმატებული შატოს მფლობელი იყო, ბარონესა ფილიპინა როტშილდს არ უყვარდა იმის გახსენება, რომ 1855 წელს, მედოკის ღვინოების კლასიფიკაციის მიხედვით, შატო მუტონ – როტშილდმა ვერ მიიღო პრემიერ კრიუ კლასსეს წოდება და მას ეს სტატუსი მხოლოდ 1973 წელს მიენიჭა.

პირველი კლასის სახელი მუტონმა უშუალოდ ფილიპინას მამის, ბარონ როტშილდის მუხლჩაუხრელი შრომის შედეგად მოიპოვა. იგი იყო ციხესიმაგრის მფლობელი 1920 წლიდან გარდაცვალებამდე. 1988 წლამდე თავად ბარონი, ნამდვილი რენესანსული ტიპი იყო, მას თანაბარი წარმატებები ჰქონდა როგორც ინგლისური პოეზიის თარგმანში, ისე რბოლაში.

პირველმა სწორედ მან მიმართა ცნობილ მხატვარს, ჟან კარლუს ღვინის ეტიკეტის გასაფორმებლად და ამით საფუძველი ჩაუყარა ტრადიციას, რომელშიც თავი წარმოაჩინეს მე-20 საუკუნის საუკეთესო მხატვრებმა. მათი ღვინის ეტიკეტები (სულ დაახლოებით 100-მდე ეტიკეტი), დახატული აქვთ ისეთ მხატვრებს, როგორებიც იყვნენ შაგალი, ბრაკი, პიკასო, კანდინსკი და სხვ. გამონაკლისი იყო 2000 წელი, როდესაც შატოს მეპატრონეებმა დასვენება გადაწყვიტეს და იმ წელს შავ ეტიკეტზე მხოლოდ ცხვრის თავი მიახატეს.

უკვე ასაკში შესული ბარონესა, წარსულში ცნობილი მსახიობი და ახლა უკვე მეღვინე, ფილიპინა დე როტშილდი, ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი დახვეწილი გემოვნებით. იგი ძირითადად პარიზში ცხოვრობდა, მაგრამ დროდადრო თავის პატარა, კოხტა კოშკშიც ჩადიოდა. მას ასევე უყვარდა სტრასბურგში, თავის ნათესავებთან სტუმრობა, რომლებსაც ქალაქის ცენტრალურ უბანში, 22 ნოემბრის ქუჩაზე, უკვე მარკად ქცეულ კაფე-რესტორანთან „Suzzane"-სთან ერთად, საკონდიტრო და შოკოლადის საწარმოც ჰქონდათ. სწორედ ამ კაფეში ნახა ბარონესამ ელიასის ნახატების გამოფენა. საინტერესოდ მიიჩნია და მომავალი წლის ეტიკეტის მოსახატად იგი მამულში მიიწვია.

მართალია როტშილდები მხატვრებს ამ მომსახურებისთვის არაფერს უხდიდნენ, მაგრამ მათ მიერ ეტიკეტების მოხატვა მხატვრების კიდევ უფრო მეტ პოპულარობას უწყობდა ხელს და ელიასისთვის, როგორც ფართო წრეებისთვის ჯერ კიდევ უცნობი ხელოვანისთვის, ეს ამბავი პირდაპირ სულზე მისწრება იყო. ღვინის ახალი კოლექციის ჩამოსხმის შემდეგ, მას უკვე გაიცნობდა ელიტარული საზოგადოება და პარიზისკენ გზა ხსნილი ექნებოდა.

* მკვეთრად შემოფარგლული ტერიტორია, რომლის შიგნით უნიკალური სისტემაა ჩამოყალიბებული და მხოლოდ ვაზის მკაცრად განსაზღვრული ჯიშები მოჰყავთ. (ავტ. შენიშვნა).

** მუნიციპალიტეტი ჟირონდის დეპარტამენტში, ახალ – აკვიტანიაში, სამხრეთ- დასავლეთ საფრანგეთში. (ავტ. შენიშვნა).

როკ ანსამბლის დაშლა

(სალამი ევანს)

ჯგუფში არეულობა მაშინ დაიწყო, როდესაც წინა საკონცერტო მზადების დროს, ფრანსუა, თანამედროვე მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და მრავალრიცხოვანი ულტრაპროტესტანტული მიმართულებით დაინტერესდა და „ბიბლიის ჭეშმარიტ შემსწავლელთა“ რიგებს შეუერთდა.

ამიერიდან, მას როგორც იეჰოვას მოწმეს, როკ-ჯგუფში დაკვრა აღარ სურდა. ბიჭები აივანზე ისხდნენ და ფრანსუას შეჰყურებდნენ. ლუი, როგორც სჩვეოდა, გიტარით ხელში აივნის მოაჯირს მიყრდნობილი, შენიღბული აგრესიის ფონზე, დაჟინებით ერთსა და იმავე აკორდს იღებდა. დამიანი, ასევე დაფარული ბრაზით გამჭოლი მზერის ალყაში აქცევდა სათითაოდ ყველას. ჯერ ფრანსუას აკვირდებოდა, მისი სიტყვების გულწრფელობას წონიდა. მერე მზერა ლუიზე გადაიტანა. როდესაც კარგად ჩასწვდა მის ემოციურ განწყობას, ცინიკური ღიმილით გადაეწყო კლოდის და ლუკასის გასაფილტრად. მათი რეაქცია არაერთმნიშვნელოვანი იყო. ლუკასი მოუსვენრად ათამაშებდა ფეხს და ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს დაუყოვნებლივ უნდოდა აივნის დაეტოვება.

კლოდი გაფართოებული თვალებით, ინტერესით ისმენდა ფრანსუას სიტყვებს, რომელიც მშვიდი ტონით ხსნიდა იეჰოველთა ზნეობრივ კოდექსს. ხოლო როდესაც ქურთუკის ჯიბიდან დასურათებული ბროშურებიც ამოიღო, ლუიმ ვეღარ მოითმინა, გულისგამაწვრილებელი აკორდის აღება შეწყვიტა და ფრანსუა უხეშად შეაჩერა:

– მოკეტე! აქ თქვენი პლატფორმა ნუ გგონია!!!

ბიჭები შეცბნენ. დამიანმა გრძელი თმა ნერვიულად მოიჩეჩა და ლუის შესძახა: Calme – toi!* ფრანსუა გაჩუმდა. სახეზე წამოწითლდა. გამშრალი ტუჩები ენის წვერით დაისველა და წყნარად წამოკრიფა თავისი ნივთები. მერე უხმოდ დაეშვა კიბეზე. ვიდრე ეზოს მწვანე კარიდან გავიდოდა, კლოდიც წამოდგა. ბიჭებისთვის არ შეუხედავს, ისე ჩაირბინა კიბის საფეხურები და მეგობარს დაეწია. ლუიმ მაგნიტოფონში ბრიტანული როკ-ჯგუფის „ბლექ საბათის“ სიმღერა „Rainbow In The Dark“-ი ძალიან მაღალ ხმაზე ჩართო და აივანზე დარჩენილებს ზურგი შეაქცია. ლუკასი, რომელიც მთელი საუბრის დროს შურდულივით მოზიდული იჯდა, ამრეზილი სახით წამოდგა. ლუისკენ არ გაუხედავს, დამიანს მიუახლოვდა, მხარზე ხელი დაადო, მრავალმნიშვნელოვნად გაუღიმა და წავიდა.

დამიანი აივანზე ბოლთის ცემას მოჰყვა. ჯერ ნელ-ნელა აბიჯებდა. მერე აუჩქარა. თანდათან დაბალ ხმაზე ღიღინი დაიწყო, მერე ხმას აუმაღლა და რონი ჯეიმზ დიოს სიმღერას თავისი ხმაც შეუერთა. დასასრულს შეშლილივით გადაიხარხარა.

* დამშვიდდი! — (თარგმანი ფრანგულიდან).



მხატვარი სოფიო ჭელიძე

– სალამი ევანს! – დაიძახა, მერე აივნის მოაჯირს გადაევლო და ეზოში გადახტა.

ლუიმ მაგნიტოფონი სწრაფად გამორთო და აივანს მივარდა. დამიანი წამოდგა. მიწიანი ხელები გულზე მიიდო: Adieu „es gars de Strasbourg“!!!** – დაიძახა, ლუის თავი დაუკრა და ეზოს კარიდან უკანმოუხედავად გავარდა.

...იმ დღეს რიხარდ ვაგნერის 17 ნომრიან პატარა, ძველი სახლის აივანზე, როგორც მცოდნეები ამბობდნენ, პერსპექტიული მომავლის მქონე მუსიკალურმა ჯგუფმა თავისი არსებობა შეწყვიტა.

სევდა

ემირი შეიცვალა. მხატვრულ ლიტერატურას აღარ კითხულობდა. მხოლოდ რელიგიურ წიგნებს. მაგისტრატურაში სწავლაც აღარ გააგრძელა. მთელ დროს მაღაზიის საქმეებს ანდომებდა. პირველ ხანებში მელანიც ეხმარებოდა, ისე როგორც შეეძლო. თურქული ენის საკმარისად არ ცოდნის გამო კლიენტებთან ურთიერთობა უჭირდა. ზოგჯერ ნატრობდა, რომ მაღაზიაში არავინ შესულიყო. მერე, პირიქით, ქმრის მსგავსად ლოცვას იწყებდა და უფალს ემირის საქმეების უკეთ წასვლას შესთხოვდა. ემირივით ისიც შეიცვალა. აღარაფერი უხაროდა. უზომო სევდამ მოიცვა მისი გული, გონება. თვალები ჩაუვარდა. ჩაცმითაც სხვანაირად იცვამდა. გრძელი და მუქი ფერის კაბებით დადიოდა. თმას აღარ იშლიდა. სულ კისერთან ჰქონდა შეკრუ-

** მშვიდობით „სტრასბურგელო ბიჭებო!“ — (თარგმანი ფრანგულიდან).

ლანა მანველი

ლი. გახდა. ხანდახან ისიც კი ავიწყდებოდა თუ ვინ იყო. ერთხანს სტრასბურგში დაბრუნებაც გადაწყვიტა, მაგრამ ავად გახდა. თავბრუ ეხვეოდა, ფეხზე ვეღარ დგებოდა, საჭმელს ვერ ჭამდა. მაშინ რამაზანის თვე იყო. ემირი და მურადი მარხულობდნენ. მელანი მათთვის iftar-ის* და sahur-ის** გამზადებას ძლივს ახერხებდა. საჭმლის სუნი გულს ურევდა. ერთ დღესაც, როცა მურადი ჯერ კიდევ სკოლაში იყო, კარზე ზარი გაისმა. მელანი საწოლში იწვა. კარზე ზარი არ წყდებოდა. უცაბედად წამოდგა, მაგრამ შემოსასვლელამდე ვეღარ მიაღწია, თვალთ დაუბნელდა და ძირს დაეცა. სახლში შემთხვევით დაბრუნებულმა ემირმა გულწასული მელანი სასწრაფოდ საავადმყოფოში წაიყვანა. გამოკვლევების შედეგად გაირკვა, რომ მელანი უკვე ექვსი კვირის ორსული იყო.

– ნეტავ, გოგონა მეყოლოსო, – საავადმყოფოშივე გაიფიქრა მელანიმ და თვალწინ დედა წარმოუდგა. გაუსაძლისმა სულიერმა ტკივილმა დაუარა გულ-მუცელში. ცრემლები ყელში გაეჩხირა. მაგრად მოკუმული პირით საცოდავად გაიღიმა და ხელის თითები დამუშტა...

ემირს და მურადს ბიჭი უნდოდათ. მელანიმ გოგონას სახელის არჩევა დაიწყო. ემირმა და მურადმა ბიჭის. თითქმის ყოველ ღამით, ანეტს ხედავდა სიზმარში. ბებია არაფერს ეუბნებოდა, უბრალოდ მის სიზმრებში იყო სულ. ერთ საღამოსაც ეს ამბავი ემირს უთხრა და თან დაამატა, იქნებ ბებიას უნდა, რომ ჩვენს გოგონას მისი სახელი დავარქვათო?!

იმ დღის შემდეგ, ანეტი მის სიზმრებში აღარ გამოჩენილა.

პარიზისკენ

როტშილდებს „Château Mouton Rothschild“-ის ღვინის ახალი კოლექციისთვის შეთავაზებული ეტიკეტის ნიმუში ძალიან მოეწონათ. მინიმალისტურ სტილში გადაწყვეტილ იარლიყზე, კომერციის და ხელოვნების გენიალური თანხვედრა იყო ნაჩვენები. ელიასმა თეთრი, ბორდო და ოქროსფერი გამოიყენა. თავად ბოთლი კი შავი ფერის უნდა ყოფილიყო.

პოიაკიდან კოლმარში დაბრუნებულ ელიასს, საფოსტო ყუთში პარიზიდან გამოგზავნილი წერილი დახვდა.

ხელოვნების გალერეა „Amélie, Maison d’art“-ი თანამედროვე მხატვრებისთვის მოწყობილ გამოფენა-გაყიდვაში მონაწილეობისთვის იწვევდა.

მოსაწვევში გალერეის მეპატრონე იუწყებოდა, რომ გამოფენას სტუმრებთან და დამთვალიერებლებთან ერთად, საერთაშორისო პლენერებისა და გამოფენების ორგანიზატორები, გალერისტები, ხელოვნებათმცოდნეები და ხელოვნების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებიც უნდა დასწრებოდნენ.

ელიასმა სიხარულთან ერთად, უკიდეგანო სევდა შეიგრძნო და თავისთვის ჩაიჩურჩულა:

– მელანი, მე პარიზში მივდივარ!..

მერე თავის ოთახში შეიკეტა და იმ ფანჯარასთან, რომელიც ეზოს გადაჰყურებდა დიდხანს იჯდა გარინდებული.

ლეამ რომ სადილად იხმო, წარმოსახვით ისევ მელანის ესაუბრებოდა. წლების მანძილზე თითქმის ყველაფერს მას უყვებოდა. უმნიშვნელოს თუ მნიშვნელოვანს. ასე ერჩივნა. რეალობას ხშირად გაურბოდა და მელანისთან „ურთიერთობით“ და ხატვით ცდილობდა თავის გადარჩენას.

ბოლო პერიოდში იტალიური ხელოვნებით, კერძოდ რენესანსის ეპოქით იყო გატაცებული. თუ არ ჩავთვლიდით მის ადრინდელ, ექსპერიმენტულ პერიოდს, ძირითადად კლასიკური სტილი ჩამოუყალიბდა. თუმცა გამოფენისთვის ბოლოდროინდელ ნამუშევრებთან ერთად, არქაული ბარელიეფების ტრანსფორმაციებით შესრულებული ორი ნახატის წაღებაც გადაწყვიტა.

იმ დღეს, ახალი ამბით აფორიაქებულმა ჩარჩოზე ახალი ტილო გადაჭიმა და ხატვა დაიწყო. ეს იყო მელანის სახება ბავშვით ხელში. მათი საერთო ბავშვით, რომელიც არასოდეს დაიბადებოდა.

ელიასი, ყოველი ფუნჯის მოსმაში უდიდეს გრძნობასთან ერთად, მთელ თავის შემოქმედებით ნიჭს აქსოვდა.

გავიდოდა რამდენიმე თვე და ამ ტილოს, ხელოვანები სამყაროს ყველაზე მშვენიერ ქალს უწოდებდნენ და ელიასს, საუკეთესო ფიგურისტ მხატვართა შორის დაასახელებდნენ.

მიწისძვრა

ემირისგან გულნატკენი მელანი საძინებელი ოთახიდან გამოვიდა და სასტუმრო ოთახში შევიდა. სინათლე არ აუნთია. დივანზე ჩამოჯდა და მზერა ქუჩიდან შემომავალი ლამპიონით განათებულ ფანჯარას მიაპყრო. რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო მეტი წყენა იდებდა ბინას მის სულში და ქმრის მიმართ გულს უციებდა. მას ხომ არასდროს შეეძლო უსიამოვნებებთან გამკლავება, მხოლოდ გაქცევა იცოდა. ახლა კი წასასვლელი არ-

* მარხვის ვახშამი რამაზანის თვეში. (ავტ. შენიშვნა).

** მარხვის საუზმე მზის ამოსვლამდე რამაზანის თვეში. (ავტ. შენიშვნა).

სად ჰქონდა. გაურკვეველი მომავლის მოლოდინში ეზრდებოდა მუცელი და წარმოდგენა არ ჰქონდა, როგორი იქნებოდა ხვალინდელი დღე. ემირს მისი აღარ ესმოდა. ან იქნებ მას არც არასდროს ჩაუხედავს მელანის სულში?! იქნებ, თავადაც ვერ გაუგო, ვერ ამოიცნო ქმრის ნამდვილი „მე“? ემირს მთელი გულისყური მურადისკენ ჰქონდა მიმართული და მელანის გაუსაძლის სულიერ სიმარტოვეს თვალს უხუჭავდა.

შუაღამე იყო. 18 აგვისტო თენდებოდა. მაგიდაზე სანთლები ეწყო, სხვადასხვაფერი ქილებით, სხვადასხვანაირი სურნელით. სანთლები, რომლებსაც მელანი ხშირად ყიდულობდა დეკორატიული ნივთების მაღაზიაში. ისეთ მშვიდ საღამოს ელოდა, როდესაც ემირთან ერთად შეძლებდა მათ ანთებას. ჯერჯერობით ყველა ქილა თავაუხდელი იდგა.

ასეთი სამყარო მელანისთვის ფერდაკარგული და უზომოდ ცარიელი იყო. ძალიან უნდოდა ახალი, განსხვავებულად ლამაზი ცხოვრების დაწყება, მაგრამ სევდა, რომელიც არასასურველ ოჯახურ ურთიერთობებს მოჰქონდა, ერთი წუთითაც არ ტოვებდა და მომავალი დედობის გრძნობის სიამესაც არ განაცდევინებდა.

საიდანღაც შორეული გუგუნი მოისმა. უცბად ყველაფერი შეირყა. კედლებიდან ნახატები ჩამოცვივდნენ.

– ემირ! მიწისძვრაა!!! – დაიყვირა და შეშინებული საძინებლისკენ გაიქცა.

ემირი უკვე ამდგარიყო და მურადს ეძახდა:

– მურად! ჩქარა, ვილოცოთ!

ძმები ლოცვისთვის სწრაფად გასუფთავდნენ და სალოცავი ხალიჩები გაშალეს.

სინათლე ჩაქრა. ოთახი ისევ ჭრიალებდა.

– ალაჰ! იყოს ნება შენი! – ლოცვა დაასრულეს და უფალს მიენდნენ. მელანი აივანზე გავიდა. მეზობლები იქვე მდებარე ცარიელ მიწის ნაკვეთზე შეკრებილიყვნენ და ხმამაღლა ბჭობდნენ. მურადიც მათ შეუერთდა. ემირი დაწვა. მელანიმ არ იცოდა როგორ მოქცეულიყო. სკამი აივანზე გაიტანა და იქ ჩამოჯდა. მიწის ყოველ რყევაზე ემირს ეძახდა. ის კი სრულიად მშვიდად წოლას განაგრძობდა და მელანისაც სიმშვიდისკენ მოუწოდებდა.

* * *

მეორე დილით მელანი სახლიდან მარტო გამოვიდა. ქალაქი ერთ დიდ კარავს დამსგავსებოდა. შეშინებული ადამიანები საშინაო ტანსაცმლით დადიოდნენ და სახლებში შესვლას ვერ ბედავდნენ.

იმ ღამით მიწისძვრამ დაანგრია ქალაქები გოლჯუკი და იზმიტი. დაიღუპა 17 127-დან 18 373 ადამიანამდე. დაშავდა 48 901 ადამიანი, დაახლოებით 600 ათასი ადამიანი კი, უსახლკაროდ დარჩა.

მელანი უბნის სავაჭრო ცენტრის სატელეფონო ჯიხურთან მივიდა და დედის ნომერი აკრიფა. შარლოტას ხმის გაგონებაზე უნებურად ტირილი დაიწყო. ბევრი რამის თქმა უნდოდა, მაგრამ არ იცოდა საიდან დაეწყო. დარდისგან გაბერილი გულიდან მხოლოდ ორი წინადადება ამოთქვა: ამან, თურქეთში მიწისძვრა მოხდა; მე ფეხმძიმედ ვარ....

შარლოტა ერთხანს ჩუმად იყო, მერე გამშრალი ხმით უპასუხა: „როდის უნდა იმშობიარო?“

– შობისთვის... – მელანის ისევ გული ამოუჯდა. ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა და ვერ ნაპოვნი თანაგრძნობის გამო თავს უსაშველოდ უბედურ ადამიანად გრძნობდა.

ლუი და ჟანა

ლუიმ, ანა და ჟანა თავისსავე სახლში გაიცნო. ახლა მას ძირითადად, გოგონები უფრო ხშირად სტუმრობდნენ ვიდრე ბიჭები. გოგონებს გიტარაზე დაკვრის სწავლა სურდათ. მანაც პატარა ჯგუფი შექმნა და გაკვეთილების ჩატარება დაიწყო.

ერთ დღეს მასთან ლიცეუმის ბოლო კლასელები მივიდნენ – ანა და ჟანა. ორი ერთმანეთისგან განსხვავებული გოგო. ანა, საშუალო ტანის ქერა, ჭროღა თვალებიანი, წყნარი და კეთილი გოგო იყო. ჟანა, კი მაღალი, გამხდარი, შავგვრემანი, რაღაცით ლუის მსგავსი ხისტი ხასიათის და პირდაპირი.

როდესაც ანამ მეგობრული ურთიერთობა დაიწყო ლუისთან, ჟანა მის მიმართ აგრესიული გახდა. ასევე უხეშად ურთიერთობდა ლუისთანაც. ამას ლუი არ იმჩნევდა და რატომღაც უფრო დამთმობი და ლოიალური გახდა. ჟანამ არ იცოდა, რომ ანა, ხანდახან სხვა დღეებშიც სტუმრობდა ლუის და საღამოებს მასთან ერთად ატარებდა. ერთხელაც, როდესაც ნებართვა აიღო და წყლის დასალევად სამზარეულოში შევიდა, მაგიდაზე ანას სამაჯური დაინახა. სიბრაზისგან ტუჩი მოიკვნიტა და სამაჯური ჯიბეში გადამალა. ანასთვის არაფერი უთქვამს, მაგრამ მომდევნო დღეებში, როდესაც ანამ დროის უქონლობის გამო გაკვეთილების გაცდენა დაიწყო, ჟანამ ხელსაყრელი სიტუაციით ისარგებლა და ლუის დაუტკბა. მასთან გვიანობამდე რჩებოდა და ცდილობდა, ზუსტად იმ თემებზე ესაუბრა, რაც ლუისთვისაც საინტერესო იყო. როდესაც შეიტყო, რომ ლუი ვინილების დიდი მოყვარული იყო, როკ-ჯგუფი ბითლზის 1969 წლის მეთერთმეტე სტუდიური ალბომი, „The Beatles — Abbey Road“-ის გრამფირფიტა აჩუქა. მალე ისე გაუშინაურდა, რომ სახლის დალაგებაში მიეხმარა. ერთ დღეს, ლუის ახლო მეზობლების, პიანეტების ოჯახი გაიცნო და კლოდთან ერთად, გიტარაზე ახლად ნასწავლი კომპოზიციაც კი დაუკრა. სულ მცირე ხანში ლუი ისე მიეჯაჭვა ჟანას, მის იქით აღარაფერი არ აინტერესებდა. სურდა რომ ყოველდღე ენახა. ერთხელაც, კვირის ბოლოს ჟანა მასთან სახლში დარჩა...

კარგა ხნის მერე, ანა ისევ გამოჩნდა. სამეცადინოდ წაღებული ნოტების რვეული დააბრუნა და ლუისთან თბილი გასაუბრება სცადა. ლუი აფორიაქდა, შემთხვევით შემოსწრებულ ჟანას წყენინება

არ უნდოდა. თუმცა, სტუმარს ქონდრის ჩაით მაინც გაუმასპინძლდა და ახალი ამბებიც გამოჰკითხა.

– მამაჩემს, ნავთობკომპანია „ტოტალი“ სამუშაოდ ავსტრალიის მთავარ ოფისში გზავნის, ოჯახიც მივყვებით.

– C’est vraiment cool!*

– თუ ოდესმე იქ მოხვდები, აუცილებლად დამიკავშირდი, შენი ნახვა უზომოდ გამიხარდება.

ლუიმ თავი დაუქნია და გამომშვიდობებისას ორივე ლოყაზე აკოცა. ქუჩაში გასული ანა შეჩერდა, უკან მოიხედა და აივანზე მდგომ ლუის სევდიანად გაუღიმა.

ელიასი

ელიასმა ტილოს დასაგრუნტი გაამზადა და დაღლილი ჩამოჯდა. მარტოსული და გარინდებული დღეების დენას ვეღარ აუდიოდა. კარგა ხანი იყო, რაც აქტიური შემოქმედებითი გზიდან გადაუხვია. გამოფენებშიც აღარ იღებდა მონაწილეობას. არც ძველ კავშირებს ანახლებდა. რაღაცნაირად ჩაიკეტა, ახლა უფრო თავისთვის ხატავდა, სულიერი გადარჩენისთვის...

ფეხის ათრევით წამოდგა. ტილოსთან მივიდა და თავიდან თითქოს უემოციოდ, უსურვილოდ დაიწყო ხატვა. ფუნჯი თითქოს თავისით მოძრაობდა. ნაცრისფერი, ცისფერი და ვარდისფერი ფერებით იდუმალი მოგზაურობა დაიწყო ტილოზე და შეუცნობლად მხატვრის ემოციების გადმოცემა დაიწყო. ერთ ჩვეულებას არასოდეს ღალატობდა, ყოველი ახალი ნამუშევრის დასრულებისას ჩუმად, თავისთვის ჩაილაპარაკებდა: – მელანი, სად ხარ,... შეხედე....

მისი ყველა წარმატებაც მხოლოდ მელანის ეკუთვნოდა.

ელიასს შეამცივნა: „ღმერთო, რა მალე აცივდა!“

თბილი, ელზასური შემოდგომა მოენატრა. გონებაში ტკბილ ზმანებად ამოუტივტივდა ბავშვობაში, მშობლებთან ერთად გატარებული როშ ჰაშანა,** თაფლში ამოვლებული ვაშლების და დატკბილული თითების გემოც კი იგრძნო თითქოს.

მალე ერთი წელი გახდებოდა, რაც ისააკი სრულიად მშვიდად, ყოველგვარი ავადმყოფობის გარეშე მიიცვალა. ქმარზე დამწუხრებული ლეა, ახლა მხოლოდ შვილზე ზრუნვაში ლევდა წუთისოფელში მისთვის განკუთვნილ დღეებს.

მელანი ფიზიკურად ისევ არ ჩანდა. თუმცა, ის სულ მუდამ ელიასთან იყო. ყოველ ცისმარე დღეს, თვალის ახელისთანავე, უმალვე ეღვრებოდა სულში სევდის და უსაშველო მონატრების განცდად....

მეჰმედის ავადმყოფობა

უზომოდ გამხდარი და სახეშეშუპებული მეჰმედ ერთურქი ლონდონში, „The London Clinic Cancer Centre“-ის გარეთ, მანქანაში იჯდა და ფიქრობდა. ფიქრობდა იმაზე, რაც იმ დღეს ექიმმა უთხრა.

კარგა ხანია, რაც გახანგრძლივებული ხველა, სუნთქვის უკმარისობა და ყლაპვის გაძნელება აწუხებდა. თუმცა ამ მდგომარეობისთვის მას ყურადღება დიდად არ მიუქცევია. ფიქრობდა, რომ უბრალოდ გადაიღალა და მცირედი დასვენება უშველიდა. დეკემბრის ბოლოსთვის, თურქეთში წასასვლელად ემზადებოდა, რათა შვილიშვილის დაბადებას დასწრებოდა. ერთხელაც უწყვეტ ხველას სისხლიანი ნახველი ამოაყოლა და ხმაც დაკარგა. ექიმთან მისულს სასწრაფოდ ანალიზები აუღეს და გამოკვლევები ჩაუტარეს.

მუცლის ღრუსა და თავის ტვინის კომპიუტერული ტომოგრაფიისა და მაგნიტორეზონანსული კვლევის, ძვლის სცინტიგრაფის, პოზიტრონემისიური ტომოგრაფიის შედეგად III სტადიის ფილტვის კიბო დაუდგინდა.

ზურგი და ბეჭები უზომოდ სტკიოდა. აცხელებდა. სიმსივნეს უკვე მოეცვა ფილტვი, ფილტვის გარსი და ორ ფილტვს შორის მდებარე შუასაყარის ქსოვილები. ახლა ბიოფსიის საფუძველზე ლაბორატორიული კვლევები უნდა ჩაეტარებინათ. თუმცა, მან უკვე იცოდა, რომ პასუხი დიდად არ შეცვლიდა მის მდგომარეობას. სიკვდილის არ ეშინოდა, ტკივილები და შვილების უნახაობა სტანჯავდა მხოლოდ. ყველაზე ძალიან თავს დამნაშავედ მურადის მიმართ გრძნობდა. არც ის იცოდა ეს ამბავი მათთვის როგორ შეეტყობინებინა. ისინი ხომ ძლიერ, დამოუკიდებელ და ყოვლისშემძლედ იცნობდნენ მამას. რაც ხმა დაკარგა, ემირს მხოლოდ ტექსტურ შეტყობინებებს უგზავნიდა. მიზეზად მოუცლელობას ასახელებდა. ისევ დასთან, ჰანდანთან დაკავშირება გადაწყვიტა. იქნებ სულაც თავისთან ჩამოეყვანა დროებით. დროებით... ვიდრე... მეჰმედმა ტირილი დაიწყო. მისი ცრემლები, აქამდე ჯერ არავის ენახა. არც ახლა ნახავენო, გული დაიმშვიდა და მკერდიდან ამოსული უცნაური ხმით მწარედ ჩაიცინა. მაშინვე ხველა აუტყდა. მიხვდა, რომ მანქანის მართვას ვერ შეძლებდა, ცოტა სული რომ მოითქვა, ტაქსი გამოიძახა და საავარიო ფარები აანთო.

* ეს მართლა მაგარია! — (თარგმანი ფრანგულიდან).

** როშ ჰაშანა – ებრაული ახლი წელი (სექტტემბერი) – (ავტ. შენიშვნა).

ნუნუ ძამუკაშვილი

ალექსანდრე ყაზბეგს

დაბადების 175 წლისთავისათვის

სიყვარული ლივლივებს
წიგნის ყოველ ფურცელზე,
ხან, ღრუბელი გვიკრავს თავს
ხან, გამოვა უცებ, მზე.
მზესთან იდგა სამშობლო,
თავს სწირავდნენ მამულსა!
მართლაც, სისხლით დამბალს და
ცრემლით გადანამულსა.
ხალხში გასვლა გწყუროდა, –
გასცნობოდი მათ ყოფას...
გული ხომ სიმართლისთვის
სიკეთისთვის იყოფა.
და ფრანგული საუბრით
გააოცე სტუმრები,
მწყემსი ხარ და ფრანგულით
ფრანგებს ესაუბრები.
ნაოცნებარ სიყვარულს
არა, არ ჰყავს ბადალი,
ხევისბერი გოჩა ხომ
იყო ხევის სარდალი.
ციკო, მზაღო, ელგუჯა,
ძიძია თუ მაყვალა...
სიყვარულის სინაზე
სიკვდილმაც ვერ გაჰყარა.
ვკითხულობდით რომანებს
გული გვიფანცქალებდა...
სიყვარულის ალმური
გვედებოდა ალებად.
სულ პატარა მოთხრობა
უძღვნა ბავშვებს „მტრედები“
გაუფრთხილდეთ ბუნებას
კარგი იყოს შედეგი.
სიყვარული ლივლივებს
წიგნის ყოველ ფურცელზე,
ვიცით, ღრუბლების მერე,
რომ გამოვა უცებ მზე.

გიორგი გიგაური

განვიმდა, ჯალავს შევეფარეთ და...
სულ არ გვახსოვდა ნვიმდა თუ, არა,
იჯექა, ვერხვებს დასცქ თავზარი,
ფერმა, ელვისებრ გადაუარა.
ხელებში შემრჩი შეშინებული,
აალებული სახე ინვოდა,
მომეკარ მკერდით და არ ვიცოდი,
თუ, გულმა ასე ძგერა იცოდა.

გ. გიგაური

გიორგი გიგაური დაიბადა 1948 წელს, – თელავის რაიონის სოფელ გულგულაში.

დამთავრებული აქვს თელავის II საშუალო სკოლა და ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის – ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი.

ლექსების წერა სტუდენტობისას დაიწყო.

გამოცემული აქვს ლექსების ერთი კრებული, – „სიბრძნე სიბერისა“.

ჩემი სოფელი

გულგულას!

ჩემი სოფელი, გულში, ახლაც, სიყვარულს რომ მფენს,
დაბადებიდან, დედასავით, მგვრიდა სიამეს...
ღამით კი, ხშირად, გადავყურებ მძინარე სოფელს,
ვისთან შეხვედრა, მე, რატომღაც, დავაგვიანე.
წლები გაფრინდა, სასიცოცხლოდ, ცოტაღა დამრჩა,
მინდა განგებამ, რომ კაცურად „ჩამომაძინოს“,
სული მოქსოვოს, ვით ლამაზი, ზღაპრული ფარჩა
და ჩემს გულგულას, სიყვარულად გადააფინოს.

დღეს, საქართველოს

დღეს, საქართველოს, მართლა, დიდი შველა სჭირდება,
მძიმე უღელი დასწოლია მრავალჯერ კისრად,
მაგრამ, ახლა, კი, სანთელივით, ხელში გვიდნება,
რომ ველარ ვშველით, მაგის დარდი გულში მაქვს ისრად.
რომ, დღეს თუ, არა, ვიცი, ხვალე დაიბინდება,
რომ, დასაბამით, „შავი ჭირი“ აწვება ნისლად,
რომ ქართულ მიწით, უსინდისო, ვიღაც, მდიდრდება,
რომ, წინაპრებთან თავჩაღუნულს მოგვიწევს მისვლა,
რომ, დარჩენილი გასაყიდიც გაიყიდება...
დგას და დაჭრილი არწივივით, იცლება სისხლად.

წვიმა

ნაწყვეტი

გაწვიმდა, ჭალას შევეფარეთ და...
სულ არ გვახსოვდა წვიმდა თუ, არა,
იჭექა, ვერხვებს დასცა თავზარი,
ფერმა, ელვისებრ გადაუარა.
ხელებში შემრჩი შეშინებული,
აალებული სახე იწვოდა,
მომეკარ მკერდით და არ ვიცოდი,
თუ, გულმა ასე ძგერა იცოდა.
ვიდექით დიდხანს, გარინდებული
თითქოს, ვუსმენდით ვერხვების შრიალს,
რას იფიქრებდა გული წყეული,
შეხვედრა ჩვენი რომ იყო გვიან.
არც, დრო არ იცდის სავალი თორემ,
კვლავ, დავუცდიდი ხელახლა წვიმას,
მაგრამ ძნელია, რომ აპატიო,
დანაშაული, ვინც გიყვარს, – იმას.

ჩვეულებრივი და უცნაური

ღამით, სარკმელთან, ფიქრებით სავსეს,
გულის ხმას სდევდა წვიმის ხმაური
სადღაც, ისმოდა შენი სიცილი,
ჩვეულებრივი და უცნაური.
ნიავს მოჰქონდა შენი ხმა, წმინდა,
მესმოდა, როგორც ტკბილი ზღაპარი,
მაშინ, ჩემს გულშიც, უღრუბლოდ წვიმდა
და შემოდგომის დაქროდა ქარი.
ვიდექ, ვუცდიდი გამოდარებას,
იქნებ, გულს ეგრძნო შვება, – მცირედი,
შენს ლანდს ვუმზერდი, როგორც ღვთაებას,
ისე, ვერაფრით დავიძინებდი.
მაინც, ჯიუტად, წვიმდა და... წვიმდა,
არ მაძინებდა, წვიმის ხმაური,
არ მაძინებდა შენი ხმაც წმინდა, –
ჩვეულებრივი... და.. უცნაური...

რად მოინყინე ქართველო?!..

ჩაშავებულა ქართლის ცა,
დღე არ ეღირსა მზიანი,
საიდან მოხვალთ ღრუბლებო,
მოფრინავთ გრიალ-ტრიალით.
ვერ ვნახეთ ქართული ზეცა –
მოწმენდილ ლაჟვარდიანი,
მალიმალ ჩამოიჭექებს
ღრუბელი, – მეხის ხმიანი.
ღამეც ვერ ვნახეთ უნისლო, –
მთვარიან – ვარსკვლავიანი,
ხან, წამით გაელვარდება,
თითქოს, დღე არი მზიანი.
ხან, უცებ, ჩამობნელდება,
ხევებს გაუდის ღრიალი,
გაიკლაკნება გველივით, –
საშიში არი, – ტიალი.
ჩვენთვის არ გამოიშუქა,
დიდი ხანია, ვხვდებითა,
ჩაბნელებულა, მზის სხივებს
სად, როდის ველირსებითა?!..
არ მოიშალეს ღრუბლებმა, –
მუდამ, ჩვენს თავზე ტრიალი,
რად მოიწყინე, ქართველო,
თვალი რადა გაქვს წყლიანი?!..
ამაზე მეტიც გვინახავს:
სიავე, მტრობა, ზიანი,
გამოიშუქებს, უცილოდ,
დადგება დარი მზიანი.

საქართველოს სილამაზე

ვაჟკაცსა, თუ, არ უნახავს, –
ხევებში ბორგვნა წყლისაო,
დათოვლილ მთების სიტურფე,
მშვენება სალი კლდისაო.
არ გაუგია არასდროს –
ჯახუნი ჯიხვის რქისაო,
არასდროს მოუსმენია
ყვირილი ხარირმისაო.
არ წაუკითხავს ცრემლებით
ნამბობი შვლის ნუკრისაო,
არ უნახია მშვენება
ვარსკვლავიანი ცისაო.
მთვარე, შოთივით გაკრული,
ჩამოზვავება მთისაო,
ან, ფოთოლცვენა ბუნების,
მთაში ყმუილი მგლისაო.
არ უნახია პირიმზე,
ყვავილი ქარაფისაო,
არასდროს მოუსმენია
ყივილი არწივისაო.
ნისლი ცრემლებად ნადენი.
ნაჟური კლდეებისაო,
საამო საყურებელი
ლაღი მდინარე მთისაო.
სისხამზე შურთხის სტვენა და...
ნიშანი თენებისაო,
სხივის სიცილი რიჟრაჟზე,
აფრენა ხოხობისაო.
თუ, არ უნახავს, არასდროს,
სოფლები თუშეთისაო,
მაღლა, ბღავილი ირმების,
დაბლა – გაშლილი ცხვრისაო.
როგორ ვიწამო – ქართველად?!..
მოდგმა ჰქონია თხისაო...

ვუძღვნი მარიკოს!

ჩემ შვილიშვილს

ვინ ააყვავა, ალისფრად, ნუში?..
ან, ვინ ჩააცვა კაბა საფერი?..
ვინ ააფეთქა ტყემალი თეთრად?..
ვინ მისცა ატამს აპრილში ფერი?..
ან, ვინ შეღება მინდორი მწვანედ?..
ან, ცისარტყელას ვინ მისცა ფერი?..
ვინ მიუჩინა ადგილი ცაში?..
და... დასაყრდენად ალაზნის ველი.
ნეტავ, ვინ მორთო ვერხვები თეთრად?..
ან, ვინ შეღება წითლად ძახველი?..
როცა ვუყურებ ყველაფერს, ერთად,
გამახსენდება შენი სახელი.
ყაყაჩოებით მოჩითულ ველზე,
ამოსულიყო გვირილა ერთი,
ო! როგორ ჯობდა, ირგვლივ, ყველაფერს,
ის იყო: თეთრი და... ერთადერთი.

ვერ დავივიწყე

სულ თვალწინ მიდგას ბავშვობა წმინდა.
და ეს ტკივილი, – განუკურნელი.
ვერ დავივიწყე, ბავშვობის დღიდან,
ახლადმომკილი ხორბლის სურნელი,
მარნის ქვევრებში მაჭრის დუღილი
და დედაჩემი მკლავმოუღლელი.

სიკვდილზე ძნელი

ყველა მივდივართ, იმ ქვეყნად, კენტად,
იქ, გველოდება სამარე, – ძნელი...
მე გამოვცადე – ყველაზე მეტად,
ხან, სიცოცხლეა – სიკვდილზე ძნელი.

არ მოვიდოდა სიბერე მაშინ

სოსო კარჭაულს

თუ, გულში დარდად არ დავირჩენდი,
როგორ ყვაოდა ატამი ბაღში,
თუ, ერთხელ, მაინც, ვერ შევამჩნევდი.
ყაყაჩოს ფერებს, პურის ყანაში,
არ მოვუსმენდი ბულბულის სტვენას
და წეროების სიმღერას ცაში,
არ მომხიბლავდა ალაზნის ველზე,
ხოხბების ლაღი აფრენა მაშინ.
დავივიწყებდი ვაზის ტირილს და...
პაპის სიმღერას, ყანების მკაში,
დავივიწყებდი სოფლის სიყვარულს,
და გუთნის დედის სიმღერას, ხვნაში...
რომ, არ მახსოვდეს მოხუცი მამა.
როგორ უვლიდა ვენახში ვაზებს,
ზაფხულში, მინდვრად, ღამის გათევა,
ტოროლას სტვენა, მეწამულ ცაზე.
რომ, არ მახსოვდეს სოფლის ბაღებში,
შემოპარული საღამოს მწუხრი.
და... არ მახსოვდეს, სოფლის ბოლოზე –
ეკლესია და მოდრეკა მუხლის.
დავივიწყებდი სიყრმის მეგობრებს.
და სოფლის ძალას, – გაფანტულს ხალხში,
აპრილის ღიმილს, კვირტების სკდომას,
განთიადისას გალობას შაშვის.
რომ, არ მახსოვდეს ხალხი ლამაზი,
და... დედაჩემის ჭაღარა – თმაში,
არ მექნებოდა ცრემლები თვალზე,
არ მოვიდოდა სიბერე მაშინ.

გიორგი ბერძნიშვილი

– ნიკალ, მოდი ყვავილების თაიგულების ხატვა დაიწყე. ხალხი სიამოვნებით იყიდის. შენც მეტი შემოსავალი გექნება.

– ძმაო ვანო, ჩემ დახატულ თაიგულებს სევდიანი განწყობილება გამოჰყვება. მასეთი თაიგულები იმ მხატვრებმა უნდა ხატონ, ვისაც ემხიარულება. მე ხალხს ვერ მოვატყუებ, ვერც შენ მოგატყუებ. თუ, ჩემი ნახატები არ მოგწონს და სხვები უკეთესს გთავაზობენ, მიიღე იმათი სურათები, შენ შემოსავალი რად უნდა დაკარგო. მე კი, ისევ, იმას დავხატავ, რაც სიამოვნებით მეხატვინება. რაც შეეხება თალხი ფერებით ხატვას, რა ვქნა, ძმაო, ის ჩემი სულის გამოძახილია.

გ. ბერძნიშვილი

ჯადოსნური ფუნჯის ჯადოქარი



გიორგი ბერძნიშვილი

მხატვარმა ნიკალამ ის ღამეც ძილ-ღვიძილში გაატარა. რიჟრაჟი ახლოვდებოდა, როცა ძილმა თავი მოსტაცა და ღრმად ჩაეძინა. მზე, უკვე, დიდი ხნის ამოსული იყო, თვალი რომ გაახილა. „ადექი, ჩემო თავო „ჩეფჩიკიანი პოვრები“ შენ არ მოგემსახურებიან“, გაიფიქრა უჭმელობით დასუსტებულმა ნიკალამ და საწოლიდან წამოდგა. „ჩემს მეტი, ამხელა ქალაქში, ჩექმებით არავინ დადის. ლამის ფეხები მეხარშება ამ პაპანაქება სიცხეში, მაგრამ...“ მხატვარს, უეცრად, ხველება აუტყდა. ეს გაბმული ხველა ფილტვებიდან მოდიოდა. უკვე, მესამე დღე იყო, მის კუჭში, პურისა და წყლის მეტი არაფერი ჩასულიყო. ნიკალა მოლბერტზე დამაგრებულ „მებადურის“ სურათთან მივიდა და საღებავი თითით მოსინჯა. „წაღება შეიძლება“ გაიფიქრა მხატვარმა და სურათი მოლბერტიდან გადმოიღო.

ნელი ნაბიჯით მიუყვებოდა სურათამოიღლიავებული მხატვარი ვანოს დუქნისაკენ მიმავალ გზას, დუქნის სახელი: „მოდი, ძმაო, პური გავტეხოთ“, აბრის დიზაინი და შესრულება მას ეკუთვნოდა.

– ძია ნიკალ! ძია ნიკალ! – მოესმა მეზობელი ბიჭუნას დაღლილი ხმა. – ძია ნიკალ, მამაჩემმა დამაბარა, ნიკალასთან პურისჭამა მომენატრა და გელოდებიო.

– არა, გენაცვალე, მამას მადლობა გადაეცი და უთხარი: ვანოს დუქანში სურათი მიჰქონდა-თქო. ისე, ბალღო, შენგან იმდენი სიკეთე მახსოვს, თუ ცოცხალი დავრჩი, შენს ქორწილში საცრით წყალი უნდა მოვიტანო.

– აუ, რა ჯიგარი ხარ, ძია ნიკალ.

ვანოს დუქანში მოქეიფეების ტევა არ იყო: პაპიროსის ბოლით და ალკოჰოლით გაბრუებული ადამიანები ისე ხმამაღლა საუბრობდნენ, მეზობლების გადაძახილი გეგონებოდა.

– მოხვედი, ნიკალ? – იკითხა მედუქნემ.

– მოვედი, ვანო, და ახალი სურათიც მოგიტანე. ეს რო გაიყიდება ნისიის ვალსაც გაისტუმრებს, ერთი თვის დაგრჩება.

– მაინც, რას ფიქრობ, რამდენში გასაღდება მებადურის სურათი, ნიკალ.

– ათ თუმანს კაპიკი არ დააკლდება, – თქვა მხატვარმა და მედუქნის პასუხს დაელოდა.

– „ამხელა თანხას სურათში ვინ გადაიხდის“ – გაიფიქრა ვაჭარმა.

– ნიკალ, მოდი ყვავილების თაიგულების ხატვა დაიწყე. ხალხი სიამოვნებით იყიდის. შენც მეტი შემოსავალი გექნება.

– ძმაო ვანო, ჩემ დახატულ თაიგულებს სევდიანი განწყობილება გამოჰყვება. მასეთი თაიგულები იმ მხატვრებმა უნდა ხა-

ტონ, ვისაც ემხიარულება. მე ხალხს ვერ მოვატყუებ, ვერც შენ მოგატყუებ. თუ, ჩემი ნახატები არ მოგწონს და სხვები უკეთესს გთავაზობენ, მიიღე იმათი სურათები, შენ შემოსავალი რად უნდა დაკარგო. მე კი, ისევ, იმას დავხატავ, რაც სიამოვნებით მეხატვინება. რაც შეეხება თალხი ფერებით ხატვას, რა ვქნა, ძმაო, ის ჩემი სულის გამოძახილია.

ვანო, ჩემზე უბედური კაცი არავინ მეგულება, რა დავუშავე ღმერთს, ასე რომ გამწირა?!.. არა, შენ ისე არ გამიგო, თითქოს, რაც ჩემ თავს ხდება, ყველაფერს ღმერთს ვაბრალებდე. მე რომ მეხატვინება და ვხატავ ესეც, ხო, ღმერთის წყალობაა. უძილოდ გატარებული ღამეების შემდეგ, გათენება, მარტო, იმიტომ მიხარია, რომ უნდა ვხატო. ფუნჯს ხელში რომ დავიჭერ, სულ მავიწყდება შიმშილიც და უძილო ღამეც.

ძმაო ვანო, ხატვისა და ღვინის გარეშე ცხოვრება არ შემიძლია. ფუნჯი უსაქმოდ არ შემიწუხებია. როცა ხატვის ჟინი მომივლის, ხოლმე, მხოლოდ, მაშინ ვიღებ ხელში. ღვინისათვის, არც ფხიზელს და არც ნასვამს, შეურაცხყოფა არ მიმიყენებია. მის მოფერებას არაფერი მირჩევნია. ყველაზე დიდ სიამოვნებას მანიჭებს, როცა ვაზისა და მეზვრის სადღეგრძელოს ვსვამ.

– მჯერა, ნიკალ, მჯერა. ამ ცხოვრებას რა ვუთხრა, შენი გულის პატრონი ცხოვრებით უნდა ტკბებოდე, შენ კი...

– ვანო, სამი დღეა პურზე და წყალზე ვარ. რამე მაჭამე, თორემ, წავიქცევი.

– ნიკალ, შენ კარგად ხედავ დარბაზში ადგილი არ არის. სამზარეულოს პატარა მაგიდაზე მეეზოვე მიხაკო სადილობს. თუ, იკადრებ და გვერდით დაუჯდები...

– ვანო, ადამიანის ღირსება არც ჩინ-მედლებით და არც დაკავებული თანამდებობით ფასდება, - თქვა მხატვარმა და სამზარეულოს კარი გააღო.

– მხატვარი ნიკო ფიროსმანაშვილი, – გაეცნო ნიკალა მეეზოვეს და მის გვერდით სკამზე ჩამოჯდა.

მოულოდნელობით დაბნეულმა მიხაკომ წამოდგომა დააპირა. მხატვარმა მხარზე ხელი დაადო და ადგილზე დააბრუნა:

– ბატონო მიხაკო, რამდენი ხანია თქვენთან შეხვედრას ვნატრობ. ახლა, ღმერთმა ინება და შევხვდით.

მიხაკოს დაბნეულობისაგან ენა ეყლაპებოდა. სიცოცხლეში თქვენობით არავის მიუმართია: ახლა კი...

მხატვარი სოფიო ჭელიძე

– ბატონო მიხაკო, პირდაპირ გეტყვით. მე თქვენი დახატვა მინდა. გთხოვთ, უარი არ მითხრათ.

მეორე დღეს, დათქმულ დროზე, მივიდა მხატვარი ნიკალა მეეზოვის ბინაში. მიხაკო ჭიშკართან დახვდა საპატიო სტუმარს. მთელი კვირის მანძილზე, ერთსა და იმავე დროს, სამი საათით მიდიოდა ნიკალა ნატურის სახატავად, დუქანში კი აღარ გამოჩენილა.

– სადა ხარ, ნიკალ, როგორ გაუჩინარდი, ჩემგან გეწყინა რამე? – მიაყარა შეკითხვები დუქანში შესულ მხატვარს მედუქნემ.

– არა, ვანო, შენგან რა უნდა მეწყინოს? ცხვარივით წყნარი კაცი ხარ.

– ნიკალ, სასიხარულო ამბავი მაქ შენთან სათქმელი. შენი მებადური გაიყიდა. ერთმა კოლექციონერმა შეუვაჭრებლად გადამიხადა ასი თუმანი. აქედან, 30 თუმანი ნისიისა დავქვითე, 70 თუმანით მთელი წლის მანძილზე სადილობისას ცხელი კერძი და ერთი ბოთლი ღვინო არ მოგაკლდება. ეს რო გათავდება, მერე, ერთ, მაგარ წინადადებას შემოგთავაზებ და ვიცი, უარს არ მეტყვი.

– მაინც, რა შემოთავაზება გაქვს, ვანო. ჯობია პირში მითხრა, ვიდრე სხვებმა მომიტანონ ამბავი. ვანო, ამ დუქანში ყველა ჯურის ხალხი შემოდის, მათ შორის, უცხოელებიც. ჩემ სურათებზე რას იძახიან, მოსწონთ თუ, არა? მე სხვანაირად ვერ დავხატავ, სიყალბე გამომივა.

– ნიკალ, შენ კარგად იცი ხალხი ჭრელია, ზოგს მოსწონს, ზოგს არა. შენ გულთან ნუ მიიტან, მოვა დრო და ყველას მოეწონება.

– ვანო, ვიცი გაგიხარდება. საფრანგეთში ჩემი ნამუშევრების გამოფენას აპირებენ. ეტყობა მოსწონთ, არა?

– ძმაო ნიკალ, მარტო ფრანგებს კი არა, მალე მთელ მსოფლიოს მოეწონება. ის დროც დადგება, როცა ჩვენს ქვეყანაში ძეგლებს დაგიდგამენ. ის ხალხი, ვინც სიცოცხლეში უდარდელად არიან, მალე ამთავრებენ არსებობას, სიკვდილის შემდეგ, არავის ახსენდება. შენი სახელი კი თაობიდან თაობას გადაეცემა და, რაც მეტი დრო გავა, უფრო დაფასდები.

– ძმაო ვანო, ჩემ სულს ესიამოვნება თუ, ვინმე, აღდგომა დღეს, საფლავზე სანთელს დამინთებს და ჭიქა ღვინოს თავს წაუქცევს.

მედუქნემ საუბრის თემა შეცვალა.

– ნიკალ, იმ სურათს, აქტრისა მარგარიტა რომ ჰქვია, თუ გავყიდით, შეიძლება ორჯერ მეტი გადაგვიხადონ.

– ვანო, შეიძლება რომ ადამიანმა ფულის გულისთვის ყველაზე საყვარელი ადამიანი გაყიდოს? ე, მაგ ქალმა შემაყვარა სიცოცხლე და... – ნიკალას თვალები აუწყლიანდა, ბოღმის ბურთი ყელში გაეჩხირა, თავი დაღუნა და ჩუმად გაშორდა ვაჭრის დახლს.

მოკლე ნაბიჯებით მიუყვებოდა შინისაკენ მიმავალ გზას, – ცხოვრებით დაღლილი, ხატვის ჯადოქარი, ღარიბი ნიკალა და გულში ფიქრობდა: „რათა ჰგონია ზოგიერთს, რომ სიყვარული ნივთია, რომლის ყიდვა-გაყიდვა შეიძლება. ის ხომ, ღმერთისაგან ბოძებული ნიჭია. მასზე უარის თქმა, ხომ, ღმერთზე უარის თქმას ნიშნავს? მე შიმშილით სიკვდილი მირჩევნია ღმერთის ღალატს. გაიგოს ყველამ, რომ ჩემი სული ღმერთს ეკუთვნის“.

უფალი იყოს მისთანების შემწე და მფარველი...

მიხეილ ჯავახიშვილი

სიმღერა თელავზე

ალაზნის ველს გადავყურებ ამაყად,
სტუმარს ხვდები განცდით, – მხიარულითა.
დავდივარ და შენი ქება მწყურია, –
შენს ქუჩებში ლაღად სიარულითა.

ფიქრის გორას საფიქრალი ბევრი აქვს,
ყოველი დღე რა სწრაფი და მალია...
თელავი, რომ ყველას გულით გვიყვარდეს,
ყველას – ფიქრი, ოცნება და... ვალია...

დაგვიანებული სიყვარული

სიჭაბუკემ გაირბინა სწრაფად,
სადაცაა, შემოდგომა მოვა,
გაზაფხული დაგვიშორდა, კარგო,
ახლოს არის ყვითელ-ფოთოლთ თოვა.

თუმც ჭალარა შეგვეპარა თმაში,
ჩვენი გზები არ გაყრილა, – ჯერაც,
დარდიანად დამიწყია მღერა,
მე მიყვარხარ შენ კი – არა გჯერა.

სევდით სავსე ვეძალები ღვინოს,
ავმჩატდები ისე, როგორც – თივა,
გულს ნაღველი გადვიყარე, კარგო,
სიყვარულით გული, მაინც მტკივა.

შენი თვალები მხიბლავენ

განა, მე, მართლა მთვრალი ვარ?..
განა, მე ღვინო მწყურია?..
ერთის თვალები მხიბლავენ,
ოცნებაც, – ედემრგულია.

გულს მილხენს ღვინო კახური,
და სულს ედება ალია;
ვისი ბაგენიც მხიბლავენ,
ეს, რა ვარდივით ქალია?!..

ღმერთო, მომეცი გაძლება,
ღმერთო, მომეცი ძალია;
მის ალვის ტანს რომ ვუყურებ,
გულზე მედება ალია.

*გიორგი
შარვაშიძე*

ალბათ შემთხვევითი არ არის ის რელიგიური, თუ სიმბოლური დამთხვევები, რაც საქართველოსა და კატალონიას შორის არსებობს. კატალონიის მფარველი ღვთაებაც და მათი სულიერი სიმბოლოც ღვთისმშობელია. ასევე ქალაქ ბარსელონას მფარველად ითვლება წმინდა გიორგი და ქალაქის დროშაზეც მისი ჯვარია გამოსახული. ის ფაქტი, რომ აქ ოდესღაც იბერიული ტომები ჩამოსახლდნენ, ამტკიცებს, რომ არა მხოლოდ ქართული და ბასკურ მოსახლეობას შორის არსებობს მსგავსება, არამედ ქართველთა და კატალონიელთა შორისაც არის სულიერი სიახლოვე, რასაც ორივე ერის მუდმივად დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვაც ადასტურებს.

გ. შარვაშიძე

იბერიიდან იბერიამდე

ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში შევიძინე ესპანური ენის თვითმასწავლებელი და მცირე წავარჯიშების შემდეგ, ჩავთვალე ჩემთვის გამოუსადეგარ წიგნად. ვერ წარმომედგინა, თუ დადგებოდა ის დღე, როცა მომიწევდა ესპანეთში გამგზავრება, თორემ შევეცდებოდი შემესწავლა სასაუბროდ აუცილებელი სიტყვები. ესპანეთში ქალიშვილის ოჯახის მოსანახულებლად გავემგზავრე. გარკვეული მიზეზების გამო, როგორც სხვა უამრავი ქართველი, იძულებულები გახდნენ წასულიყნენ ,,ელდორადოს“ საძებნელად. თუმცა ბევრნი ვერ ეწივნენ იმ ბედნიერებას, როგორც წასვლამდე ჰქონდათ წარმოსახული და ვეღარც უკან დაბრუნებას ახერხებდნენ და სჯერდებოდნენ იმ მცირე გასამრჯელოს, რასაც იმეტებდნენ იმ ქვეყნის მოქალაქეებისთვის, რომელნიც მეორე ხარისხის ადამიანთა კატეგორიად მიაჩნდათ.

ერთი სიტყვით, ორწლიანი გაჭიანურებული სამზადისის შემდეგ, როგორც იქნა, მოვაბით თავი და დავჯავშნეთ ბილეთები ბარსელონას მიმართულებით. ჩვენი წასვლა უფრო მეტად განაპირობა მათმა ჩამოუსვლელობამ, რადგან ჯერ არ ჰქონდათ ესპანეთის დატოვების უფლება (საბუთების მოწესრიგება ვერ მოახერხეს), ამის გამო კი ესპანეთში დაბრუნება გაუძნელდებოდათ და ამიტომ მხოლოდ შორიდან, ინტერნეტის საშუალებით, ერთმანეთთან სიყვარულსა და მოფერებას ვჯერდებოდით. მაგრამ ყოველი ონლაინით დაკავშირების შემდეგ, უფრო მეტად გვიმძაფრდებოდა ერთმანეთის ახლოს ნახვის და მით უმეტეს, ჩვენი შვილიშვილის – ბარბარეს გულში ჩახუტების სურვილი.

და აი, ჩემი ინგუშეთში მუშაობის წყალობით, საიდანაც ინგუშმა მეგობრებმა და ქართულმა დიასპორამ კეთილი სურვილებით გამომაცილა, დადგა ეს ნანატრი დღეც. წინა დღისით, წმინდა გიორგის ეკლესიის კარზე კეთილი გზისთვის ლოცვებითა და თხოვნებით გულგაჯერებულები და შემდეგ ქართული და მით უმეტეს, კახური ტრადიციული, მამაპაპური სუფრიდან ახლობლებისა და მეგობრების კეთილი მოკითხვებითა და სურვილებით დატვირთულები, გავემზადეთ ამ შორეული და სანუკვარი მიზნის შესასრულებლად. აეროპორტში, საიდანაც უნდა გავფრენილიყავით, ჯერ თბილისი-ათენის რეისით და იქიდან ბარსელონას მიმართულებით, ჩვენი ოჯახის წევრებმა გაგვაცილეს, რომლებიც ჩვენს მღელვარებას (რაც განსაკუთრებით ჩემს მეუღლეს ეტყობოდა, რადგან პირველად უნდა ჩამჯდარიყო თვითმფრინავში), თუ სიმტკიცეს ფოტო და ვიდეო ფირზე აფიქსირებდნენ. რეგისტრაციის გავლისას, საბაჟოს თანამშრომლებმა, მოგზაურობის მიზნის გამოსარკვევად საფუძვლიანად დაგვკითხეს, რადგან საქართველოდან გასულთა სამოცდაათი პროცენტი უცხოეთში დასარჩენად მიემგზავრება. მეუღლე აღელვებული მომდევდა და ყოველნაირად ვცდილობდი მის გამხნევებას. ბარგის შემოწმებისას წყლის ბოთლებიც კი ამოგვარიდეს. არადა, აეროპორტის პირველ და მეორე სართულებს შორის, უბრალო წყლის ბოთლის ფასის სხვაობა ათმაგი იყო. მეორედან პირველ სართულზე ჩასვლის უფლება კი უკვე აღარ გვქონდა. შეიძლება ეს იმდენად არ გამკვირვებოდა, ათენის იგივე კატეგორიის დარბაზში რომ არ მენახა ბევრად უფრო იაფი საჭმელიც და წყალიც. რას ვიზამთ, ჩვენ ხომ ყველაფერში უნდა გამოვიჩინოთ თავი.

თვიმფრინავში ჩაჯდომიდან სამი საათის ფრენის და ნერვიულობის შემდეგ, გამთენი-

ისას, როგორც იქნა დავეშვით ათენის აეროპორტში, სადაც შვებით ამოვისუნთქეთ მეც და განსაკუთრებით ჩემმა მეუღლემ. ელადის მიწაზე ფეხის დადგმამ მხოლოდ აეროპორტის შიდა ეზოში მოგვიწია. დარბაზში შესვლის და დიდი ლაბირინთის გავლის შემდეგ (რომელიც მინოსის ლაბირინთს უფრო მოგაგონებდათ, ვიდრე აეროპორტისას), გაღიმებულმა მებაჟემ, ათენის აეროპორტის ბეჭედი ყოველგვარი პრობლემების გარეშე ჩაგვირტყა, რაც იმის მიმანიშნებელი იყო, რომ ჩვენ უკვე შენგენის ზონაში ვიმყოფებოდით, რაც უფლებას გვაძლევდა სამი თვე უპრობლემოდ გვემოგზაურა შენგენის ქვეყნებში. ჩვენ გავიარეთ იგივე პროცედურა, რაც თბილისში და ბარსელონას მიმართულებით თვითმფრინავის მოლოდინში დარბაზში დავრჩით, რომელიც შვიდი საათის შემდეგ უნდა გაფრენილიყო. რაც უფრო ახლოვდებოდა ათენიდან გაფრენის დრო, ჩემი მეუღლე მით უფრო ნერვიულობდა, თუმცა ჰაერში, ცოტა დაწყნარდა და სანახევროდ მძინარემ, თითქმის ვერც გაიგო ბარსელონას მისადგომებამდე როგორ იფრინა თვითმფრინავმა, სადაც სტიუარდესები თავიანთი მომხიბვლელი ღიმილით იქცევდნენ მგზავრების ყურადღებას. მხოლოდ იბერიის მიწასთან თვითმფრინავის დაბლა დაშვებისას, როცა უკვე საკმაოდ იგრძნობოდა რყევები, გამოეღვიძა და კვლავ აღელდა. თუმცა, თვითმფრინავის ასაფრენ ზოლთან შეხებისას, როცა ბედნიერმა მგზავრებმა ტაში დაუკრეს და განსაკუთრებით, მოსაცდელ დარბაზში, როცა დიდი ხნის უნახავი შვილი და შვილიშვილი გულში ჩავიხუტეთ, ყველაფერი გადაგვავიწყდა. მათთან შეხვედრის სიხარულისგან თავბრუდასხმულები, სიძის ავტომობილით ბარსელონასთან ახლოს მდებარე ისტორიულ ქალაქ მანრესასკენ მივქროდით, რომ იქ უკეთესად ჩავხუტებოდით და მოვფერებოდით ერთმანეთს და განსაკუთრებით ბარბარეს, რომელსაც ორი წლის ასაკში დავშორდით და ახლა შედარებით გაზრდილი და დამშვენებული დაგვხვდა. არ მეგონა, თუ ეს ცხადლივ ხდებოდა, რადგან ამ რამოდენიმე წლის წინ, როდესაც მათ დატოვეს საქართველო, წარმოუდგენლად მიმაჩნდა, ჩემი მეშვიდე ათწლეულში გადადგომის გამო, თუ კიდევ შემეძლებოდა უცხოეთში გამგზავრება, რადგან ადამიანი ასაკოვანი რომ ხდება, ცუდს უფრო მეტად ფიქრობს, ვიდრე კარგს. მაგრამ შვილისადმი და შვილიშვილისადმი სიყვარულმა და მონატრებამ მომცა ძალა და გადამალახინა „ცხრა მთა და ცხრა ზღვა“, რათა კიდევ ერთხელ შემძლებოდა მათთან სიახლოვე. გასაუბრების შემდეგ, შვილის ოჯახის საქართველოში სამუდამოდ დაბრუნებაზე ფიქრიც კი წარმოუდგენლად მომეჩვენა. თუმცა, ერთერთ მთავარ თემად, ამ საკითხის დაყენებას ვფიქრობდი აქ ჩამოსვლამდე.

ისინი, თუმცა ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდნენ, მაგრამ, აქ საკუთარი სამყარო ჰქონდათ შექმნილი, თავიანთი ცხოვრებით, საახლობლო-სამეგობროებით, რომლებიც აქ არც თუ ისე ცოტანი ყოფილან და რომ წარმოვიდგინოთ, მთელი მსოფლიოს მასშტაბით რამდენი ქართველია გაბნეული აქეთ-იქით, მივხვდებით, რამდენიღა ვიქნებით დარჩენილები საქართველოში. გულში მყავდა ჩახუტებული ჩემი შვილიშვილი და მახსენდებოდა რამოდენიმე წლის წინ ჩვენი დაშორება, როცა ბარბარეს ბედზე დაფიქრებულს, რომელიც უცხო მიწაზე უნდა გაზრდილიყო, უცხო ხალხის გარემოცვაში, უცხოური მენტალიტეტით, ხშირად მწარე ცრემლები წამომცვივნია, რომელსაც ახლაც ძლივს ვიკავებდი.

ისტორიული ქალაქი მანრესა, ღამის შუქზე, ლამაზი სანახავი იყო თავისი ვიწრო ქუჩაბანდებით. მიუხედავად ქუჩების ასეთი სივიწროვისა და ორმხრივად დაპარკინგებული ავტომობილებისა, საკმაოდ მოზრდილი ავტობუსების მძღოლები მოხერხებულად დააქროლებდნენ ტრანსპორტს. ქალაქი მანრესა – კატალონიის ავტონომიის, ბაჟესის რეგიონის დედაქალაქია, რომელიც მდებარეობს კატალონიის ცენტრალურ ვაკე პლა-დე-ბაჟესზე, მდინარეების ლობრეგატის და კარდენერის შესართავთან. ქალაქი გამოირჩევა შუა საუკუნოვანი გოთიკური სტილის საკათედრო მონასტრით და ასევე ბაროკოს სტილის ტაძრებით. ესპანეთის განმათავისუფლებელი ომის დროს, 1808 წელს, ბრუკის გორაკთან, მანრესის შენაერთებმა დაამარცხეს ნაპოლეონის ორჯერ დიდი, უძლეველი ფრანგული არმია, რის შემდეგაც გაქცეულმა ფრანგებმა გადაწვეს და დაანგრიეს მანრესა, მაგრამ მისმა მაცხოვრებლებმა ფერფლიდან აღადგინეს ქალაქი. სხვათა შორის ამ პერიოდს უკავშირდება ლამაზი ლეგენდა ყმაწვილ მწყემსზე, რომელმაც თანამემამულე მებრძოლების დასახმარებლად ბარაბანზე დაუკრა, რომლის ხმის ექოც მონსერატის ცად აწვდილი მთებიდან ათასობით ბარაბნის ხმად აღიქვეს ფრანგებმა და მრავალრიცხოვან მეომრებთან შებრძოლებას გაქცევა ამჯობინეს. მოგვიანებით აქ დადგეს ძეგლი ,,ბრუკის ბარაბანი“, რომელსაც ამშვენებს წარწერა: ,,გამვლელო შეჩერდი. ამ ადგილზე ფრანგებიც შეჩერდნენ, რომლებიც მანამდე ვერანაირმა ძალამ ვერ შეაჩერა.“

გიორგი შარვაშიძე

დღეს ქალაქი თავს იწონებს სანტა მარია ლა სეუს საკათედრო და წმინდა იგნასიო ლაიოლას სახელობის (რომლის სახელთანაცაა დაკავშირებული იეზუიტთა ორდენის დაარსება) ტაძრებით, გოთური კვარტალით, ძველებური საწარმოო კომპლექსებითა, თუ რომაული წარმოშობის ხიდებით და სხვა. იმის მიუხედავად, რომ ქალაქში უამრავი ავტომობილი მოძრაობს და ხშირ შემთხვევაში, ბევრ ქუჩაზე, გადატვირთული მოძრაობაა, მთელი დღის განმავლობაში ერთი სიგნალის ხმას ვერ გაიგონებ. ქალაქის ქუჩებში, ისევე როგორც საქართველოს ქალაქებში, უამრავი ძაღლი დადის, თუმცა მაწანწალა ძაღლს ერთსაც ვერ დაინახავთ. ყველა ძაღლს თავისი პატრონი ჰყავს და დამუშავებულ-გაწვრთნილებს დაასეირნებენ, როგორც ქუჩებში, ასევე საზოგადოებრივ ტრანსპორტში, მატარებლებსა თუ ავტობუსებში და მაღაზიებშიც კი.

ქალაქის მისადგომებთან მდებარეობს ქვად და კლდედ შედუღაბებული, ულამაზესი და დიდებული მონსერატის მთები, რაც ,,ხერხემლიან მთებს" ნიშნავს, რომელსაც ერთდროულად უკავშირდება, საავტომობილო, სარკინიგზო, საჰაერო საბაგირო და სამთო საბაგირო რკინიგზა (ფუნიკულიორი) და ყველა ეს გზები გადატვირთულია დამთვალიერებლებით, რომელთა უმრავლესობაც მრავალ მწვერვალიანი მთების და სხვადასხვა მნიშვნელოვანი ადგილებისკენ მიემართებიან ბილიკების საშუალებით. ერთ-ერთ ყველაზე მაღალ მწვერვალზე, სანტ-ჯერონიზე ასვლა-ჩამოსვლისთვის, მინიმუმ ხუთი საათია საჭირო, ამიტომ პირველ დღეს მოგზაურობისას, დროის დეფიციტის გამო, მხოლოდ სანახევროდ მოვიარეთ მონასტრის მიმდებარე ტერიტორიები, ხოლო მწვერვალზე ასვლა სხვა დროისთვის გადავდეთ. თუმცა, აქაც ბევრი საინტერესო ადგილები მოვინახულეთ. თუნდაც ერთის შეხედვით არაფრისმთქმელი, ქვის დიდი საფეხურები, რომელიც უსასრულობისკენ, ზეცისკენ მიემართება და მარადისობისკენ მიმავალ სიმბოლურ საფეხურებს აღნიშნავს: ქვა, ცეცხლი, მიწა, მცენარე, ცხოველი, ადამიანი, ანგელოზი, ცა, შემოქმედი. აქედან იშლება საუცხოო პეიზაჟი კატალონიის დაბლობებისკენ და მწვერვალებისკენ. აქვე მოწყობილი პატარა ბაზარი კი გიპყრობთ ადგილობრივი ტკბილეულობით თუ საჩუქრებით. ხოლო იმ დიდებული მონასტრის ადგილზე, რომელიც წმინდა ქალწულ მარიამის სახელზე აიგო მეთერთმეტე საუკუნეში, აქ არსებულ ერთ-ერთ მღვიმეში, ადგილობრივმა მწყემსებმა მეცხრე საუკუნეში აღმოაჩინეს მარიამ ღვთისმშობლის ხის ქანდაკება ახალშობილით ხელში, მაგრამ მისი იქიდან გამოტანისას ისე დამძიმდა, რომ ვეღარ დაძრეს. ამიტომ მანრესას ეპისკოპოსის ბრძანებით ადგილზე დატოვეს, რომ იქ ტაძარი აეგოთ. ამ ტაძარში არის ევროპაში ყველაზე დიდი ორღანი და მე-14 საუკუნეში დაარსებული, ყველაზე უძველესი, ორმოცდაათწევრიანი პატარა ბიჭების მომღერალთა გუნდი. ყველაზე საინტერესო კი ვერცხლის ტახტია ღვთისმშობლით, რომელსაც ხელში უკავია ყრმა იესო და სფერო, რომელიც სამყაროს სიმბოლოა. ღვთისმშობელი, ანუ „შავი მადონა", როგორც მას უწოდებენ, კატალონიის სულიერი სიმბოლოა. იგი წმინდა ლუკამ გამოკვეთა, წმინდა პეტრემ კი ესპანეთში წაიღო. მერვე საუკუნეში ქანდაკება მონსერატის მთებში გადამალეს სარაცინებისაგან დასაცავად, მაგრამ შემდეგ დაიკარგა. მხოლოდ მეცხრე საუკუნის ბოლოს აღმოაჩინეს მწყემსებმა მღვიმიდან გამომავალი ანგელოზური სიმღერის და იდუმალებით მოცული ნათების წყალობით. ფრანკოს მმართველობისას, აკრძალულ კატალონიურ ენაზე, მხოლოდ აქ ტარდებოდა წირვები და ქორწინებები.

მწვერვალზე ასვლა მხოლოდ მოგვიანებით შევძელით, რადგან სიძის სამსახურის გამო ვერ მოვახერხეთ იქ გამგზავრება. მონასტრის მიდამოებიდან იწყება საცალფეხო ბილიკები, რომლებიც მწვერვალებისკენ მიემართებიან. ბილიკების დასაწყისში დადგმული სტენდიდან, სადაც რუკაა გამოსახული, ამოვირჩიეთ სან-ჯერონისკენ მიმავალი ყველაზე გრძელი ბილიკი. სან-ჯერონი აღმოჩნდა ყველაზე მაღალი მწვერვალი, იმ მრავალ მწვერვალთაგან, რომლებიც ამაყად გადმოგვყურებდნენ მსოფლიოს მრავალ ენაზე მოლაპარაკე ტურისტებს, რომელთა შორისაც ქართველებსაც კი შევხვდით. ჯერ კიდევ დიდი მანძილი არ გვქონდა გავლილი ჯიხვებს რომ გადავეყარეთ. ეს ადგილები ამერიკის კანიონებს მიაგავდა. საპირისპირო მხარეს, მონსერატის რამოდენიმე მიუვალი მწვერვალი მოჩანდა სადაც, ჩვენ-

და გასაკვირად, ალპინისტთა ჯგუფი აღმოვაჩინეთ, ისინი მწვერვალზე ასვლას ყველაზე მიუვალი მხრიდან ცდილობდნენ (თუმცა ამ მწვერვალს ყველა მხარე მიუვალი აქვს). ჩვენი იქ ყოფნისას, მათ მწვერვალის დაპყრობაც მოახერხეს. ეს მწვერვალი, თითქმის ყველა მხრიდან კარგად ჩანდა და ლამის მთელი დღის განმავლობაში ვაკვირდებოდით მათ სვლას უსასრულობისკენ. ვიდექით ამ პატარა კანიონის ძირში და შევყურებდით ბუნების საოცრებას და ამ კლდოვან ბუნებასთან თანშეზრდილ, კლდის ქიმებზე ლაღად მონავარდე ჯიხვებს და მათ საპირისპირო მხარეს ვუცქერდით ადამიანების ბრძოლას ბუნებასთან. ნელ-ნელა, სვენებ-სვენებით და ულამაზესი ხედების ფირზე აღბეჭდვით, როგორც იქნა ავაღწიეთ ყველაზე მაღალ მწვერვალამდე – სან-ჯერონიმდე, საიდანაც ხელისგულივით მოჩანდა ლამის მთელი კატალონია და მონსერატის მთის მასივის ყველა მწვერვალს, მაღლიდან გადმოვყურებდით. უნდა ითქვას, რომ ერთის მხრივ, კიდეც გაგვიმართლა, მოწმენდილი და მზიანი ამინდი რომ შეგვხვდა, რადგან მწვერვალებიდან მხოლოდ ბარსელონას მისადგომებთან მდგარი გემები კი არ დავინახეთ, არამედ თვით შორს, აღმოსავლეთში მყოფი კუნძული მალიორკაც კი მოჩანდა შეუიარაღებელი თვალით. უკან სხვა გზით დავბრუნდით, სადაც უამრავი საყდრები თუ კლდეზე მიშენებული, საყდრის ნანგრევები შემოგვხვდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ამ კლდეებში ოდესღაც უამრავი ბერი, თუ მონაზონი ცხოვრობდა.

როგორც იქნა მოვიდა ბარსელონაში გამგზავრების დღეც. დიდი ხანია, რაც ბარსელონა ჩემი ოცნების ქალაქია. აღარ მახსოვს ეს სიყვარული როდის, ან რატომ დაიწყო. ჩემი ბავშვობის დროინდელი ეგზოტიკური ადგილების სიყვარულის, კოლუმბის დროინდელი აღმოჩენების, კორიდას თუ ჩემი ფეხბურთისადმი სიყვარულის გამო. ალბათ უფრო ფეხბურთის დამსახურებაა ამ ქალაქის სიყვარული, რადგან საფეხბურთო გუნდ ,,ბარსელონაში" ყოველთვის გამორჩეული ფეხბურთელები სჭარბობდნენ, რომლებიც დაჯილდოებულები იყვნენ განსაკუთრებული იმპროვიზაციის უნარით, ტექნიკით და დრიბლინგით. მაგრამ თუ ოდესმე ოცნება რეალობად მექცეოდა და ბარსელონას მიწაზე ფეხის დადგმას შევძლებდი, ალბათ არც დამესიზმრებოდა. და აი, ვდგავარ სიუტადელას პარკში, სადაც სიმბოლურად, ტრიუმფალური თაღის გავლით მოვხვდი. ადგილობრივების აზრით, ბარსელონა თვით ჰერაკლემ დააარსა. ზოგიერთი ისტორიკოსის ცნობით, ის რომაელების დაარსებულია, მე კი, უფრო ის ვერსია მიმაჩნია სწორად, რომ ბარსელონას დაარსება ჰამილკარ ბარკას სახელთანაა დაკავშირებული და ქალაქის სახელიც აქედან წარმოდგება. თუმცა ყველა ამ ვერსიას აქვს არსებობის უფლება და თითოეულ მათგანში შეიძლება იყოს რაღაც სიმართლის მარცვალი. ბარსელონას ისტორია იწყება იმ დროიდან, როცა აქ იბერიული ტომები ჩამოსახლდნენ და საცხოვრებლად მთის ერთ-ერთი კალთა აირჩიეს. ამ მთის სახელი, მონჟუიკი დაკავშირებულია რომაელებთან, რომლებმაც მთას თავიანთი ღმერთის, იუპიტერის სახელი უწოდეს, მონს ჯოვიკო (იუპიტერის მთა). ასევე სხვადასხვა გადმოცემები ამ მთის სახელს ებრაელთა გამოჩენას უკავშირებენ შუა საუკუნეებში, მონ ჟუაკი (ებრაული მთა).

ალბათ შემთხვევითი არ არის ის რელიგიური, თუ სიმბოლური დამთხვევები, რაც საქართველოსა და კატალონიას შორის არსებობს. კატალონიის მფარველი ღვთაებაც და მათი სულიერი სიმბოლოც ღვთისმშობელია. ასევე ქალაქ ბარსელონას მფარველად ითვლება წმინდა გიორგი და ქალაქის დროშაზეც მისი ჯვარია გამოსახული. ის ფაქტი, რომ აქ ოდესღაც იბერიული ტომები ჩამოსახლდნენ, ამტკიცებს, რომ არა მხოლოდ ქართულ და ბასკურ მოსახლეობას შორის არსებობს მსგავსება, არამედ ქართველთა და კატალონიელთა შორისაც არის სულიერი სიახლოვე, რასაც ორივე ერის მუდმივად დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვაც ადასტურებს.

ვდგავარ ახლა სიუტადელას, იგივე ციტადელის პარკში და კმაყოფილებით გავცქერი ღირსშესანიშნაობებს. ეს პარკი გაშენდა იმ ადგილზე, სადაც აშენებული იყო სამხედრო ციტადელი თავისუფლებისმოყვარე კატალონიელების დასაშინებლად, თუმცა მოგვიანებით, ციტადელის ადგილზე გააშენეს ულამაზესი პარკი თავისი პატარა ტბებით, ზოოპარკით და უამრავი სხვა გასართობებით თუ დასასვენებელი ადგილებით. სადაც ახლა ჩვენ ვიმყოფებით უამრავი ჭრელ-ჭრელი ხალხია თავმოყრილი, რადგან ესპანეთი წარმოადგენს სამხრეთ ევროპული და მავრიტანიული ეთნოსის ნაზავს და სჭარბობენ, შედარებით შავგვრემანი და მუქკანიანი ადამიანები.

თავს არ შეგაწყენთ ბარსელონას აღწერით, რადგან იმდენი დაწერილა ამ ლამაზ, სიცოცხლით სავსე ქალაქზე და მიწისქვეშა მრავალიარუსიანი ესკალატორებით დასერილ მეტროპოლიტენზე, სადაც უპილოტო ვაგონები დაჰქრიან, რომ ნებისმიერ დაინტერესებულ

პიროვნებას შეუძლია სრული ინფორმაცია მოიძიოს. მაგრამ არ შეიძლება არ აღვნიშნო არქიტექტორ ანტონიო გაუდის მიერ შექმნილი ,,კატალონიური მოდერნის“ სტილის ქმნილებები, რომელთა უმრავლესობაც იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა სიაშია შეტანილი. მის ქმნილებათაგან გამოირჩევა, მართლაც უდიადესი ტაძარი ,,საგრადა ფამილია“ (,,წმინდა ოჯახის ტაძარი“), არქიტექტორის შემოქმედებითი მწვერვალი. ანტონიო გაუდის ხელმძღვანელობით მისი მშენებლობა 40 წელზე მეტხანს მიმდინარეობდა მის გარდაცვალებამდე, 1926 წლამდე, თუმცა მან მაინც ვერ შეძლო მისი დამთავრება, რომლის მშენებლობა დღესაც მიმდინარეობს, რაც აიხსნება, ალბათ იმ ლეგენდით, რომლის თანახმადაც, როცა ეკლესიის მშენებლობა დასრულდება სამყაროს აღსასრულიც დადგებაო. ასევე გაუდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქმნილებაა ბატლიოს სახლი (ჩასაBატლლო) მისი არასწორხაზოვანი იერით. ადგილობრივები მას ,,ძვლების სახლსაც“ უწოდებენ მითოლოგიური ცხოველის ჩონჩხთან მსგავსების გამო, რადგან აქ არის გამოსახული სცენა, წმინდა გიორგის შებრძოლება გველეშაპთან. მისი ნამუშევრებიდან ასევე უნდა გამოვყოთ მილას სახლი, გუელის სასახლე, ვისენსის სახლი, კალვეტის სახლი, გუელის პარკი, რომელიც ჩაფიქრებული იყო, როგორც ,,ქალაქი-ბაღის“ სტილის ვრცელი პარკი და სხვა. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მან უამრავი ასეთი ქმნილება დაუტოვა კატალონიას და მსოფლიოს, ის უბრალო ადამიანის ცხოვრებით ცხოვრობდა და როცა 1926 წელს მას ტრამვაი დაეჯახა, არც ერთმა ტაქსის მძღოლმა არ ჩაისვა მანქანაში და საავადმყოფოში არ წაიყვანა მისი უბრალო ჩაცმულობის გამო. როდესაც, მეორე დღეს, მისმა მეგობრებმა გლახაკთა საავადმყოფოში აღმოაჩინეს, უკეთეს საავადმყოფოში არ გაჰყვათ: ,,ჩემი ადგილი აქ არის, ღარიბთა გვერდითო“. ოთხი დღის შემდეგ, როცა ის გარდაიცვალა, ბარსელონას ტაქსები გადაღებეს შავ (გლოვის) და ყვითელ (სირცხვილის) ფერებად და დღესაც ამ ფერებით მოძრაობენ.

გაუდის ნამუშევრების გარდა, ქალაქში არის მრავალი ღირსშესანიშნაობანი, რომელთა შორის აღსანიშნავია გოთიკური კვარტალი, სადაც 2000 წლის წინათ მდებარეობდა დასახლება ბარსინო; კატალონიის მოედანი თავისი ქანდაკებებით. ესპანეთის მოედანი თავის კოლიზეუმით, სადაც უწინ კორიდა – ხარებთან ბრძოლა იმართებოდა, რომელიც აკრძალულია ახლა კატალონიაში; ქრისტეფორე კოლუმბის ძეგლი, ჩამონტაჟებული ლიფტით, რომლის მეშვეობითაც ადიხარ 50 მეტრზე, საიდანაც საუცხოო პეიზაჟი იშლება; მონჟუიკის მთა თავისი პარკებით და ოლიმპიური კომპლექსით; ჯადოსნური შადრევნები, რომელთა ავზშიც სამ მილიონ ლიტრზე მეტი წყალია მოთავსებული. შადრევნებს, მუსიკის თანხლებით, წყლისა და შუქის ათასობით კომბინაციის შექმნა შეუძლია და კიდევ უამრავი სხვა ღრსშესანიშნაობანი.

ბოლოს, ორთვიანი ჩვენი ერთად ყოფნის შემდეგ, დადგა ჩვენთვის ყველაზე მტკივნეული, გამომშვიდობების დღე, როცა კიდევ ერთხელ განვიცადეთ ის სულიერი ტკივილი, რაც ამ რამოდენიმე წლის წინ გადავიტანეთ. ემიგრანტობა შორიდან სულ სხვანაირი გეჩვენება და როცა ყველაფერ ამას ახლოდან ხედავ, ხვდები, რამდენად რთულია ემიგრაციაში ცხოვრება.

ევროპა, ერთის მხრივ, როგორც ჰუმანურია თავისი ადამიანური უფლებების დაცვით, თუ რიგ სხვა საკითხებში, მეორეს მხრივ, საკმაოდ მკაცრია პიროვნებისადმი მომთხოვნელობით. ყოველი ნაბიჯი და ყოველი წუთი ისე უნდა გქონდეს განაწილებული, რომ არ ჩამორჩე იმ მატარებელს, რომელიც წრეზე დარბის, რადგან თუ მას ჩამორჩი, აუცილებლად ჩაიძირები იმ ჭაობში, რომლის თავზეც ეს მატარებელი მოძრაობს და თუ მატარებელში მოხვდი, უნდა გააგრძელო ჩაკეტილ წრეში სრბოლა, საიდანაც უკან დასაბრუნებელი გზა აღარ არსებობს. ამიტომ, ევროპა შორიდან მიმზიდველია ლამაზი ქალივით, ახლოდან კი დამთრგუნველია სილამაზისაგან იმედგაცრუებული ადამიანივით.

თვალზე ცრემლმომდგარი ვემშვიდობებით საყვარელ ადამიანებს და უნებურად შოთა რუსთაველის სიტყვები მახსენდება

„ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას
გვაბრუნვებ, რა ზნე გჭირსა,
ყოვლი შენი მონდობილი, ნიადაგმცა
ჩემებრ ტირსა,
სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი
სადით ძირსა?!
მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცსა,
შენგან განაწირსა“.

ბარსელონა, ესპანეთი

11. 01. 2023

აქბარ გოშალი

საქმე ისევ წუდად მიმდის,
მე ჩემ თავზე არწ კი ვფიქრობ.
ათას მილზე დედაჩემი
ეჰ, ისევ წუდ სიზმრებს ხედავს...
საქმე ისევ წუდად მიდის,
მე ჩემ თავზე არწ კი ვფიქრობ.
დაკოჟრილი ხელი მამას
მიუდია შუბლზე ალბათ,
და ყველა გრძნობს,
ო, ამგვარი პოზის საფრთხეს.

ა. გოშალი

დაიბადა 1973 წელს. დაამთავრა აზერბაიჯანის სახელმწიფო უნივერსიტეტი და სახელმწიფოს მართვის აკადემია.

მსოფლიოს თურქ ახალგაზრდათა გაერთიანების თავმჯდომარეა. გამოცემული აქვს ერთი პოეტური და ერთი პროზაული კრებული.

* * *

ქვას ჩავფლავთ მიწაში,
წარწერა ექნება ქვას...
წარწერაში გულს,
გულში დარდს ჩავდებთ –
და ის მიწაში
დარჩება ეგრე...
და ერთ დღეს დარდი
ქვაზე ამოვა,
და გამოჩნდება ქვაზე წარწერა,
წარწერაზე მფეთქავი გული...
დარდი მოივლის დუნიას ასე:
ხმელზე,
ქვა-ღორღზე,
ძველ წარწერებზე,
მფეთქავ გულებში...
ვიტყვი, წავიდე,
ჩემი მიწის დარდი დავწერო,
სანამ გულნი არ გაქვავებულან...

* * *

შენი დალალი მოფერებას და
თეთრი ხელები ამბორსაც არ ემორჩილება.
ფეხებში წყალი რომ შეგასხურო,
შენი მკერდიდან
ოცნებაც კი არ ამოხეთქავს.

გულით რომ სწვდები,
იმ დარდს ხელით ვერ სწვდები, რა ვქნათ?
გიყურებ, ცრემლი მოგადგა თვალზე,
სიყვარულის დრო არ დაგდგომია...

შენ ხარ პეპელა
სიყვარულის ჟამისკენ მფრენი.
მალე იქეცი მოგონებად და
გაუთავებელ ნატვრად გულისა...

ყარაბაღი

რა შეიცვლებოდა ნეტავ
მთები ცად ატყორცნილი,
ველ-მინდვრები გაშლილი,
ხევნი ნიაღვრებისგან
აზვირთული რომ არ გქონოდა?
შვლები და ჯეირნები
ადამიანებივით
მზირალი რომ არ გყოლოდა?
მე შენ მიყვარხარ ასეთი,
შენ ჩემი ყარაბახი ხარ,
შენ ჩემი დიდი ბაღი ხარ,
შენ ჩემი დღე და ღამე ხარ,
შენ უფროსი ხარ შენ თავზე,
შენ ლექსზეც კი უფროსი ხარ.
(შენ ჩემი ხმა ხარ ლექსამდე)
ყარაბაღო! ყარაბაღო!
შენ ჩემი ბედისწერა ხარ!
მე თითისხელა ამ კალმით
შენზე რა ვთქვა, რა დავწერო?
მხოლოდ ეგ ვიცი, რომ

სანამ დაგიბრუნდები
ტანმორჩილი,
მხარჩამოტეხილი
ენამოკლე და
მზერაშეკვეცილი ვიქნები.
ეს კი ცხოვრება არაა
ხვალ ღმერთი არ მეტყვის
ადამიანო
შენ ასეთი არ გამიჩენიხარ...

საქმე ისევ ცუდად მიმდის

საქმე ისევ ცუდად მიმდის,
მე ჩემ თავზე არც კი ვფიქრობ.
ათას მილზე დედაჩემი
ეჰ, ისევ ცუდ სიზმრებს ხედავს...
საქმე ისევ ცუდად მიდის,
მე ჩემ თავზე არც კი ვფიქრობ.
დაკოჟრილი ხელი მამას
მიუდია შუბლზე ალბათ,
და ყველა გრძნობს,
ო, ამგვარი პოზის საფრთხეს.
საქმე ისევ ცუდად მიმდის,
მე ჩემ თავზე არც კი ვფიქრობ.
და ილვიძებს ჩემი უცებ
და იქვე ჩემ ფოტოს ლოცავს.

საქმე ისევ ცუდად მიმდის,
მე ჩემ თავზე არც კი ვფიქრობ.
ჩემი ძმა კვლავ ყველას უბღვერს,
ითარსება ყველაფერი.
საქმე ისევ ცუდად მიმდის,
მე ჩემ თავზე არც კი ვფიქრობ.
აქ ვზივარ და ვუმზერ აკვანს
და აკვანში ჩემსავ ქორფას.
დედამისიც მსაყვედურობს:
მძინარე ბავშვს ნუ დასცქერი!
...ღმერთო, ღმერთო, შემომხედე.

* * *

(ჩემს ძმას და მეგობარს)

...ერთხელ, ალბათ ერთხელ
არ მოხდება მოსახდენი,
მოხდება ის, რაც არ უნდა მოხდეს.

... არ გვისროლია ტყვია ვინმესთვის,
და არ უსვრიათ ჩვენთვისაც ტყვია

აქბარ გოშალი

ალბათ არა ღირს სიცოცხლე ჩირად
სადაც გზა არ აქვს
მთლად ჭაბუკ სიკვდილს.
ვიცი, ისედაც
არ მოხდება მოსახდენი,
მოხდება ის, რაც არ უნდა მოხდეს.
არც ჩვენ გვესროლეს რომ მოვეკალით,
არც ჩვენ გვისვრია ვინმესთვის ტყვია.

სიკვდილი ვუთხარ სიცოცხლეს ერთხელ,
და თავად ჩემ თავს ვუთხარი ესეც:
სიცოცხლე მიდის სიკვდილისაკენ...
თითო სიკვდილი თითო ჯარს მიჰყავს,
და ვის რა მიაქვს ამ დუნიიდან..?
დაე თქვან, იმას
წუთისოფლიდან ტყვია მიაქვს
მარადიულში.

სადღაც იტყუებიან

აქ რომ ცეცხლი ანთია,
ესიგი არიან.
აქ რომ ცეცხლი ანთია,
სადღაც ყინავს, ქარია.
აქ რომ ცეცხლი ანთია,
ეფიცხება ვიღაცა.
აქ რომ ცეცხლი ანთია,
ინავლება სადღაცა.
აქ რომ ნაკვერჩხალია,
ძველ ფიქრებში თბებიან...
აქ რომ ნაკვერჩხალია,
სადღაც იტყუებიან...

თარგმანი **ნელი მამედოვის**

მაია გვიჩია

სსიპ ფოთის №5 საჯარო სკოლის პედაგოგი

რაკ შეეხება წიგნს... აქ მთავარი ფიგურა ხვლიკი კოსტაა. ის, ერთი შეხედვით, უბრალო ხვლიკი როდია, მეტად უყვარს შოკოლადის ფილა, ჰყავს საუკეთესო მეგობრები. თვითონაკ უცხო, თავდაპირველად, მორცხვად შეაღებს ტყის ბინადართა სამყაროს კარს და მყარად დაიმკვიდრებს მათ შორის ადგილს. ძირითადად, მის გარშემო ტრიალებენ პერსონაჟები, ყველა ამბავი მას უკავშირდება.

მ. გვიჩია

სიკეთეზე თხრობა არ უნდა დასრულდეს, ვინაიდან „არსება მისი გრძელია“

მე მეორეკლასელი ბიჭის დედა ვარ. შეიძლება ითქვას, დაბადებიდან ვკითხულობთ, ოღონდ – ერთად. მართალია, ფილოლოგი ვარ, თუმცა, მაინც მეძნელა ასეთი პატარა ბავშვისთვის მესწავლებინა წიგნის სიყვარული. მუდმივად ვეძებ გზებსა და ხერხებს მიზნის მისაღწევად, ზოგჯერ გამომდის, ზოგჯერ... ამჯერად, კლასის დამრიგებელი, ფატი მასწავლებელი დაგვეხმარა, მიგვითითა, ახალი წიგნი წაგვეკითხა (თავადაც უკითხავს სხვადასხვა წიგნს კლასში, აქტიურად უვითარებს ამ უნარებს) და ასე გავეცანით აკაკი დაუშვილის საბავშვო წიგნს „ხვლიკი კოსტას ამბები“. რაკი ელექტრონულ ვერსიას ვეცნობოდით, უნდა ვაღიარო, კითხვა გაგვიჭირდა, რადგან მატერიალურ წიგნთან ურთიერთობა, ჩემი თაობისთვის, მეტი სიამოვნება და ფუფუნებაა. როგორც წესი, მონაცვლეობით ვკითხულობთ ხოლმე, მაგრამ ახლა უკვე ეკრანს მოვარიდე.

რაც შეეხება წიგნს... აქ მთავარი ფიგურა ხვლიკი კოსტაა. ის, ერთი შეხედვით, უბრალო ხვლიკი როდია, მეტად უყვარს შოკოლადის ფილა, ჰყავს საუკეთესო მეგობრები. თვითონაც უცხო, თავდაპირველად, მორცხვად შეაღებს ტყის ბინადართა სამყაროს კარს და მყარად დაიმკვიდრებს მათ შორის ადგილს. ძირითადად, მის გარშემო ტრიალებენ პერსონაჟები, ყველა ამბავი მას უკავშირდება. კოსტას ძალიან ეხმარება ციყვი თეკო, იგი ყველას მასპინძლობს ტკბილეულით, მკითხველსაც კი მოგინდება ასე გემრიელად დაჯდომა და ჩაის სმა... გამორჩეული პერსონაჟია კურდღელი თებრო, ისიც გულწრფელი და უანგარაა მეგობრობაში. აქვე გვხვდება სოფლის მკვიდრი გოგონა ნია, რომელთან ურთიერთობაც ყველას აბედნიერებს. გოგონამაც იცის, რომ მისი აქ არავის ეშინია, ხოლო ნათქვამს თუთიყუში ჟაკო უთარგმნის. კოსტა უკეთილშობილესი არსებაა, ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი სიკეთის კეთება, არასოდეს იხევს უკან, არ უშინდება არაფერს; მთვარია, ვინმე გაახაროს, ამას მოწმობს ორლარიანის პოვნის სცენა – შეეძლო საყვარელი შოკოლადის ფილა ეყიდა, თუმცა მაღაზიაში პატარა ჩაიდანი შეიძინა, რადგან ციყვს ნახევრად გატეხილი ჩაიდანი ჰქონდა, ამიტომაც უარი თქვა საკუთარ თავზე. ვფიქრობ, ბავშვისთვის ეს ეპიზოდი კარგი ზნეობრივი მაგალითი იქნება – გაცემას, სხვათა დაფასებასა და ეგოცენტრიზმზე უარის თქმას ასწავლის... საღამოს კი მეგობრები, თეკოს ფუღუროში, ახალნაყიდ ჩაიდანში დაყენებული ცაცხვის ჩაითა და ნამცხვრით იტკბარუნებდნენ პირს.

როგორც აღვნიშნე, პერსონაჟთა გალერეა მრავალფეროვანია: ზღარბი ბაბალე, ყვავი ყვანჩიტო, ტყის თაგუნა ცუცა, ბაყაყი ბაყიტო, მაჩვი მანუჩარი, რომელიც იშვიათი სიცელქით გამოირჩევა, რაღაც დოზით ცბიერიც კია, მაგრამ კეთილი მეგობრების გარემოცვაში, მათი მიბაძვითა და დიდსულოვნებით, გამოსწორდა. არ შეიძლება ამ დროს ვაჟას სტრიქონები არ გაგახსენდეს: „ბოროტების გზა დააგდო, კეთილი დაუჭერია“. ღირსსახსოვარი და მეფური დიდებულებით შემკული გახლავთ არწივი ყაფლანი, მის გარშემო მთელი ტყე ერთსულოვნად იბრძვის, რათა გასაჭირში მყოფს გვერდით დაუდგნენ და მართვეები გამოუკვებონ. აქაც ერთიანობა და მეგობრობა იკვეთება, არწივი კი, თავის მხრივ, მადლიერებას გამოხატავს მათ მიმართ. ღიმილის მომგვრელია კოსტას სურვილი ბარტყის გამოჩეკისა, მაინც გამოჩეკა გუგულის ბარტყი გუგაშა, აქაც ბევრნი ეხმარებოდნენ, კვერცხს არც კი აცივებდნენ. ასე უშველეს მგლის ლეკვს ტაგოს, გაყინული გაათბეს, ჩაიკრეს გულში, უმწეობა არ აგრძნობინეს. შეშინებულ კურდღელს რომ აწკავწკავებული მგლის ლეკვი ჰყავს მიხუტებული და აძინებს, აქ რუსთველისეული ფილოსოფიური სიბრძნე იკითხება, ჩემი აზრით: „შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთად სძოვდეს“, ამას ჩვენ, დიდები, ვხვდებით, პატარები კი თავიანთთვის

12 30.03-05.04.2023

სიკეთეზე თხრობა არ უნდა დასრულდეს, ვინაიდან „არსება მისი გრძელია“

მაია გვიჩია

ხლიკ ფოთის №5 საჯარო სკოლის პედაგოგი

მაია გვიჩია ვაჟიშვილ გაბრიელთან ერთად

გასაგებ ენაზე ითავისებენ, მეგობრობამ გადაარჩინაო, იტყვიან.

მეტი ხალისის შემომტანია, ვფიქრობ, მკითხველისთვის მაკაკა ოკაკუსა და ლემური ლონდას გამოჩენა. ისინი, თავიანთი სილაღით, სხვა ამინდს ქმნიან ტყეში, სადაც მათ მალე სიყვარულით მიიღებენ და ახლა ყველანი ერთად, ამ დიდ ოჯახში, ბედნიერად გრძნობენ თავს. საყურადღებოა მოთხრობის ერთი თავი სათაურით: „აბა ვინ უფრო კეთილია“. სინამდვილეში, სურვილი ყველას აქვს, სიკეთეში ერთმანეთს აჯობოს, თავად იყოს გამარჯვებული, მაგრამ ბუ ბუბო ხომ სიბრძნით დაჯილდოებული პერსონაჟია, ამიტომაც ყველა დაუჯერებს, როცა ამ შეჯიბრში გამარჯვებულად კოსტას დაასახელებს. „სიკეთე მზესავითაა, ყველას ათბობს, ყველას ანათებს და როდესაც სხვას ეხმარები, შენც მზედ იქცევი“...ამ სტრიქონების კითხვისას როგორ შემოდის სულში სითბო, დიდი გამოცნობა არ სჭირდება, დამეთანხმებით.

მიუხედავად იმისა, რომ მოთხრობა 25 თავს მოიცავს, ერთი ამოსუნთქვით იკითხება. ამდენ მოქმედ პირს თავიდან ვერ ვიმახსოვრებდით, ამიტომ ვიწერდით – ყვავი ყვანჩიტო, მელაკუდა ლიზი-ლუიზა, მაკაკა ოკაკუ, ლემური ლონდა... გრჩება განცდა, თითქოს ავტორი აქაც გეხმარება, სახელების დამახსოვრებას გიადვილებს, რადგან ერთნაირ თანხმოვნებს უყრის თავს, ალიტერაციის მიმსგავსებით. არ შეიძლება, ცალკე არ გამოვყოთ ნაწარმოების უხვი ქართული, რაც უდავოდ ამდიდრებს ბავშვის ლექსიკურ მარაგს, საინტერესო ფრაზეოლოგიზმები, კონტექსტის მიხედვით, მარტივად გასაგები და აღსაქმელი. კითხვის პარალელურად, ვინიშნავდით ახალ სიტყვებსა და იდიომებს, რათა ამით შეგვევსო ჩვენი სიტყვების სალარო.

იგავური სამყარო, რომელიც ნაწარმოების ფონია, ბავშვს გულწრფელ ინტერესს უღვიძებს, არანაირ დისკომფორტს არ იწვევს, მეტადრე მაშინ, როცა არ უჭირს მისი აღქმა-გათავისება და სწორად ესმის ალეგორიის არსი. ვფიქრობ, თუკი ოდესმე მოისურვებთ, შვილთან ერთად, ბავშვობაში მოგზაურობას, „ხვლიკი კოსტას ამბები“ ამისთვის შესანიშნავი წიგნია. მიმაჩნია, რომ ამ ასაკში ბავშვებს განსაკუთრებით სჭირდებათ მეტი სიკეთის მოძალება, რათა სწორი მიმართულება მივცეთ მათი სულიერად ჩამოყალიბების ურთულეს პროცესებს. წიგნი სიყვარულზეა, მეგობრობაზე, ერთმანეთის გატანაზე, გასწავლის ფაუნის სიყვარულს, უფრო ჰუმანური და კეთილშობილი ხდები, როცა ამ ჰარმონიას კითხულობ, მისაბაძია კოსტას თავმდაბლობა, სიმორცხვე და მოკრძალებულობა. გაჯეტებისა და ტექნოთაობას „სულის პურივით“ სჭირდება მსგავსი წიგნები, რათა წუთისოფელი შემდეგში ნაკლებად ბინდისფერი იყოს...

მადლობას ვუხდი ავტორს, ბატონ აკაკი დაუშვილს განეული შრომისათვის, ხოლო ჩვენს დამრიგებელს – წიგნის პოპულარიზაციისთვის. მოთხრობის დასასრულს ერთი პერსონაჟიც გამოჩნდა, ანაბელლია გოგო ხვლიკი, რამაც სიმბოლური კითხვა დაუტოვა ბავშვებს: გაგრძელება იქნება? ავტორმა მიგვანიშნა, რომ კოსტას, ვინ იცის, ახალ მეგობართან ერთად, რამდენი სიკეთე უნდა ეკეთებინაო... მე კი მხოლოდ იმას დავამატებდი, რომ წმინდა იოანე დამასკელის განმარტებით, ბოროტება სხვა არაფერია, თუ არა სიკეთის ნაკლებობა, ამიტომაც ვიდრე დედამიწა არსებობს, სიკეთეზე თხრობა არ უნდა დასრულდეს, ვინაიდან „არსება მისი გრძელია“.

გაზეთი „ახალი განათლება“, №12, 2023 წელი

აკაკი დაუშვილის წიგნს „ხვლიკი კოსტას ამბები“ 2022 წელს მიენიჭა საქართველოს კულტურის სამინისტროს მიერ დაარსებული იაკობ გოგებაშვილის სახელობის საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურული პრემია (5000 ლარი) და საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციისა და თბილისის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების მიერ დაარსებული საბავშვო ლიტერატურული პრემია „ნაკადული“ (2500 ლარი).

„ოლეს“ რედაქციის მინაწერი

გიორგი გაგუა

„საზოგადოება" ალუდას ვერ პატიობს იმ ფაქტს, რომ მან სხვა რელიგიის წარმომადგენელში ადამიანი დაინახა, ვერ პატიობს, რომ „ურჯულოს" პატივი მიაგო, რომ ალუდაში „დიდი დაეჭვება" დაინყო... თავდაპირველად ალუდას სინანულის, სიბრალულისა და მწუხარების გრძნობა შემოაწვა, შემდეგ კი ეს ყველაფერი გაუსაძლის ტკივილში გადაიზარდა.

გ. გაგუა

ალუდას რჩეულობის შესახებ

ვაჟა-ფშაველას სამყარო ამოუცნობ და ამოუხსნელ ამოცანას მაგონებს, რაც უნდა ბევრჯერ მოუბრუნდე, თუ მისი ხერხები ვერ გისწავლია, ვერ ამოხსნი. უკვე რამდენიმე წელია, ჩემებურად ვეკირკიტები მას... პირველად V კლასში ვიქნებოდი მე და ბაბუამ საგანგებოდ რომ წავიკითხეთ (ერთად) ვაჟას „სტუმარ მასპინძელი", მხოლოდ შინაარსი გავიგე, სხვა ბევრი რამ მაინც გაურკვეველი დამრჩა... მე-11 კლასში პროგრამით გავდიოდით ვაჟას პოემებს. მახსოვს, ონლაინები იყო, თან მეზარებოდა, თან მაინტერესებდა. ვაჟა თავისკენ მეწეოდა, ის სამყარო მხიბლავდა და მიხმობდა... ნელ-ნელა შევუყევი, ისე, რომ ვერ მოვწყდი. ჩემთვის ალუდას თოფის ხმაც კი მჭექარე და ცის გრგვინვასავით საამაყო იყო. ტანში მაჟრიალებდა, რომ წარმოვიდგენდი რა ძალა ჰქონდა, ავტორი რომ ამბობს:

„ბევრს ქისტს მააჭრა მარჯვენა,
უდროდ საფლავში ჩალალა".

ჯერ იყო და ეს მომწონდა, მერე ის, რომ გაქცეულ ქისტებს მარტომ შეუტია, მდევარიც თვითონ იყო და შურისმაძიებელიც. არ შეიძლება, აქ ავტორის სიმპათია არ ამოიკითხო, მასაც ეამაყება ჩემსავით. მერე კი სამ-სამი გასროლით დამარცხებულმა ქისტმა თავზარი დამცა, რჯულს უგინებდა, ქრისტეს აუგად უხსენებდა, იარაღი კი მაინც აქეთ, ქართველისკენ მოისროლა, „ეხლა შენ იყოს, რჯულ-ძაღლო, ხელს არ ჩავარდეს სხვისასა". ნეტავ „სხვაში" რას გულისხმობდა, არ მასვენებდა კითხვა... სკოლაში ახსნა რთულად, ნაბიჯ-ნაბიჯ, კამათისა და დავის ფონზე მიმდინარეობდა. ჩვენ სულ ვკამათობდით, სულ ვამტკიცებდით საპირისპიროს, არადა პოემა, ვატყობდი, წვეთვეთობით მითრევდა... მეც ალუდასთან ერთად შემოვდიოდი, ამომავალი მზის შუქად, ხევსურეთში.

მერე იყო დიდი ხნის დარდები, ტკივილ-სიზმრიანი ღამეები... კითხვა, რატომ მისცა იარაღი, არ მასვენებდა. აქეთ სოფელი გაუწყრა და მერე იყო – ერთი რომ განუდგა ყველას. რა უცნაურია ლიტერატურა, აქ ჯემალ ქარჩხაძის „იგი" გამახსენდა, გამახსენდა და ახლა ეს კითხვა ვერ მოვიშორე, ვინ იყო ალუდა, ის, ვინც იგი – ტომისთვის? და ფიქრი ნელ-ნელა წავიდა თავისი გზით...

და როცა მიხვდნენ, რომ მასში იგიმ გამოიღვიძა თემიდან მოკვეთეს. „გამოქვაბულის" საზოგადოება ვერ შეეგუა იმ ფაქტს, რომ ალუდამ ღვთის ძიება დაიწყო, რომ ალუდას თვალები აეხილა, რომ „იგი" მათგან განსხვავებული აღმოჩნდა და გადაწყვიტა, ღვთის გზით ევლო და არა ფარისევლურით, რასაც „ისინი" აკეთებდნენ... „ვაი ეგეთას სამართალს, მონათლულს ცოდვა-ბრალითა!" თემი, რომელიც აცდა ქრისტიანობის გზას, და მაინც ჰგონია, რომ ღვთის სახელით იბრძვის, ძალიან საშიშია. მოცემულ „საზოგადოებაში", უფრო სწორად კი ბრბოში, შეგვხვდება დაბრმავებული ადამიანები, რომელთაც არც სიძლიერე აკლიათ და არც თავგანწირვის უნარი. ასეთი ადამიანების ერთობა კი ყველას და ყველაფერს გადაუვლის, რაც კი წინ გადაეღობება და აზრი არ აქვს, ეს მათი თემის წევრი იქნება, თუ ნებისმიერი სხვა. საქმე ისაა, რომ რამდენიც უნდა ეცადონ, „ამ მოსასხამში არ არის არც ხორცი და არც სისხლი, რომ

გიორგი გაგუა

მოკლა. არსებობს მხოლოდ იდეა, ხოლო იდეები კი ტყვიაგაუმტარია“, შესაბამისად რამდენი „იგიც“ უნდა მოკლას მოსიარულე გვამების საზოგადოებამ, მათი თავგანწირვა უკვალოდ არ ჩაივლის, „იგისგან სწორედ ის დარჩა, რაც იგიში იგი იყო“ (ჯემალ ქარჩხაძე, „იგი“).

„საზოგადოება“ ალუდას ვერ პატიობს იმ ფაქტს, რომ მან სხვა რელიგიის წარმომადგენელში ადამიანი დაინახა, ვერ პატიობს, რომ „ურჯულოს“ პატივი მიაგო, რომ ალუდაში „დიდი დაეჭვება“ დაიწყო... თავდაპირველად ალუდას სინანულის, სიბრალულისა და მწუხარების გრძნობა შემოაწვა, შემდეგ კი ეს ყველაფერი გაუსაძლის ტკივილში გადაიზარდა.

სასიხარულო ფაქტი შენი თავისა და ღვთის აღმოჩენაა, მტკივნეული კი იმის გაანალიზებაა, თუ რამდენად ბრმა იყავი აქამდე. ალუდა გახლდათ მზის შუქი ბნელი ოთახის სარკმელში, მას სწორედ ისეთი ბედი ხვდა წილად, როგორიც მაცხოვარს, ისიც სასიკვდილოდ გაწირეს, მიუხედავად იმისა, რომ ის იყო ერთადერთი ნათელი წერტილი გარშემომყოფთათვის, საზოგადოებაში „მე ვარ ნათელი სოფლისაი...“ (იოანე 8:12).

ალუდას ეკისრა როლი თემის გამოსაფხიზლებლად. თუ თქვენ მეტყვით, რომ ისიც ერთი ჩვეულებრივი ადამიანი იყო და შემდეგ აეხილა თვალი, ვერ დაგეთანხმებით, ის გამორჩეულად იყო დაბადებული, ის თავიდანვე განსხვავებული გახლდათ და მისი გულის სიღრმეში ყოველთვის იყო რაღაც, რაც გამოარჩევდა სხვებისგან. სხვაგვარად შეუძლებელია.

ამ ყველაფრისთვის მას სიკვდილის ტოლფასი განაჩენი – მოკვეთა ხვდა წილად, ან უბრალოდ, დროში გაწელილი სიკვდილი, რაც ადრე თუ გვიან მოვიდოდა უთუოდ... ასეთი ადამიანების დასასრული, სამწუხაროდ, ხშირად სწორედ ეს არის, – სიცოცხლეს გამოასალმებენ ხოლმე მალევე, მაგრამ მოკვდება კაცი, გადარჩება იდეა, „ნათელი ბნელში ნათობს და ბნელმა იგი ვერ მოიცვა“ (იოანე 1:5).

მოცემულ ვითარებას და ალუდას სახეს ამშვენებს ვაჟას კუთხური დიალექტი. მსგავსად გადმოცემული ნააზრევი, მკითხველს მეტ ემოციას მატებს, უტოვებს შეგრძნებას, რომ თითქოს ნაწილია ამ ყველაფრის და მოგზაურია მისი ნაწარმოებისა. ასევე აღსანიშნავია მეტაფორებიც, რაც მკითხველს აიძულებს, რომ მეტად იაზროვნოს, „შატილს ჯერ არ ჩასწდომია შუქი შუადღის მზისაო, არ ჩაუშვებენ ჩამსვლელსა, ცა ახურია კლდისაო“. სადაც იგულისხმება, რომ მზე და სინათლე შატილში ალუდამ უნდა შეიტანოს, ასევე ვაჟა ალუდას ქადაგების შემდეგ ამბობს, რომ გარშემო მყოფი ადამიანები ტყემლებად გადაიქცნენ, რაშიც მან ხალხის დაბნევა იგულისხმა... ამ და სხვა უამრავი ფენომენალური მხატვრული ხერხით, ნაწარმოები უფრო მეტად საინტერესო და მრავალფეროვანია. ის ყოველთვის ტოვებს კითხვებს, მისი წაკითხვა უთუოდ გაიძულებს ფიქრს იმაზე, კიდევ ვინ იქნება ახალი ალუდა.

წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე ფოთის №3 საჯარო სკოლაში

1 თებერვალს, წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღის აღსანიშნავად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ქალაქ ფოთის №3 საჯარო სკოლაში მე-2 და მე-3 კლასის მოსწავლეებმა მრავალფეროვანი და საინტერესო ღონისძიება გამართეს.

ფოთის მერმა ბატონმა ბექა ვაჭარაძემ, მოსწავლეებს, აკაკი დაუშვილის საბავშვო წიგნი ,,ხვლიკი კოსტას ამბები" წაუკითხა და წიგნის მნიშვნელობაზე ესაუბრა. ღონისძიების პარალელურად მხატვარი გიული ღვანია ქმნიდა წაკითხული ზღაპრის ილუსტრაციებს, რომელიც შეხვედრის დასასრულს წარუდგინა დამსწრეებს. მოსწავლეებმა ეპიზოდები თანამიმდევრობით ამოიცნეს და ნახატები ამის მიხედვით ააწყვეს.

ღონისძიების ორგანიზატორები არიან პედაგოგები: ფატი დოლბაი და ეკა ბუკია.

ფესტივალის დამფუძნებლები არიან: სამშვიდობო ორგანიზაცია „სადაკო", მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის" ლიტერატურული ჟურნალი „ოლე", წმინდა ილია მართლის (ჭავჭავაძის) სახელობის ლიტერატურული ჟურნალი „საქართველოს მოამბე".

ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე
ლია დაუშვილი

ჟიური:
ზაალ გოტკოველი (თავმჯდომარე)
ვანო ჩხიკვაძე
მაია მიქაია
აკაკი დაუშვილი

ედუარდ უგულავა

ლაზარე, გამოვედ გარე!

გლოვობენ მართა და მარიამ,
შეძრულ სულს წამლობენ ლოცვით.
ლაზარე ოთხი დღის მკვდარია,
ხრწნას იწყებს სისხლი და ხორცი.
შემუსრავს სიჩუმე სამარის
სიცოცხლეს, საჩუქრად მოძღვნილს.
ღმერთმანი, საშველი არ არის,
რას შეცვლის სტუმრობა მოძღვრის?!
მარიამს რა დარჩა ნუგეშად,
დამხობილს იესოს ფერხთით?!
მკლავები გაშალა უეცრად,
ბავშვივით ატირდა ღმერთი...
წინასწარ იტკივებს იარებს
და ნათლად ჩაესმის ეგებ,
ბრბო როგორ ღელავს და ღრიალებს:
„ჯვარს აცუ, ჯვარს აცუ, ეგე!"
– ოჰ, თურმე რა ძლიერ უყვარდა, –
ჩურჩულებს იქ მყოფთა რიგი
და მტირალ მარიამს უფალმა
ჰრქვა: „სადა დასდევით იგი?"
ანიშნებს, ბრმის თვალის ამხელი,
გასწიონ ქვაბიდან ლოდი.
გროვდება სეირის მნახველი,
საფლავთან ზღვა ხალხი მოდის.
ბნელში წევს სიკვდილი ვერანი
არცა რა აშინებს პირშავს.
ჰაერში ირევა მკბენარი,
მზე ხურს და ადუღებს ქვიშას.
და თითქოს სურნელმა საკმევლის
გაალღო ჰაერი მდარე,
მოძღვრის ხმა გაისმის გარკვევით:
„ლაზარე, გამოვედ გარე!"
და სახემ შეიგრძნო ნიავი...
და ყურმა შეიცნო ბგერა...
მკვდრის სისხლმა დაიწყო შრიალი,
მკვდრის გულმა დაიწყო ძგერა.
ნანახმა გონება დაბინდა,
სხვა შიში ეწვია მნახველს...
ლაზარე გამოდის ქვაბიდან,
გამოდის და თვალებს ახელს.
იწვება ეჭვების ფითილი,
გრილდება უდაბნოს თექა.
მას ძალუძს სიკვდილთან ჭიდილი,
ვინც თავად სიცოცხლე შექმნა!
ხარობენ იმედის კვირტები
და ქვეყნის ოთხივე მხარე,
ყოველდღე იღვიძებს სიტყვებით: –
„ლაზარე, გამოვედ გარე!"

გიორგი ბუნდოვანი

მე ვარ ჯალათი, მათრახით ხელში!

ეს მე გაგეცი!
ეს მე გაგყიდე!
მე ვარ იუდაც!
მე ვარ პილატეც!
იმ რომაელთა სისხლიც ჩემშია!
იმ მღვდელმთავართა ჯიშიც ჩემშია!
სულს ვერაფერი ვეღარ მინათებს!
ფარისეველთა ფლიდი ხითხითიც!
ვინც იოანეს თავი მოჰკვეთა!
ვინც განგიკითხა და შეურაწგყო!
ყველა იმათი ცოდვაც ჩემშია!
ყველა სამსჭვალი მე გივნე ხორცში!
მახვილით ფერდიც მე განგიგმირე!

მე ვდევნე ყველა შენი მოწაფე!
მე ჩამოგაცვი ეკალიც თავზე!
ჩემზეა ყველა სიმძიმე მათი!
ვარ ჯოჯოხეთით პირთამდე სავსე!
მე ვარ ჯალათი, მათრახით ხელში!
მე ვარ მფლეთავი შენი ხორცისა!
და ვერ შემსმენი შენი სიტყვისა!!..
– მე ვერ გიცანი, ვერ შეგიცანი!
ვერ აღვასრულე ვერცერთი მცნება!
ვერ გიერთგულე, ვერ გემსახურე!
წყალს გავატანე ღვთიური ნება!
ბევრჯერ დაგცინე!
ბევრჯერ დაგნერწყვე!
და რაოდენჯერ გაგარტყი ხელი!
არც შევინანე!
არც გავიაზრე!
რომ შენ, უფალი იყავი, ელი!..
ო, რა მძიმეა ახლა წუხილი,
რა უაზროა უშენოდ შთენა!
რომ ორიათას წელზე მეტია,
რაც განუწყვეტლივ გეძებ და ვღელავ!
მაგრამ მე ვიცი ერთი სიმართლე!
ერთი სიმშვიდე!
ერთი სიწრფელე!
შენ ჩემთვის ლოცვა ღმერთს შეავედრე,
და დაითმინე ჩემგან ყოველი...
ყველა სინაგვე, ყველა სიგველე!
ყველა ჯალათი შენ მოსპე ჩემში!
მოსპე პილატეც, მოსპე იუდაც!
– შენ, მაცხოვარო, მოთმენით მზიდავ,
მაინც გიყვარვარ, შენი ჯვარმცმელი...
მე კი ცრემლთ ნაცვლად დღეს მომდის სისხლი,
სისხლი უწონად შვების აღმთქმელი!
დღეს ის მახვილიც ჩემშია უკვე,
დღეს ის სამსჭვალნიც ხელ-ფეხს მიკვეთავს...
და მოტევების, და შეწყალების
ულევ ვედრებით ვემხობი მიწად!..
შენს ნატერფალებს ვეძებ ტალახში,
ო, იეშუა, მხოლოდ დღეს გიცან!..

მაკა გელაშვილი

ფსალმუნი

უფალო, ჩემს სულს
შეგავედრებ,
მდევნის საული.
გთხოვ, შემიწყალე,
ამარიდე
დანაშაული.

შენ მართალი ხარ,
გული გატკინე,
ეს ცოდვა მთანგავს.
უტყუარი ხარ,
ჩემი სიმართლე
სიმართლეს
არ ჰგავს.

ნუკი დამთრგუნავ,
ნუკი დამსჯი,
დამიცხრე ჟინი,
რომ ცოდვებისგან
მობრუნებულს
მასმინო ლხინი.

სახე არიდე
ჩემს შეცდომებს,
წაშალე ბრალი,
მხოლოდ შენ
გვედრებ,
მხოლოდ შენი
მექნება ვალი.

ნუ უკუმაგდებ,
დამიბრუნე
ხალისი ლოცვის,
ნუ გამიმეტებ,
ჟამიერ მყავ
შვების და მოცლის.

საბრალო სული ჩემი
ცოდვებს თავს რომ
არიდებს,
მიხსენ სისხლთაგან,
ღმერთო ჩემო,
ენა გადიდებს.

თუკი აღხოცავ
ამ ჩემს სულის
ყოველგვარ ვნებას,
ბაგენი ჩემნი
აღგივლენენ
დიდებას, ქებას!

ლელა გაბური

ციკლიდან: ,,ლექსად ნათქვამი ლოცვები“...

* * *

დამშრალ კალაპოტს დაემსგავსა
ადამის სული,
აღარ მიელტვის იორდანეს –
ცოდვების დაფვლით,
ვეღარ მიმოჰქრის მთათა ზედა
„ვითარცა სურინ“,
ვეღარ აპურებს უდაბნოებს
მკალით და თაფლით.
ჩამომიჯექი სასთუმალთან,
არ მომატყუო,

აღთქმული ზეცა მოაგებე
გამოწვდილ მაჯებს,
ერთი პატარა ლოცვა ვიცი,
იმას მოგიძღვნი,
სხვა ყველაფერი
უკვე გავხარჯე.

ბევრჯერ ვიგლოვე,
დავიყარე თავზე ნაცარი,
ჩამომეძინა ლამპრით ხელში
გელოდი ვიდრე,
გულწრფელი ლოცვაც ბევრჯერ ვცადე,
როგორც მასწავლე,
მაგრამ ერთი მთაც ვერ დავძარი,
ისევ იქ იდგნენ...

ბევრჯერ სანთელი ჩავაქრე და
ქატო გავცერი,
ბევრჯერ, ფართო გზა ვამჯობინე
გზას – ძნელს და იწროს,
მოღალატე ვარ, ჩემო ღმერთო,
მაგრამ იმ ცრემლით,
უდაბნოზე რომ დაეცემა
შენ უნდა მიცნო!

ელდარ ჭიჭიაშვილი

ქვაჯვარი

ჯვარი იყავ და ქვად მექეც,
თუ ქვა მექეცი ჯვარადა?
ქვათუმძიმესი ცოდვანი
ქედზე რად მომექამანდა?
მოგყვები, გზად ფეხთმეგები,
მხვევია ჯავრის ჯარანი,
ცრემლმდუღარებით ამევსო
მირონ-ზედაშის მარანი!
თითქოს ამ გულის სართხმელად
ძელთა ჯვარს არა ვჯერობდი,
მწვავდი და მაინც ნაშანთი
ისევ შენ შემოგმღეროდი!
მიმრავლე, გულის სიწმინდით,
მადლისა წდეთ ვინ მიწოდა,
უფალო, წრე და გვირგვინი
მიკურთხე საწელიწდოთა
მწედ მექმენ, შეუწევარსა,
წუნთა შედებად წიდისად,
ლირწთა და უწმინდურთათვის,
წმინდისა წინა ვინ დისა!
მაწვია სევდა საწუთრომ,
წელმა წარსულმა მრავალმა,
წამიღო წიაღ წუხილთა,
მთრგუნა და გამეთამამა,
მაინც ვერ ვთმე და ვეურჩე,
მიდევნა ბილიკ-შარამა,
ყელზე თოკმობმულ ხბოსავით,
წაღმა-უკუღმა მავალმა!
ვაი, რა ძნელი ყოფილა
სავალი უილაჯოთა,
ეკლის თაჯსარქმელიანთა
ლეწვა სისხლ-ოფლის კალოთა!
ეს წყალნიც, მიმომავალნი,
გულს მიფონებენ, მგონია!..
მათი ნაშალი ქვიშანი
ყელამდე შემომტბორვიან!!
გულს მახვევია ტკივილი,
ვით დედაფუტკარს ნაყარი,
ჯვარს მიტომ ვეცვი უფალო,
რომ შენთვის მეცა თაყვანი!
გავძლებდი, მიწად, ნაროზგი
ჯვარცმით საკირის ხვატამდის,
მინდვრის სურნელით დასუსხულ
ყვავილს თუ თან ჩამატანდი!
დამბადე, სული შთამბერე,
მწიე სიწმინდის მზებუდობს,
ქვაჯვარს გამაკარ, ქენჯნილი,
რომ სვეტად შემოგეყუდო.

ირმა ალფაიძე

დედა უფლისაო

დედა უფლისაო, წმინდაო მარიამ!
შენთან სალოცავად მოვედი...
გულში ჩამიკარი, მჭირდება ძალიან,
დარდი დამავიწყე ყოველი!..

სიცოცხლე დავფლითე ეკლიან ბილიკზე...
იბრძოლო, არ არის ადვილი!..
შეგთხოვ ცრემლიანი, მადლიან კალთის ქვეშ
ჩუმად მიმიჩინო ადგილი...

რამდენი ვეწამე... რამდენი ვიტანჯე...
თვალი გადავავლე განვლილ გზას...
ამტკივდა ტკბილ-მწარედ განვლილი ცხოვრება...
დარდები ტაძრამდე მიმიყვანს...

მოვედი რწმენით და დაღლილი სხეულით...
ღვთის სახლში სინათლეს დავეძებ...
მინდა, სიმშვიდე და ნუგეში ვიპოვო...
ლოცვად მუხლმოყრილი გავედრებ...

დედა უფლისაო!
წმინდაო მარიამ!
შენთან სალოცავად მოვედი...
გულში ჩამიკარი, დაღლილ-სევდიანი...
დარდი დამავიწყე ყოველი...

ფიქრია ყუშიტაშვილი

აღდგომა

1.
„უცნაურია ეს აპრილი – არ ჰგავს აპრილებს,
სასოებით რომ მოველოდი სიზმრად და ცხადად,
ტყემლის ყვავილი ბაღის კიდეს გამინაპირებს,
და ალუბლების დედოფლობას მიქცევს სახადად...
არ მეკითხება ეს აპრილი გამოდარებას
სულის ამინდებს დასტყობია სიმრავლე წელთა,
არ ვედარდები ცას და მიწას, ბედმა დარაბა
მაინც შეაღო შესაშურად უცხო სარკმელთა
და აირჩია ბრბომ ბარაბა...
რეკენ ზარები, სადღაც მღერენ ალელუიას,
ქრისტე აღსდგაო! – მახარებენ ანგელოსები,
ჭეშმარიტადო!, – ვუპასუხებ – წესი წესია!...
და ალუბლების სუდარებით შევიმოსები...
რომ სხვა ცხოვრების დასაწყისში კვლავ გახარო
აღდგომა უფლის!“

2.
შაშვმა ლხენით იგალობა
მერე ტოტი მიწყალობა –
ბზის ტოტია პაწაწინა,
ნიავს ასდევს სარკმლის წინა...
მზემ მახარა: „ქრისტე აღდგა!“
მერე ქარი ამოვარდა,
ალუბლები შეარხია,
უტურფესი სანახია
ყვავილების წვიმა ქარში
დილის ნამთა ნიაღვარში...
ხმას ვერ გაწვდენ იოლად რადგან,
ჩემთვის ვიტყვი: ქრისტე აღდგა!..
ისმის მღერა მამებისა, –
„სახელითა სამებისა:
მამა, ძე და სულიწმიდა...
მივხვდი მთავარს – ვისთან მინდა...
– ქრისტე აღდგა! – ჭეშმარიტად!

ელგუჯა ციგროშვილი

იუდას აღსარება იესოსთან!

ორ ათასწლეულს ითვლის სამყარო,
უპეს მიღარავს ცრემლი მდინარი...
სხვას აღსარება ვის ჩავაბარო,
ან შენზე დიდი ჩემთვის ვინ არი?!

არსად მიმიღეს თვითმკვლელის სულით,
ვერ შევძელ, სადმე ღამე მეთია;
ყველგან მხვდებიან კარით დახშულით, —
სამოთხეა თუ ჯოჯოხეთია!

ველარ ველირსე სულის სიმშვიდეს,
შენ ჯვარს გაცვეს და მაინც მშვიდი ხარ...
ოცდაათ ვერცხლად, — ეს მე მიყიდეს,
კი იცი, შენ არ გამიყიდიხარ!

ბედ-იღბლით მერგო, როდია ჭორი,
თუმც ვინც რა სცოდა, — ცოდვაც მისია...
მაგრამ, რომ არა ჩემი ამბორი, —
აღსრულდებოდა შენი მისია?!

ციური მესხიშვილი

საფარის ტყეთა სიჩუმე

(ბალადა)

ანგელოზსაც კი ანცვიფრებს
საფარის ტყეთა სიჩუმე,
ჭადარს, ქარმა რომ აკოცა,
მიველ და წავუჩურჩულე:
– შენ ხომ ათასი წლისა ხარ?!
ჰოდა, შენ გემახსოვრება,
ათაბაგების თავადთა
ტიპიკონებით ცხოვრება...
ამ ტყეში ირმებს დასდევდა,
მზესთან შემტკბარი ნათელა,
სამშობლოს ისტორიას რომ
შემორჩა თაფლის სანთელად!...
ის დადნა და სხვა განათდა,
ზეცაშიც სულ სხვა გაბრწყინდა,
საფარაშია დიდ მესხთა
მირონცხებული მთაწმინდა!...
სიზმარში მუდამ იქა ვარ,
უფლის მიწაა – ნაცნობი,
მზის კაბა ხომ იქ გამიცვდა
ფარსმანდუკებთან ანცობით...
ვინ იცის, ვისთან ცელქობდა,
ვისთან ანცობდა ნათელა,
როცა მერცხალმა სამცხეში –
ბუდე კვერცხისთვის გათელა...
ცხენთა ჭიხვინმა დააფრთხო,
ძლივს შეძლო თვალთა გახელა,
ოქროს გვირგვინზე ეწერა –
„მეფე დემეტრე“ სახელად!...
ტანკენარ ჭადარს ელდისგან
დაუსკდა მწვანე დუყები,
არისხეს სამცხის ზარები,
მდევარს მოუხმეს ბუკებით!...
მარიამობის თვე არის,
დაპურებულა ფამფარა,
უჰ, როგორ მომნატრებია,
ნათელავ, შენი საფარა!
ტაძრის სვეტთ კვლავაც ატყვია,
შენი თითების სითეთრე,

საფარა არის რომ დღემდე,
მაბერებს და თმას მითეთრებს.
ცხვარი, – თავისი მეცხვარით,
ქვაქარგულად ჰყავს ქვის კედლებს,
ბუდეს მომწყდარი მერცხალი,
უბეში შემოვიკედლე!...
ციხე-კოშკებთან ტრიალი,
გალაღებდა და გიყვარდა
მზე, ზანზალაკთა წკრიალი
საღვთოდ შეწირულ თიკანთა!
ძველი წერილი ვიპოვე
ფიქლით გატიხრულ ტიხართან
და მივხვდი რომ შენც, ჩემსავით
მზის უფლისწული გიყვარდა!...
ყაყაჩოს კაბაც ვიპოვე,
შავ ღრუბლით ნათივთიკარი,
ვიღაცას უღვთოდ დაეკლა
უენო, თოთო თიკანი...
ამას მოწმობდა წერილი,
– მეფე დემეტრეს ფირმანით...
შეჩერებულა ტაძარში
საბაწმინდაზე წირვანი...
ცეცხლი მომედო, ცოდვისგან
კვლავ შენი ცოდვით დავიწვი,
ადამის ნეკნი ამტკივდა
და ევას ბზარი ლავიწის...
იქ, შენ წყაროსთან მივედი,
მოვძებნე თიხის კოკურა,
წყაროს ვაკოცე შენს ნაცვლად,
შერცხვა და პირი მოკუმა...
ციმციმ ცივ-ცივი წვეთები,
მზეს ცრემლად წამოეპკურა,
ჭადრის ქვეშ ჩიტიმარინა,
გაგვიმასპინძლდა მეფურად!...
ბზუოდნენ უფლის ფუტკრები,
ძველ, არამეულ ენაზე,
ერთი პეპელაც ამიძღვა,
– ანგელოზივით ენამზე!...
იმდენი ქნა რომ მომხიბლა
და მიმიყვანა მდელომდი...
ვთქვი: როგორ შეძელ პეპელავ
ერთ დღეში შეგყვარებოდი?!...
– ერთი დღე განა ცოტაა?!
– როცა წუთია – სოფელი?!...
წამში შეიქმნა სამყარო
მარადისობის მოფენით!...
შეხედე, ტაძრის სამრეკლოს,
სამკუთხა პირამიდებით,
როგორ მოწყენით დაგვცექრის,
გვემდურის პირარიდებით...
დანგრეულ ბუდეს უყურებ?!...
ცარიელ ბუდეს მერცხლისას?!
იმ მერცხლის დედის საფლავი,
გუშინ შევღებე ვერცხლისფრად!...
გაფრინდნენ ჩვენი მერცხლები,
შორს, როგორც ემიგრანტები,
თბილ ბუდეს ეშურებიან,
მწვანე ბარათის გრანტებით!...

აქ დარჩათ ტკბილი სამშობლო,
ნახანძრალ-ნაპარტახალი...
ვაითუ, ესეც, დაკარგონ,
როგორც ხანძთა და პარხალი...
უკვე რამდენი ხანია,
ვერ ჩამოიხსნა მზემ ჩადრი,
დასავლეთიდან ამოდის –
აღმოსავლეთით რომ ჩადის!..
რაღაცნაირად მამცივნებს,
მოწამლულია ჰაერი!
ოქროს ურდოში გაცოცხლდა,
ამბობენ, ბათო ყაენი!...
ცახცახებენ და ელავენ
ოქროსფრად ჭადრის ფოთლები,
ღმერთო, აშორე ქართველ ხალხს
ყაენები და ხონთქრები!...
„არ გათეთრდების ყორანი,
რაგინდა ხეხო ქვიშითა“...
ღმერთო, ისმინე ლოცვანი,
დღეს წარმოთქმული შიშითა: –
თაფლით და პურით აუვსე,
ჩემს მამულს ბელელ-ქოთნები,
მარანში მრავლად შემოდგი
საუფლო ღვინის დოქები!...

როლანდ გიორგაძე

* * *

როცა არაფრის აღარ გაქვს თავი,
როცა სამყარო ჩასთვლემს, იყუჩებს,
როცა გგონია, მორჩა, გათავდა,
თუ თავს დააღწევ ნეტარ სიჩუმეს.
მაშინ ვარსკვლავი მოწყდება ციდან
და აღივსები მაღლიდან ძალით,
შეგძრავს სურვილი მუხლზე დაცემის
და სინანულის დადგება ჟამი.
გულთამხილველო! იცი, ვინცა ვარ,
ვნებებთან ბრძოლამ წამართვა ძალი.
ნუ დამივიწყებ, შემინდე ცოდვილს,
გამილხვე გული, გამიღე კარი.

მაია დიაკონიძე

უფალო!

მე სინანულის მღრღნიან ეჭვები,
ველარ ავსებენ ჩემს გულში ღიობს,
წამომაშველე, ღმერთო, ხელები,
დაჰბერე ირგვლივ სიკეთის სიო.
დამჭკნარან თითქოს თეთრი ვარდები,
ჩემ ფეხქვეშ სურდათ რომ დაეყარათ,
და შემოუცვამთ მათ ქლამანდები,

ჩემთვის რომ კენჭი უნდა ეყარათ.
ხორცს ჰგავს ეს ჩემი სულის ვაზები,
აჩეხილს ასე უხმოდ, უწყალოდ,
ახლა ვიღასღა დავემგზავრები,
თუ აღარა ხარ ჩემთან, უფალო!
ბოროტთა შენზე იყარეს ჯავრი
მე სულით ცოდვილს, რაღას მიზამენ,
სულზე წამების დამაკრეს ჯვარი,
თან წაიყოლეს ჩემი სინაზე.
დაყრილან ხენი, როგორც ჯაჭვები,
რითაც, უზადო, ჯვარზე გაგაკრეს,
სისხლით შეღებილ ოლეანდრებსაც
მე ეს სამყარო მიტომ ვადარე.
ჩამოსჭკნობიათ ფერდები ხართა,
ბედის უღელი უნდა ეწიათ
და გვიკვირს ახლა ქუხილი ცათა,
ცოდვის ნაყოფად რომ დაგვეწია.
და მაინც, ჩემო უფალო, გვედრი,
არ მომაშორო წყალობის თვალი,
კვლავ აღმადგინე ღვთიური მზერით,
სულს მოუფონე, უფალო, ამინ!

მანანა მიქაძე

ქრისტიანი არაბი

გერგეთის მთაო, აზიდულო, ცად აწვდენილო,
დამშვენებულო, მწვერვალიდან ჩამომზირალო.
ღმერთების საუფლო, სამების ტაძარო,
ცაში ვის მადლიანმა ხელმა აგაგო?!
აღმართში ამავალს არაბი შემომხვდა,
ჭარმაგი, თხელი, ვით კაფანდარი.
თითქოს გადეყარა მხრებიდან დარდები,
ლაღად მოდიოდა ტანით შესადარი.
შევდექი წამით, თვალი გავაყოლე,
დამშვიდებული დაღმართს მიჰყვებოდა,
ნაცრისფერ სახეზე შევერცხლილ წვერებს,
ბუნების მშვენების ხიბლი დაჰფენოდა.
ვიდექი, წარსულის ფიქრმა გამიელვა,
საიდან მოსული სად ლოცულობდა!
არაბი მცხოვანი, თეთრ კაბიანი,
თურმე ნისლიან მწვერვალზე ოცნებობდა.
რა ნატვრამ იხმო გერგეტში მლოცველი?!
იქნებ ჩვენებურმა სულმა უყივლა!
რამდენი ქართველი უწინ გაყიდულა,
ეგვიპტე არაბეთს მამლუქად გაზრდილა.
საიდან შემხვდა თეთრწვერა, ხნიერი,
მშვენება ქართველი კაცის იერით.
იქნება არაბი შორიდან მოსული,
სულაც ბადიშია ჩვენი წარსულის.

ანა ბეინაშვილი

საბა

გამოსცდა ფიქრით დაფარულ ფესვებს
ახლოა ცა და შორეა მრევლი,
და სასოებით ღვთის სიტყვის მთესველს
უცახცახებდა თვალებზე ცრემლი.
რატომ ან რისთვის ხარებამ დილის,
გზა აუხილა მკაცრი და ცივი,
მის ცადაზიდულ მტევნების ჩრდილში
ჩამოთაფლული სანთლები იწვის.
რომ თოვლი მუხლებს გადაამეტეს
სულ თეთრ სამყაროს ეჭირა თვალი,
მათი ტაძრის და რწმენის მესვეტეს
მოხდილი ჰქონდა სამშობლოს ვალი.
თოვდა და თოვდა და ანკარა გზებს
არ ემჩნეოდა ნაბიჯი არსად,
თოვლი ღამეებს სინათლით ავსებს,
ათოვდა ბერს და ათოვდა ჯვარსაც.
ლამაზი იყო სულ თეთრი ბინა,
მშვიდი ბუნება, თოვა ზეციდან,
ბერს შავადმოსილს სხივი ეფინა
და მძიმე ჯვარი უნდა ეზიდა.
არ არსებობდა ჩქამი და მხეცი,
სოფლიდან ჩანდა ვით ნათლის ღერი,
ახლოა ცა და შორეა მწყემსი,
საბა ამ მწყემსის წმინდა სახელი.

თემურ ტაბატაძე

რა არს მამული?...

რა არს მამული?...
ერთი ციცქნა მჩქეფარე გული,
მზე ჰორიზონტზე, იმედად რომ
შენთვის ანთია,
შარავანდედის უნაზესი
სხივების წნული,
„იქორის ყივილს“ ლუკმა-ლუკმა
როცა გაწვდიან.
მამა-პაპათა საფლავები,
მიმოფანტული,
ნოტიო მიწის ოხშივარი,
შენი ნატერფლით,
ღამე ალგეთის მგლის ყმუილით
გამოფატრული.
„დიდგორის ველის“ განთიადი
„მთვარის ნატეხით“.
სოფლის ბილიკი,
ზღმარტლის ფესვებს ჩაჭიდებული
და გულყვითელა მოლაღურის

„შვილო, გოგიავ“! –
წინაპართ რწმენა
„ხის აბჯარში“ აზვირთებული,
განმანათლებლის საფლავთან რომ
დაუჩოქია.
სულ ერთი ციდა იმედი და
პატარა კახის,
დვრიტაჩაშლილი ხმლის სიმარდე,
სხივთა სიელმე,
ლომის ბოკვერი
ბაკეში რომ ხალისით დარბის,
სტუმრის ღიმილზე,
თვითონ ღიმილს ძლივს რომ იმეტებს.
გლეხის ნამუსი
დაგლესილი „უხად ჭურებში“,
მარგალიტებად მომდინარე
ცრემლი მოყმისა,
„ქალის სათხოვად“ მიმავალი
ზემოურებში
და მაინძელი,
სტუმარი რომ ჯერ არ მოყირჭდა.
რა არს მამული?...
ერთი ციცქნა მჩქეფარე გული,
მზე ჰორიზონტზე,
იმედად რომ შენთვის ანთია,
შარავანდედის უნაზესი
სხივების წნული,
„იქორის ყივილს“ ლუკმა-ლუკმა
როცა გაწვდიან.

დალი მაზმიშვილი

ტრიპტიხი წმინდა ნინოს

წმინდა ნინოს

თაფარავნის ტბის შემოგარენში
ნისლის ცვარია,
ლურჯ სინათლეში
მეწამული ღრუბლის კრებულით,
გზა მართალთათვის თავგანწირვის,
შეუმცდარია,
გულში მაცხოვრის
სიყვარულით დამკვიდრებული.
მოგქონდა ჯვარი სიყვარულად,
იმედად, რწმენად,
გადასარჩენად, თმით შეკრული,
ვით ანდამატი,
მაყვლოვანს თვითონ შეუცვნია
მაგ გულის ძგერა,
მიენდე უფალს,
შეგიფარა მგზავრი ნანატრი!
სხივთა წნულები მიწის მკერდზე,
შენი მადლია,
ჩიტი რომ შიშველ ხის ტოტებზე
ბუდეს იკეთებს,
ბალახს ცის ნამი
რომ ალაკრავს დილაადრიან,
ქარი მინდვრებს რომ ააცეკვებს,
შენ თეს სიკეთედ!
ყველას ღიმილში
შენი მზერის ნაშუქარია,
წმინდა ქალწულო!
ნათლით დღესაც
სამყაროს მოსავ,
ბოდბეს მიწა კი
შენეული საჩუქარია,
მუხლმოსადრეკად სიკეთესთან
რომ შევძლოთ მოსვლა!
ასე ვინახავთ დღემდე კრძალვით
ბოძებულ სითბოს,
უფლის რჩეულის ვაზის ჯვარი
ძალაა ერის,
შენ სიყვარულში
წლები არც კი გასულა თითქოს,
ისე ბრწყინავს და გვანათლფერებს,
სიწმინდე შენი!

წმინდა ნინოს შემოსვლა

საუფლო ქალაქს ცის ბროლი მოსავს,
არმაზის მთიდან შემოვა დილა,
ნოხად ეგება გზით დაღლილ სოსანს
ციდან ნაცვენი ხომლების ბრწყინვა.
ქარი უვარცხნის ღრუბლის თმებს ზეცას,
მცხეთის საფირონს შეარხევს ქნარი,
ვაზის ლერწიდან ისევ მზე წვეთავს,
ისევ მუხლს იყრის არაგვთან მტკვარი.
ჯვარი კი ჩვენს სულს აკელაპტარებს
და განშორებას არასდროს ცდილა,
ქართლის მოქცევის მადლს დაატარებს,
წვრილ მაყვლოვანში ნაპოვნი ბინა.

ბოდბეს ვარსკვლავი

დიდ ღვთიურ ნათელს ნაზიარები,
ზეცას მზის ბადე დაუფენია,
და წკრიალებენ სულში ზარები,
აქ ყვავილებიც თითქოს მღერიან.
ვგრძნობ მაყვლოვანის ტკბილი სურნელი,
თმის გიშერს აქაც გამოჰყოლია,
თავდადრეკილი დალოცვას ველი,
გულს ამნაირად არ უთრთოლია.
ციდან ფეხადგმულ მზეს ვეგებები,
ვემთხვევი ნათელს, მიმიღოს მწირად,
ტაძარში ისმის საუფლო ხმები,
გუმბათზე შენი ვარსკვლავი ბრწყინავს!
ტყეში მცხუნვარე აგვისტო იწვის,
წყარო მიწის პირს ნდობით მიკვრია,
ქვეყანას ნათლით რომ მოსავს მიწყივ,
ბოდბეს ვარსკვლავის ანარეკლია.

ივეტა პავლიაშვილი

შობა

იყო ზეობა...
ცის გუმბათიდან
რეკდნენ ზარები,
ანგელოზები
ფრენდნენ კარდაკარ
ქრისტესშობისა
მახარობლები.
თვალისმომჭრელად
ბრწყინავდა ზეცა,
ზეციურ მეფეს
უხმობდნენ მთები.
დრომ ხელახალი
დაიწყო ათვლა,
ევლინებოდა
ქვეყანას მხსნელი.
იშვა იესო –
ტარიგი ღვთისა,
წმინდა მოძღვარი,
უფალი ჩვენი.
იშვა, ვითარც მზე
სიყვარულისა,
სიკეთისა და
ნათლის მფრქვეველი,
იშვა სიცოცხლე
ჭეშმარიტება,
ღვთის განკაცება,
ღმერთი მაღალი!

სალომე გოგოლაძე

მარიამობა

თვესა მარიამობას ცაზე მთვარე ამოვა,
ამ სოფლიდან, იმ სოფლამდე საცალფეხო ხიდია,
თვესა მარიამობას, მოდიან და მიდიან...
გაღმა სასაფლაოზე დგას პატარა ტაძარი,
თვესა მარიამობას უკიდია ხანძარი,
ღამე ყორნის ფრთასავით, შავი როგორც ნაწნავი,
ცაზე ობლად ანთია ჩემი ბედის ვარსკვლავი...
ვფურცლე კარაბადინი ერთი ოხვრა დარდივით,
თვესა მარიამობას, მოვიხვიე მანდილი,
როგორც უწინ იცოდნენ: გამტკიცული პურები,
ხმიადები, მჭადები, ცხელი ხაჭაპურები,
დოქი ღვინით ავავსე, წითლად დანაფერები,
მერე სოფლის შარაზე ვკრიფე არჯაკელები...
თვესა მარიამობას, ცაზე მთვარე ამოვა,
ვარსკვლავების ეჟვნებით, ღამით ოქროს
კენჭებით,
ვით მორღვეულ ტაძარში
ვდგები მუხლდაჩოქილი,
მე და ღამის ძაძაში მთვარე ძუძუმოჭრილი,
ვბუტბუტებ და ვლოცულობ
ზეცას ხელაპყრობილი,
იქვე ბერიკაცივით, ვერხვი რომ დგას მოხრილი,
დაცვენია ფოთლები,
დაფლეთილი ნოხივით.
ღმერთო, შენ გევედრები,
ჩემო წმინდა დედაო,
საქართველო მიცოცხლე, ისე
დამიბერდაო.

იამზე არველაძე

ღვთითკურთხეულ თამარ მეფეს

თამარ-ქალო, მნათობთ დარო:
ქალღმერთი ხარ ქართველების,
მიეც სხივი სადიადო –
ცისკრის ვარსკვლავს გათენების!
იყავ მეფე, უპირველეს –
მამულისთვის მცველი გრალის,
ნათლის სვეტად თავს დაგვცქერი,
მზის სანთელი ჩაუმქრალი!
ღვთითკურთხეულ მიწის ასულს
წინ გიძღვოდა ჯვარი მცხეთის,
განიმტკიცე ნდობა ხალხთა –
სამხრეთით თუ ჩრდილოეთით!
ერთგული და მწყალობელი
სახიერი, მადლმმოსავი,
კეთილ გონით ყოვლის მძლევი
ხატად იქეც სალოცავი!
წინ მიუძღვი ივერიას –
გაკვალული შენი გზებით,
ზეცას უკვდავ სულით შვენი,
მიწას ციხე-დარბაზებით!!!

მირანდა ერისთავი

ათი მცნება

1.
ათ მცნებას ვარღვევთ ათასჯერ დღეში –
ასე მივყვებით ჩვენ ჩვენს აღმართებს,
წერია: – მარტო მე ვარო ღმერთი –
ჩვენ კი მის ნაცვლად
ყველას ვაღმერთებთ.

2.
არ ჰქმნაო თავსა შენისა კერპი, –
წერია, ჩვენ კი ვკერპობთ, ვაკერპებთ....

ოღონდაც რამე არ გავაკეთოთ, –
და სიკეთესაც აღარ ვაკეთებთ.

3.
ნუ მახსენებთო, ტყუილ-უბრალოდ, –
ჩვენ კი ტყუილზეც გახსენებთ მოწმედ,
და მარხვის დროსაც „ვჭირისუფალობთ“, –
სხვის დასანახად ვბუტბუტებთ ლოცვებს....

4.
ექვს დღეს აკეთე, რა საქმეც გინდა,
მეშვიდე დღე კი აქციეთ წმინდად, –
ჩვენ კი „ვსაქმობთ“ და არა გვაქვს ერთი
დღე კი არადა, საათიც შენთვის!

5.
პატივ ეცითო მამას და დედას –
ჩვენ ჩვენი დედის გინებას ვბედავთ....

6.
არა კაც კლაო, –
ჩვენ კი ასობით
ვკლავთ სიტყვით,
როგორც კლავდნენ უწინ ბევრს
და ღმერთს კი არა, – მთელი არსებით
ვემსახურებით მხოლოდ ლუციფერს...

7.
არ იმრუშოვო! – ჯვარდაუწერელ
ყველა სიყვარულს ჰქვიაო ცოდვა,
მაგრამ მრუშობა უფრო ის არის, –
უსიყვარულოდ რომ ცხოვრობ ცოლთან...

8.
არა იპარო! – მცნებაა მერვე, –
ჩვენ კი ვიპარავთ დროს, ფულს თუ ნერვებს..

9.
ცილს ნუ სწამებო, – ჩვენ კი სულ ვჭორავთ,
ვინც არ მოგვწონს ან ჩვენზე მეტია,
რადგან ღმერთისგან ძალიან შორს ვართ –
ან კი ჩვენგან შორს თვითონ ღმერთია!

10.
არ გინდოდეთო არავის ცოლი,
არვის ქონება,
ხარბი გონებით, –
ჩვენ კი ისეთი თვალებით დავალთ,
მშიერი-მწყურვალი რომ ვეგონებით....

.....
ათი მცნებაა ასჯერ რომ ვარღვევთ, –
და ღმერთს ვიხსენებთ მარტო მითივით,
ათი მცნებაა ყველგან რომ დაგვდევს
და სხვისკენ ვიშვერთ ათი თითივით...

ნათელა კუპრაშვილი

* * *

ვარ ქრისტიანი, ჩემი ქვეყანის
ერთგული შვილი,
არც ვერცხლი მხიბლავს და არც
ოქროს ზოდები მთათა,
ჩემი უფალი მაცხოვარის რწმენა
მაქვს დიდი,
უნანიებელ სინანულის დამყვება
განცდა...

ვერაფერს გშველი, ტკივილები
რით დაგიამო,
მათი გენი ვარ, ვინც გაწამა და
ქსროდა ქვათა,
ჩემს ამ ცრემლებს და აღსარებას
თუ შვებად მითვლი,
აღარ დავეძებ ჩემს სიმწირეს, ან
სხვათა, სხვათა....

ერთი იმედით დავალ ქვეყნად და
გეაჯები,
შენი შენდობის იმედი მაქვს,
ცოდვების ზღვათა.

ასმათ გაბაკიშვილი

ნინოს მისია

უფლის დიდმა სიყვარულმა
მოიყვანა ნინო მთებით,
ვაზის ჯვარი ხელთ ეჭირა
ნამშვენები ნაზი თმებით.
გადმოვიდა მთა-მთა მძიმედ,
ბევრ გასაჭირს უძლო რწმენით,
გზად ტოვებდა სისხლის წვეთებს,
მოდიოდა შიშველ ფეხით.
დაივანა ბოლოს მცხეთას
აღავლენდა ლოცვას გულით,
გაუნათა ბევრს ბნელი გზა
უფლის დიდი სიყვარულით.
წმინდა ქალმა განსაცდელი
გაიარა კიდევ ბევრი,
სიყვარული თესა ყველგან
არვინ დარჩა მისი მტერი.
უფლის მადლით იმარჯვებდა,
ურწმუნობა დაამარცხა,
ქრისტე გახდა სალოცავი,
კერპები ძირს დაენარცხა.
გამარჯვების ნიშნად ერთხელ
ცით დაეშვა სვეტი ნათლის,
ქრისტეს მადლით მოინათლნენ

ყველა ერთად მაშინ ქართლის.
ბევრი შრომა და ამაგი
დასდო მიწას დიდ ჭირნახულს,
რწმენას წლობით აღვივებდა,
რომ ეხარა ჩვენს ტკბილ მამულს.
მოეფონა ბოლოს გულზე
მისია რომ შეასრულა,
უფლის რწმენა, სიყვარულში
ჩვენს მიწაზე აღესრულა.
მის უწმინდეს სახელს ფიცავს
ჩვენი ერი სასახელო,
მისი მადლი ჩვენი რწმენით
მუდამ უნდა ვასახელოთ.

გიორგი ჩაჩანიძე

* * *

მცხეთის სამკაულთ სახიზარს,
სიტყვას გიბედავ ღმრთისანო!

ზედ ცის კიდურზე მიდგომილს!
მხრებით ნაზიდო კლდისანო!

ეს აქ, რა ძალამ აგზიდა,
რა ხელმა გთალა ქვისანო!

ან რა მარჯვენამ მოგხატა,
ნაკურთხ-ხელდასმულ ღვრთისანო!

ნეტარ არს, მწყემსი გრიგოლი,
რძით ვინც გაწყურა კლდისანო!

მეც მათ ფეხთ მომიხსენიე,
სამება, გერგეტისანო!

ლალი მიქაია

* * *

ანებივრებს ხშირხშირად
საჩუქრებით თათიას,
ისიც სულ გაიძახის
როდის მოვა ნათლია.
ჯერ „მამაო ჩვენოა“
მერე მიდის თამაში,
მალე მინდა მომნათლოთ
იცრემლება თარაში.
ნიცა ხშირად კითხულობს
ჩემი რატომ არ მოდის?
იმდენ ტყუილს ვიჯერებ,
მგონი რქები ამომდის.

ლელა გაბური

ჩიტბატონა

ჩიტბატონას ამბავი
განა მონაგონია?!
უხსოვარ დროს მიწაზე
ცეცხლი არა ჰქონიათ.

ჩურჩულებდნენ, ჩიოდნენ
ჩიორები – საწყლები,
ჩანს თუ დავრჩით უცეცხლოდ,
სიცივისგან გავწყდებით.

ღმერთთან უნდა ვაფრინოთ
ჩვენგან ჩიტი საჩქაროდ,
– აბა, ვინ გვყავს მამაცი
გული რომ გაგვიხაროს?!

ჩიტბატონა აღმოჩნდა
ის ყოჩაღი ფრინველი,
ვინც აფრინდა ღმერთამდე
მოწყალების იმედით.

მან ცეცხლი წამოიღო,
მაგრამ დაღლილს სიშორით,
გზად ბუმბული დაეწვა,
დარჩა სულმთლად შიშველი.

მოიბუზა ჩიტუნა,
აკანკალდა, ატირდა:
„უცეცხლობა არ ჯობდა?
ამ ტანჯვისთვის რა მრჯიდა?!“

ფრინველებმა უწამლეს
ჩიტბატონას საწუხარს,
თითო-თითო ბუმბული
ყველა ჩიტმა აჩუქა.

დაუფასდა გმირობა,
ვალში არ დარჩენიან,
დღეს ეს ჩიტი ყველაზე
ლამაზი და ჭრელია.

ციური მესხიშვილი

ბელურა და გაზაფხული

მოდი, ბელურა ჩიტო,
შენ შემოგევლე, შენა!
ასე ტკბილად რომ გალობ,
რატომ არა გაქვს ენა?..
– ამისთვის, უფალს ვმადლობ,

მოწმეა თეთრი კვიცი,
იცი, ქართული ენა,
მე, შენზე კარგად ვიცი.
არსად მივდივარ მიტომ
და ჩემს სამშობლოს ვეტრფი,
გაზაფხულდა და ახლაც,
მისთვის ვიტკინე ტერფი.
მისთვის ვჭიკჭიკებ მხოლოდ,
ლოცვას ვუგზავნი ზენარს,
საქართველო რომ გაქრეს –
მე ამოვიდგამ ენას!..

ნათია დაშნიანი

მფარველი ანგელოზი

სიზმარმა რომ შეაშინა,
ასე უთხრა დედამ ნიას:
– მფარველად გყავს ანგელოზი
და ნურაფრის გეშინია.
როცა მშობლებს დაუჯერებ,
ანგელოზიც ხარობს მაშინ,
მაგრამ არის მოწყენილი
თუ იქცევა ცუდად ბავშვი.
იმ დღის შემდეგ მოსვენება
დაეკარგა ციცქნა ნიას:
– ჩემს ანგელოზს რა აცვია,
ან რა ფერის თვალები აქვს?
დე, ფაფუკი ფრთებიც ხომ აქვს?
მის ბუმბულში ჩავრგავ სახეს,
ნეტავ მართლა ისეთია
ფრესკებზე რომ გამოსახეს?..
დედამ გულში ჩაიკრა და
ჩასჩურჩულა: – ჩემო ნია,
შენ როგორსაც წარმოიდგენ
ანგელოზიც ისეთია.

როზა (მარიამი) ქაშაკაშვილი

მარიამის ოცნება

მე დღეს დედამ მომაკითხა ბაღში,
მოვირბინე სიხარულით კარში,
მას ჩავჭიდე ხელი მაგრად ხელში,
და ხალისით გამოვყევი გვერდში.
გავიფიქრე მოდი ვკითხავ ეხლა,
მითხრა სწორი მეგობარმა ნეტა?
ვიდრე მივალთ ვკითხავ არა მიშავს,
მეც გადვიწერ იქ ტაძართან პირჯვარს.

დედი – დედი შევაჩერე წამში,
თან ნაღველი შემერია ხმაში,
მეც მინდა რომ მონათლული ვიყო,
რომ მივბაძო ანდრიას და ნინოს.
ვკითხულობდე ჩუმად ბევრ-ბევრ ლოცვას,
და ვუძღვნიდე ხატებს კრძალვით კოცნას,
რომ ტაძარში მეც ვანთებდე სანთლებს,
და ზეთს ფრთხილად ვუმატებდე კანდელს.
გთხოვ უთხარი დედი მამას მალე,
მოვნათლოთ-თქო მარიამი ხვალვე,
როგორ მინდა მეც მეკიდოს ჯვარი,
და მეც მერქვას ქრისტიანი მარი.

ალა დათუკიშვილი

თეთრი გიორგი

აწყურის მაღალ სიმწვანეში წმინდა სითეთრით
დგას ზეცის თაღებს შეკიდული უფლის საუფლო,
ღმერთს ვეზიარეთ მის ბილიკთან ვინც კი
მივედით,
თეთრი გიორგი სამრეკლოდან ღმერთთან
საუბრობს.

შვიდგზის უვლიდნენ მის გალავანს წინაპრები და
წმინდა გიორგი სანთლის ალში იყო კარეტა,
თეთრად მორთული ხატის მონა ზღურბლზე
წვებოდა
რათა მის გულზე მომლოცველებს ფეხი დაედგათ.

მძიმე ჯაჭვებით მძიმე ცოდვებს ინანიებდნენ
და ამ ჯაჭვებით მოუხსნიათ სხვათა ცოდვებიც,
რადგან უფალი მოგიტევებს შენ თუ ინებებ
აქ რწმენით ბევრჯერ დაუძვრიათ მთებიც,
ლოდებიც.

წირვის შემდეგ კი იკვლებოდა მსხვერპლი საწირი,
იმართებოდა პურობა და იყო მოლხენა,
თეთრი გიორგი ამ დროს იდგა როგორც არწივი,
ღვინოს ასმევდათ რქაწითელის დოქი ორხელა.

ჩემს ხსოვნაში კი უმღერიათ ზამთარიაო,
მიამაყია რომ ამ კაცის მქვია ძმისშვილი,
აწყურის ზეცა შეუძვრია ხმათა ირაოს
გაგანაშვილი, აბაშიძე, ურჩუხიშვილი.

ამ გორებიდან დღემდე მოსდის კახეთს მირონი,
კავკასიონის გულის გახსნა აქ თუ არ ნახე,
თუ არ შეეხე რა თეთრია თეთრი გიორგი,
მაშინ ჯერ კიდევ არ გინახავს უფლის სასახლე.

მაია (მარინე) კახიძე

მკერდიდან სიტყვა ამოვიღე – ნაგლეჯი გულის

ღალატის ხელით შეინისლა ცაი უეცრად,
ჟამი ირევა ღამეთა წიაღ, უხმობენ სვავებს,
რა სიგიჟე სჭირთ ცდომილთ, უმეცართ,
ზეცაც გაწითლდა ღრუბლებით სავსე.
– გრძნეული მთვარე,
– ვარსკვლავთა ცვენა,
ცად აღმართული ძელიცხოველი,
ტკივილისფერი უფლის მზერა და
წვეთ-წვეთ დაღვრილი წამი ყოველი.
– უფალო, ჩემო, ცათა და მთათა,
ზეკარ აჭრილო ჯვრით და არილით,
მიუყვებოდა აღმართს და დაღმართს
დედის თვალები, მწუხრით დაღლილი:
ქალი – ასკეზა,
ქალი – ძალ ღვთისა,
ქალი – სამყარო, არსთა გამრიგე,
ქალი – ვედრება სიყვარულის და
ამქვეყნიური ჯავრით მშფოთვარე.
– ყვავთა, ყორანთა დიდი ყვირილი,
იალკიალი ბრბოთა ღამიდან,
წუხელ აჩეხეს დედის ტკივილი,
იასამნებში, თორმეტ მთვარიდან.
– როგორ გაგიჟდა, ღმერთო, ამინდიც
და ჩამოიქცა ტირილით ზეცა,
დედის ცრემლები, ვითარც ქარიტი,
კვნესით ჩავიდა, ჩაცურდა მზეც და...
– მერე გათენდა ცისფერი დილა,
ვით საიდუმლო სხივი, ხარება,
ჩვენთან არს ღმერთი!!!
ჩვენთან არს იგი!!!
ისტორიანი წერეს თვალებმა...
– იქ, წმინდა ძელთან სულის ლაჟვარდი,
ვაზის ჯვარი და ღვთის მოწყალება,
ხავერდის რტო და წმინდა ალაგი,
საკურთხეველი და მოვანება.
– ღმერთო, რა ხდება სიკვდილის იქით,
როგორ ივსება სულის ფიალა?..
ღალატმა უცებ შეწამლა ფიქრი,
დედის გულია ცათა ტიარა.
– ზეთისხილივით მადლიანი დედის სურნელი,
მარადიული არის შვება, დილა უბეში,
ნაკამკამარი მზისფერი კვართი, ბედის უღელი,
სამყაროს განძი, ნეტარი განცდა, დედა – ნუგეში.

– ცრემლში, ნაღველში მერამდენედ ჩავაწებ
კალამს,
სიზმარში ვნახე მაცხოვარი საყვარელ კრავით,
საქრისტიანოს ანათებდა, როგორც თილისმა,
უფრიალებდა ნაღალატარ საკინძეს ქარი...

– რა დრო გასულა...
მივყავდი ხოლმე ბებიაჩემს ქიზიყს საყდარში,
გული ჩიტივით ფართქალებდა უფლის წინარე,
შაშვები დიდხანს თამაშობდნენ გზაზე, წარაფში
და მონაზვნები პირჯვარს მწერდნენ გოგოს
მძინარეს...

– ბოდბის კედელთან იფრქვეოდა ზღაპრული
მნათი,
ბრწყინავდა ცაი, უფლის თვალი და ათინათი,
აი, აფრინდა პეპელა თეთრი, ვით გულის ხატი,
ეს სტრიქონები ალაზანთან ჩამოვწერე ნარინჯის
ღამით...

მარიამ გოჯიაშვილი

დემეტრე

დემეტრეეე!!! – ხევს მოჰბღავის ატეხილი მთებში ქარი,
დემეტრეეე!!! – მასთან გიხმობს „ოქროს ურდოს“ მკაცრი ხანი,
მეგობრობის, თუ ღალატის
გაუღვივდა ნაკვერჩხალი?!
– საქართველო აოხრდება! – რეკდა ზარი, განამწარი.
ფუძე-კარი დაობლდება! – მოგტიროდა დედოფალი.
– წადი მთებში, ხიზნად წადი, შეაფარე სადმე თავი,
ოღონდ, ურდოს არ წახვიდე,
სისხლისფერი არის გზაი!..
შენ იურჩე, არ ისმინე შეგონება
ერის, ბერის,
მტკიცედა სთქვი: – „თუ ღმერთს უნდა,
მოხდეს იგი, რაც მიმელის!..“
დემეტრეეე!!! – ხევში ბღავის და თმებს იგლეჯს მარტის ქარი,
დემეტრეეე!!! – ღალატია, არ დაგინდობს ურდოს ხანი!

ოცდაცხრაჯერ ჩაქრა თურმე ვარსკვლავეთი იმ დღეს ცაზე,
ოცდაცხრაჯერ ხმალი დაჰკრეს საქართველოს
გულ-ფიცარზე.
იმ დღეს როგორ ამოშანთეს
საქართველოს თურმე ხორცი...
და მზე როგორ ჩაიღვენთა
და ჩამოდნა თურმე ცოდვით!
იმ დღეს მტკვარმა სისხლიანი
ღალატი და რისხვა ზიდა...
იმ დღეს დედაღვთისმშობელი
უფლის ტახტთან ლოცვად იდგა!
დემეტრეეე!!! – კვლავაც ხევ-ხევ გეძებს ქარი,
ძაძებს იცვამს,
სისხლისფერი გახდა მტკვარი,
სისხლისფერი არის მიწაც!..
თავდადება შენნაირად
არ მსმენია არსად, ვფიცავ!
დემეტრეეე!!! –
ქარი შლეგობს, ქარი ვერ გთმობს,
ხევ-ხევ გეძებს,
ისტორია თავდადების
იწერება დღემდე!!!

მირანდა ზაბახიძე

ლექსად იკურთხე

ლექსად იკურთხე,
სტრიქონებო ახლად ნაწერო,
და შენს ტკბილ ნექტარს
სული შესვამს როგორც ზედაშე.
შენ ჩემო თავო, ლოდი მომეც
სულის ტაძარს რომ მიგაშენო,
სიცოცხლედ სიკვდილს,
სულს სხეულად ვეღარ ვეწამლე.
ჩაიღვენთება გულისგულში ლოცვა პირველი,
სიხარულს მომგვრის მიღმიერში ახლად გარდასვლა.
ჰე, ჩემო ღმერთო,
მომიხსენე,
ამჯერადაც შენ თუ მიშველი,
შენთან ვრჩები და ახლად მინდა ტანში გადასვლა.

სულის სამოსლად მოვიხურავ ცისფერ კაბადონს,
ფერთა ციაგში მზის სხივებად დავიფანტები,
გიგალობებ და შენით მართავს სული მარათონს,
მზის ქორწილი რომ დასრულდება დამენანები.

ლოცვად იკურთხე,
გავუხსენი სულს დარაბები,
რწმენა ისეთი მინდა შევსვა როგორც მწყურია.
ჩემი ლოცვა მაქვს დღეს უფალთან მე აღსავლენი,
დედამიწაზე დაგეძებდი,
და სამოთხე გულში მქონია.

ლექსად იკურთხე,
სტრიქონებო ახლად ნაწერო,
და შენს ტკბილ ნექტარს სული შესვამს როგორც ზედაშე.
შენ ჩემო თავო, ლოდი მომეც,
სულის ტაძარს რომ მიგაშენო,
სიცოცხლედ სიკვდილს, სულს სხეულად ვეღარ ვეწამლე.

ია მერაბიშვილი

უნონადობა აპრილში

ქუჩა.
ვატარებ ერთადერთ სიხარულს –
სულ ცოტა დროც და აღარ ვიქნები.
ხალხმრავლობაში შეკავებული ხველებასავით
გადაყლაპული სიცოცხლე დამაქვს.
მარტია ახლა,
როგორც აქამდე, ამ წელშიაც მარტო შევები დამტანჯველ ხმებს
და წარხდენილ იმედს.
რძეს და ხორცეულს დაავიწყდათ ჩემი შიგანის მშიერი გემო,
ვერ დავიმარხე ფიქრი და გრძნობა,
ასეთ მარხვას აღდგომა არ აქვს,
არ დაუდგება არასდროს ხსნილი.

აღსრულდა ხალხის ბოროტი ნება,
დუჟმორეული სურვილი მათი –
რომ ღმერთიც ბოლოს მიმატოვებდა,
დადუმდებოდა ჩემი საყდარიც.
შეურვებული მარად მიხილეს,
განკურნებული მნახეს აროდეს.
აღზევებულმა უღმრთო სვავებმა
ამომინესტრეს წითელი ცვარი ჩემი ცხოვრების ნასუფრალიდან,
ორი ბროლი კი სულ მთლად დამიშრეს
და ამოხაპეს ჭიდან ცრემლები.

ვერ გავამართლებ მშობლების იმედს
და რომელიმე ჯაჭვი გაწყდება ჩემს ყელთან,
სადაც მხოლოდ მხრჩოლავი, თუმც უხილავი საბელი მიჭერს.
წარედინება მათი სიცოცხლე ჩემს დათა ფართო ნაკადულებში...
„ღმერთო, წყალუხვი მიეცი დენა,
ღმერთო, ამრავლე მათში თევზები...“
არ გამოვდგები მე შემძლებელი
და დაითმინეთ ასეთი შვილიც.

მე წარწყმედულის ლოცვა მაწიეთ,
რომ მეპატიოს, ვით პოეტს, მეტი.
აქ ყველაფერი თქვენთვის ღვიოდეს,
დროს გამოსძალეთ გამოსატაცი,
შეძელით, რაც მე ვერრით შევიძლე – ანუ იცხოვრეთ.
მე კი სხვა წერა მომიხილავს და სულ სხვანაირად მომისახმილებს.

ამ ლექსში დიდხანს ვერ გაგექეცი, შენ დედაჩემო,
აი, გახსენე, რადგან გავბედე, ამიტომ გეტყვი:
ოდესმე ჩემს ძვლებს, გულში აზელილს,
ამოგიტანენ ჩვენს ძველ ბუდეში
და ჩემს დამტვრეულ ძვლებს ჩაილაგებ ხელებში,
როგორც თეთრ ლუსკუმაში. ვერ ამომიცნობ,
რადგან ყოველთვის გიმალავდი ჩემს მტკივან სახეს.
ახლა ასეთიც დამიმახსოვრე,
მე ჭეშმარიტად მხოლოდ ესა ვარ –
მიწაწაყრილი სული, ჩამქრალი.
მომასვენებენ და დაგიფენენ ჩემს აუწყობელ ფაზლის დეტალებს,
რომელსაც მუდამ რაღაცა ეკლდა და დაჰკარგვოდა,
რომელსაც ვერვინ ამთლიანებდა.
დაგისვენებენ, როგორც ოდინდელ აპრილში შენს გულს გადამაყარეს
ახლადმოხნული და ჩვილი ტანი
შენს საგაზაფხულედ გადაფატრულ მწვანე მუცელზე,
ვერ შემოეკრა პირი შენს წიაღს,
ალბათ არც ახლა შეგიხორცდები.
არ მაპატიეს ჩემს თავად ყოფნა
და პოეზიით დასნეულება,
რომ რაღაც მეტი ხედვით ვიტანჯე
და მტვრის გრამიც კი ლოდად მეკიდა.
ნეტავ, რა იყო აქ შესაშური,
ნეტავ, ჩვეული ყოფნით მეცხოვრა
და არ დამწვოდა სული გეენით.

აწ უთენარი ღამე მწუხრდება
და ცარიელი ფაშვი შემცქერის,
თუ რა სიმაღლით ჩაველუკმები,
როგორ უწყალოდ დავიღუპები.
მე სააპრილე მარტი დამხუჭავს
და ვერ შევხვდები ჩემს დაბადებას.

რა მიუწვდომი და რა ახლოა,
მაგრამ საჩემოდ არ გათენდება,
ალბათ უჩემოდ იზეიმება
თქვენი აღდგომა.

მაია მინდელი

ღმერთო, შენს მარტოობას...

ღმერთო, შენს მარტოობას ვერაფერი ედრება,
ერთით გბაძავ – ჩემს გულზე, როგორც წყალზე, გადავრბი,
შენი ნაფეხურების კვალი სადღაც ჩერდება
და დრო მაბამს დაწნული მოთმინების არტახით.
ყველა ფიქრის აკლდამა, ყველა სევდის საძვალე
მდუმარ პანთეონებად გაგიშალე მხრების ქვეშ.
რა თქმა უნდა, მპატიობ, რა თქმა უნდა, დაგღალე,
ამ ერთხელაც მისმინე, ჩემი თავი შემინდე.
გადავწურე იმედი უღმერთობის ჭურჭელში,
გუგულივით სხვას ვუდებ ლექსებს სულის ბუდეში,
რა თქმა უნდა, გეძახი, მარტო და უნუგეშო
გასააპრილებელი, უმწიფარი ნუგეშით.

ჰეი, ღმერთო, სადა ხარ? ბნელში ნათლის ამრევნი
დღემდე ვერცხლზე გყიდიან, ისევ ვერცხლით გწონიან,
შემოახსნეს თემიდას თვალებიდან სახვევი,
თემიდას კი, თვალები თურმე, არცა ჰქონია.
მოწყდა ზვავი მოლოდინს ყოფნის უნაყოფობით,
დღეებს, როგორც ტყის ჭინკებს აუტეხავთ არული.
მომძებნე – დაგემალე, ბევრჯერ უარყოფილი
დაგივიწყე, წყენით და ღალატით გათვალულმა.
ხან ამაოდ დაგეძებ უშენობის წყვდიადში,
ამძაღებულ იმედს ვსვამ დროის ბარძიმებიდან,
თან, ვაყოლებ შენივე პატიების ხმიადსაც.
ღმერთო, მოტევებანი როგორ დაგმძიმებია...

შენ ხომ ერთზე ახვედი, მე რად მერგო ამდენი
გოლგოთების ჭურვები, ფეხქვეშ რომ მიხეთქავენ?!
ისევ უშენობაში უშენოდ რომ წავედი...
სულ ცოტაც და, მამალი დაიყივლებს მესამედ.
ვიცი, ახლაც მიშველი, არა ერთხელ ნაშველი
დამხსენ დროს, ამ ულმობელ, მოხარხარე მევახშეს.
უკვე ველარც გეძახი, ჩემო თანამზრახველო,
მომძებნე და ერთხელაც, შენთან ყოფნას შემახე.
ცხრაჯერ ნანეტარები სული – მდოგვის მარცვალი,
მივაბარე მდუმარე, უსინათლო თემიდას,
შენი მოთმინებიდან რამე მაინც მასწავლე
ან შენგანვე ნასწავლი მარტოობა შემინდე.

მაგდა ჩანქსელიანი

ენგურს გადაღმა, ჩემს მიწაზე

ეკლის გვირგვინი შემოავლეს დედა სამშობლოს,
ცა ჩირაღდნებით ავსებულა ენგურს გადაღმა,
დილა გათენდა უჩვეულო სველი ყლორტებით,
ზეცა დაგვტირის... დაუსველდა ღვთისმშობელს კალთა.

ყაყაჩოსფერი ელვარებით გვიმზერდა ზეცა,
ტყვიების წვიმა ანგელოზებს გულში ხვდებოდათ,
ცრემლები სწვავდნენ ქუთუთოებს წითელ ზოლებად,
იყო სისხლისღვრა... შენყალება არვინ იცოდა.
იუდას მსგავსად... არაერთხელ გაგვყიდეს, გაგვცეს,
და მამლის პირველ ყივილამდე გავარდა ტყვია,
აბობოქრებულ ზღვის ტალღებში გაცურდა ნავი,
და ამის შემდეგ ჩემს მიწაზე დევნილი მქვია.

უფლის ტაძრამდე ადიოდა ხალხის გოდება,
გვსურს მხურვალება კვლავ შევიგრძნოთ ქართული მიწის,
გახსნილ ჭრილობებს დრო როგორღაც განკურნავს მაგრამ,
რაღა ვუშველოთ იმ ტკივილებს სულში რომ ღვივის.

მთებს დაეხურათ ბინდისფერი ლეჩაქი თმებზე,
სისხლიან ზეწრებს დაეფარა ენგურის ველი,
ტროტუარებზე გაისმოდა დედების გმინვა,
ხარ გოლგოთისკენ მიმავალი ჯვარცმული ღმერთი.

შორენა გაბელაშვილი

უფალო

ჩემო უფალო, როგორ დაგეძებს გონება, გული...
შენ ხომ სითბოთი, რუდუნებით მაჩუქე გრძნობა,
ანუ სიცოცხლე...
რადგან სუნთქვაც კი იქნებოდა საოცრად რთული!..

მსურს, ყველა კარი დავამსხვრიო და გზები ვთელო...
ოღონდ შენამდე მოვაღწევდე ერთგულად ჩემო...
რა იქნებოდა დედამიწა მზის სითბოს იქით,
ან სულაც რისთვის ეარსება გონებას ფიქრით...

არ მეშინია აღარაფრის, ოღონდაც გპოვო,
არ ვიდარდებდი რომ სოფელი ასე ფლიდია...
მთელი სამყარო შენს გარეშე მგონია სორო,
არადა, ერთი სუფთა გულიც ცაზე დიდია!..

გადაივლიან ეს ღრუბლები ჭექა-ქუხილით,
და აღსრულდება ყოველივე კიდით კიდემდე...
ალბათ იქნება ნათელის და ბნელის ჭიდილი
კვლავ ვიცოდვილებთ, ხელმეორედ მოხვალ ვიდრემდე...

გაწვიმდა გარეთ, დაეშვიო მითხრეს წვეთებმა,
იცხოვრე ისე, არ ჩაგიქრეს სულში იმედი...
თუნდ ღია ზღვაში მარტო დარჩე მღვრიე ტალღებთან,
სხვებსაც უამბე, რომ ნაპირთან რწმენით მიხვედი...

თამარ გაბოძე

საგალობელი დავითის დედას

დავით გურამიშვილს
„ვაი რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიესო“...
დ. გურამიშვილი

ომში წასულებს უმზევებდნენ სახლში ტანსაცმელს
და გადაზამთრდა წელი ხუთი ამ მოლოდინით...
ლეკთა ნადავლო, გადარჩენილს მრავალ განსაცდელს,
ქართლის ჭირი რომ დაგწოლოდა გულზე ლოდივით,
ასორმოცდაათ წელს გელოდნენ, ვიდრე ტაძარში
აღმოაჩინეს ჩანაწერი უკრაინაში...
გადავიწყებას ლოცვა-ცრემლით დედის გადარჩი,
ღვთის ნებით წილგხვდა დამკვიდრება უკვდავთ ბინაში!
...ქართლიდან დედის გამხნევებდა ლოცვა მხურვალე,
არ გივიწყებდა არც სამშობლო ბევრის მომთმენი...
რა უშავს, თუკი საგურამო დაგრჩა მწყურვალი
და შორს ძახველის გეფინება გულზე ფოთლები!
ბრძოლით და ჯაფით გადაღლილი ცხოვრება რთული
უშიომღვიმოდ, უზედაზნოდ თუმცა დასრულდა...
უკრაინას შენ შეაყვარე სიტყვა ქართული –
„დავითიანით“ დამიკვიდრე მზე ცადასულთა!
...„ღმერთო, უშველე, სადაც არის!“ – ზეცას კამკამას
შესთხოვდა დედა შენზე ლოცვით მაღლა მხედვარი...

არ ატარებდა მომლოდინე დედა შავ კაბას –
ცოცხლად რომ გთვლიდა, მით გადარჩი, ალბათ მხედარი!
...მწამს, ლოცვამ დედის მაგდებურგში ტყვექმნილს გიწია.
იმედიც, რწმენაც იყო ლოცვის დასტურმდებელი.
დავით, დედებმა გულთმისნური ლოცვა იციან –
თვით უფალია დედის ლოცვის ამსრულებელი!
ლამისყანიდან ქეთევანმაც ილოცა იქნებ...
შენ კი, „ქართლის ჭირს“ მისხალ-მისხალ კინძავდი როცა,
ხატებამ დედის – ლოცვამ – ძალა მკვებავი – მოგცა!
აქციე წიგნად უცხო მხარეს ხვედრი განგების;
ქრისტიანული მოთმინებით მორკინალს ბედის,
ძალას გმატებდა იავნანის ტკბილი ჰანგებიც,
ძილბურანში მყოფს გამხნევებდა ლოცვის ხმაც დედის!
დაგსიზმრებია დედა ლოცვით მრვალგზის, მჯერა...
გათბობდა, ნაწერს გინათებდა სანთლის ალივით...
„დედასთან ვიყავ – ვლოცულობდით“ – თქვი რამდენჯერაც,
გაბრუნდა უკან თვით სიკვდილიც შენი ალიბით!
მთელი სიცოცხლე რომ იკმარე, გაგყვა საგზლად რა,
დაამწყალობნა საგზლად იგი რა სასწაულმა,
ათეულწლობით განშორებამ რომ არც გაბზარა!..
დედაშვილობის იზეიმა რა საცნაურმა?!
...და ვიდრე დედას ეწვეოდა მოკვდავთა მწუხრი,
შორს ჯვარს გსახავდა, დავით, დედა მწედ ოთხივ კუთხივ!..
როს, შუაღამით, სძინებიათ ხან წყლებს ცით ხოლმე,
უძილო დედის ლოცვა გედგა თავს მეციხოვნედ:
...მრავალ მიწისძვრას მოსწრებია მსოფლიოც, ქართლიც...
მაგრამ შეძრულა – ლოცვის ძალით საფლავი – მიწა,
იქ – სადაც დედა მოთმინებით და რწმენით მართლის
შვილის ლოდინით, შვილზე ლოცვით დაღლილი მიწვა!
შენც – დედის ლოცვა სულეთიდან გმფარველობს დღემდეც –
უკრაინის ომს არშებილწვაც ავედრა ფერფლის...
ანგელოზთ დასიც უგალობსო ლოცვის დროს დედებს!
იქნებ ესაა უკვდავებაც – დედათა – ძეგლიც!
ღვთივკურთხეული, ურღვევია კავშირი სულთა –
თვით უფლის დედამ არ გვარწმუნა კავშირიც გულთა?!
...გურამიშვილმა უკვდავების რომ სვა ფიალა,
ჰკურნა დედისაც – ალბათ, შვილზე ლოცვამ — იარა!
...საღვთო მადლით კი, ქვეყნად მყოფი მოკვდავი, რადგან,
შეწევნით უფლის, მჭედელია თავისთვის ბედის,
უფალს მადლობა!
– სიტყვის ძეგლის მომმადლა დადგმა –
მოკრძალებული საგალობლით დავითის დედის!!!

ლია ჭაბაშვილი

ნინოობა

დღეს ნინოობაა, ნინოს ჯვარს შევეხე ღვთისმშობლის ნაჩუქარს, იმ სივრციდან მოსულს.
ნინო ჩვენთან იყო, ის გვეფერებოდა, რწმენაში გვამტკიცებდა ქართველთ.

დღეს ნინოობაა, ის ახლა ჩვენთან არის, ნუგეშს და იმედს გვაძლევს:
ქართლი გაბრწყინდება, ქართლი გადარჩება, ქართლი უერთგულებს ქრისტეს.

დღეს ნინოობაა, მთელ ჩვენს საქართველოს მადლი მოეფინა მისი;
გულები გაათბო, რწმენაში გვამტკიცა, იმედი შთაგვბერა ქართველთ.

შეხვედრა ფარნა რაინასთან თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში

შეხვედრა ფარნა რაინასთან თელავის მე-4 საჯარო სკოლაში

ფასი 3 ლარი ISSN 1512-3995